
ქართული
გამომცემლობა
ფრენკ ბაუმი
ოზის
ჯადოქარი

თავი პირველი. გრიგალი

დოროთი კანზასის დიდი პრერიების შუაგულში ცხოვრობდა, ძია ჰენრისა და დეიდა ემთან ერთად. ძია ჰენრი ფერმერი იყო, დეიდა ემი – ფერმერის ცოლი. პატარა სახლი ედგათ. ფიცრები იმსიშორიდან მოზიდეს ფორნით, რომ მხოლოდ ოთხი კედელი, იატაკი და ჭერი, ანუ ერთ ოთახი გამოვიდა. ოთახში იდგა ჟანგმოკიდებული ქურა, ბუფეტი, მაგიდა, ოთხიოდე სკამი და საწოლები: ერთ კუთხეში დიდი, ძია ჰენრისა და დეიდა ემისა, მეორეში – პატარა, დოროთისა. არც სხვენი გააჩნდათ და არც სარდაფი. მიწაში ჩათხრილი ერთი პატარა ხვრელი ჰქონდათ, ციკლონის სარდაფს ეძახდნენ და ქარბორბალას დროს აფარებდნენ თავს. აქ ისეთი ქარბორბალა იცოდა, რა სახლი გაუძლებდა! შუა ოთახში, იატაკზე, ასახდელი კარი იყო და ბნელ, მოცუცქნულ ხვრელში პწკალა კიბე ჩადიოდა.

როცა დოროთი გარეთ გავიდოდა და გაიხედგამოიხედავდა ხოლმე, დიდი, მოჟამული პრერიის გარდა თვალში არაფერი ხვდებოდა. არც ხე ჭაჭანებდა და არც სახლი. ფართოდ გადაშლილ, ცის კიდემდე გადაჭიმულ დაბლობს არაფერი ეღობებოდა. მზით გამომხმარი ნახნავი ჟამისფერ, წვრილწვრილად დაბზარულ მასად ქცეულიყო. ბალახი რომ ბალახია, ისიც კი არ იყო მწვანე: მზეს ისე დაეხრუკა გრძელი ღეროების წვერები, რომ სულ ერთიანად ჩაეჟამებინა. სახლი ოდესღაც შეღებეს, მაგრამ საღებავი ჯერ მზემ აბურცა, მერე წვიმამ ჩამორეცხა და ახლა ისიც იქაურობასავით უღიმღამო და ჟამისფერი იყო.

დეიდა ემი ამ მიდამოებში ახალგაზრდა, სანდომიანი ქალი ჩამოვიდა, მაგრამ მზემ და ქარმა არც მას დააკლო ხელი: თვალებში ნაპერწკალი ჩაუქრო და ჩაბჟუტული ჟამისფერიღა დაუტოვა, ტუჩლოყიდან კი სიწითლე მოსტაცა და იქაც ჟამისფერი გადააკრა. მჭლე, აწოწილი ქალი იყო, პირზე ღიმილი არ მოსდიოდა. დაობლებული დოროთი რომ ჩამოუვიდათ, დეიდა ემი ისე დააფრთხო ბავშვის სიცილმა, რომ რამდენი დოროთის მხიარული ხმა ჩაესმოდა, იმდენი შეჰკივლებდა და გულზე ხელს იტაცებდა; ახლაც გაკვირვებით შეხედავდა ხოლმე პატარა გოგოს, რა აცინებსო.

ძია ჰენრიმ კი, სიცილი რა იყო, არ იცოდა. გათენებიდან დაღამებამდე შრომობდა და რა გაამხიარულებდა! გრძელი წვერით დაწყებული და ტლანქი ჩექმებით დამთავრებული, ჟამისფერი იყო, მკაცრი და პირქუში იერი ედო და ძვირად თუ იტყოდა რამეს.

დოროთის ტოტო აცინებდა, ტოტოს წყალობით იყო, რომ იქაურობასავით არ ჩაჟამდა. ტოტო ჟამისფერი არ იყო; ციცქნა, შავ ფინიას გრძელი, აბრეშუმივით ბეწვი და სასაცილო, ცქნაფა ცხვირის აქეთიქით ჩასმული, მხიარულად მოციმციმე პატარა, შავშავი თვალები ჰქონდა. მთელი დღე თამაშობდა; დოროთიც ეთამაშებოდა და სულითა და გულით უყვარდა.

fb.com/groups/elib

თუმცა, დღეს სათამაშოდ არ ეცალათ. ძია ჰენრი ზღურბლზე იჯდა და მღელვარედ აჰყურებდა ჩვეულებრივზე ჩაჟამებულ ცას. დოროთი ღია კარში იდგა, ტოტო აეყვანა და ისიც ცას უყურებდა. დეიდა ემი თეფშებს რეცხავდა.

ჩრდილოეთიდან ქარის შორი, ჩუმი ზუზუნი მოისმა და ძია ჰენრიმ და დოროთიმ დაინახეს, როგორ ტალღატალღა გაწვა მაღალი ბალახი იქ, სადაც ქარიშხალმა გადმოიარა. ახლა სამხრეთიდან მოაღწია მწარე სტვენამ. გაიხედეს და – ბალახი იქაც ზღვასავით ღელავდა.

უცებ ძია ჰენრი წამოდგა:

– ციკლონი მოდის, ემ, – გასძახა ცოლს, – წავალ, საქონელს მივხედავ, – და ფარდულისკენ გაიქცა, სადაც ძროხები და ცხენები ჰყავდათ დაბინავებული.

დეიდა ემმა საქმეს ხელი უშვა და კართან მოვიდა. თვალის ერთი შევლებით მიხვდა, ხიფათი ახლოვდებაო.

– ჩქარა, დოროთი! – იკივლა, – სარდაფში ჩადი!

ტოტო დოროთის გაუსხლტა და საწოლის ქვეშ შეძვრა, დოროთი გამოსაყვანად გაექანა. ელდანაცემმა დეიდა ემმა იატაკზე კარი ახადა და პატარა, ბნელ ხვრელში ჩამავალ კიბეს დაუყვა. დოროთიმ, როგორც იქნა, დაიჭირა ტოტო და დეიდას დაედევნა, მაგრამ შუა გზაზე ქარმა დაიღმუვლა და სახლი ისე შეირყა, რომ ფეხი დაუცდა და იატაკზე ჩაჯდა.

ამ დროს უცნაური რამ მოხდა.

სახლი ორსამჯერ დატრიალდა და ნელა აიწია ჰაერში. დოროთიმ გაიფიქრა, თითქოს საჰაერო ბუშტით ავდივარ ზევითო.

ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქარები ზუსტად იქ შეეჯახა ერთმანეთს, სადაც სახლი იდგა და იქაურობა ციკლონის ცენტრად იქცა. ციკლონის შუაგულში ჰაერი თითქმის არ იძვრის, მაგრამ სახლს ქარი ისე აწვებოდა ყოველი მხრიდან, რომ სულ მაღლა და მაღლა აჰყავდა, ვიდრე ციკლონის თავზე არ მოაქცია; მოაქცია და ისე მსუბუქად გააქანა, თითქოს ბუმბული ყოფილიყო.

უკუნეთი იდგა, ქარი ღრიალებდა, მაგრამ ფრენა ურიგო არ იყო. თუ იმ პირველ დაბზრიალებას და კიდევ ერთ შემთხვევას არ ჩავთვლით, როცა სახლი სახიფათოდ გადაიხარა, დოროთი ისე ნაზად ირწეოდა, როგორც აკვანში მწოლიარე ბავშვი.

ტოტოს ეს ამბავი არ მოსწონდა, ოთახში დარბოდა, ხან აქეთ ეცემოდა, ხან იქით და ხმამაღლა ყეფდა, დოროთი კი წყნარად იჯდა იატაკზე და ელოდა, აბა, რა მოხდებაო.

ერთხელ ტოტო ისე მიუახლოვდა ახდილ კარს, რომ ჩავარდა და დოროთიმ ერთი პირობა დაკარგულად ჩათვალა, მაგრამ მალე ხვრელში ტოტოს ცალი ყური ამოიჩარა:

ჰაერი ისე აწვებოდა, რომ ძირს ვერ ჩავარდა. დოროთი ხვრელთან მიცოცდა, ტოტოს ყურში ხელი სტაცა და ოთახში ამოათრია, მერე კი კარი დახურა, ამნაირი აღარაფერი დაგვემართოსო.

დრო გავიდა და დოროთის გული საგულეს ჩაუდგა; ერთი ეგ იყო, მარტოობა აწუხებდა და ქარიც ყურისწამღებად კიოდა. ჯერ ფიქრობდა, სახლი დაენარცხება და მიწაზე სული არ დაგვყვებაო, მაგრამ რაკი საათი საათს მისდევდა და საშინელი არაფერი ხდებოდა, თანდათან დაშოშმინდა, იფიქრა, დავიცდი და ვნახავ, რა ბედი გვეწევაო. მერე მოქანავე იატაკზე გაცოცდა, საწოლს მიაღწია და დაწვა. ტოტოც მიჰყვა და გვერდით მიუწვა.

მართალია, სახლი ქანაობდა და ქარიც ღმუოდა, მაგრამ დოროთიმ ცოტა ხანში თვალები დახუჭა და ჩაეძინა.

თავი მეორე. თათბირი ღეჭიებთან

დარტყმამ გამოაღვიძა, ისეთმა უცაბედმა და ძლიერმა, რბილ ლოგინზე რომ არ წოლილიყო, რამეს იტკენდა. ასე იყო თუ ისე, ამ შეჯანჯღარებაზე სული განაბა და გაიფიქრა, ნეტავი რა მოხდაო; ტოტომ პაწია, ცივი ცხვირი სახეში ჩაუყო და საწყლად აწკმუვლდა. დოროთი წამოჯდა და შენიშნა, რომ სახლი აღარ იძვროდა; აღარც ბნელოდა, ფანჯარაში მზე კაშკაშებდა და პატარა ოთახს ავსებდა. დოროთი საწოლიდან წამოხტა, გაიქცა და კარი გააღო, ტოტოც ფეხდაფეხ მიჰყვა.

გარეთ ისეთი საკვირველება დაინახა, რომ განცვიფრებით შეჰყვირა და მიიხედმოიხედა, თვალები უფრო და უფრო უფართოვდებოდა.

ციკლონს სახლი რბილად – ციკლონის პირობაზე, რასაკვირველია – დაეშვა საოცარი სილამაზის ქვეყანაში. გარშემო მშვენიერი კორდები იყო, კორდებზე კი – საუცხოო, სურნელოვანი ხილით დახუნძლული ხეხილი. ყოველ ნაბიჯზე გროვაგროვა იზრდებოდა უმშვენიერესი ყვავილები, ხეებზე და ბუჩქებზე იშვიათი, მოელვარე ბუმბულით შემოსილი ფრინველები გალობდნენ და ფრთხიალებდნენ. იქვე პატარა ნაკადული მოუყვებოდა მწვანე ნაპირებს და ისე მიკამკამებდა და მიჩურჩულებდა, რომ იმდენ ხანს მშრალ, ჟამისფერ პრერიებში ნაცხოვრები პატარა გოგო მთლად მოიხიბლა.

იდგა და ხარბად უყურებდა ამ უცნაურ და ლამაზ სანახაობას, უცებ შენიშნა, რომ ჯგუფად უახლოვდებოდა ისეთი უცნაური ხალხი, როგორიც თავის დღეში არ ენახა. არც ზრდასრული ადამიანისოდენა იყვნენ, რასაც მიჩვეული იყო, და არც ძალიან პატარები. დაახლოებით დოროთის სიმაღლისა იქნებოდნენ – ის კი თავისი ასაკის

პირობაზე მოზრდილი ბავშვი იყო – თუმცა, შესახედაობით, გაცილებით უფროსები უნდა ყოფილიყვნენ.

სამი კაცი იყო და ერთი ქალი, ყველანი უცნაურად ჩაცმულები. მრგვალი შლაპები ეხურათ. შლაპები ასე, ერთი ფუტის სიმაღლეზე პატარა წვეტით ბოლოვდებოდა, ფარფლებზე კი ზანზალაკები ჰქონდა შემოვლებული და სიარულისას ნაზად წკარუნებდა. კაცებს ცისფერი ქუდები ეხურათ, კუკნა ქალს კი – თეთრი, კაბაც თეთრი ეცვა, მხრებიდან ნაკეცებად დაშვებული. ზედ წვრილწვრილი ვარსკვლავები ჰქონდა გაბნეული და მზეში ალმასებივით უციმციმებდა. კაცებს ცისფერი სამოსი ეცვათ, ისეთივე ელფერისა, როგორიც ქუდები და გაპრიალებული, ცისფერბოტფორტებიანი წაღები. დორითიმ გაიფიქრა, ეს კაცები, ალბათ, ძია ჰენრის ხნისა იქნებიანო, რადგან ორი წვეროსანი იყო. სამაგიეროდ პატარა ქალი, უეჭველია, ბევრად ასაკოვანი იყო. სახე დანაოჭებული ჰქონდა, თმა თითქმის სულ ჭაღარა და, ცოტა არ იყოს, სიარულიც უჭირდა.

როცა ეს ხალხი იმ სახლს მოუახლოვდა, რომლის ზღურბლზეც დოროთი იდგა, შეჩერდნენ და ჩურჩულს მოჰყვნენ, თითქოს ახლოს მოსვლისა ეშინიათო. მხოლოდ კუკნა დედაბერი მიუახლოვდა, თავი მდაბლად დაუკრა და ტკბილად უთხრა:

– კეთილი იყოს შენი მობრძანება, ო, კეთილშობილო ჯადოქარო, ღეჭიათა ქვეყანაში. დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ მოკალი აღმოსავლეთის ავი კუდიანი და მისი უღლისაგან იხსენი ჩვენი ხალხი.

დოროთი გაოცებული უსმენდა ამ სიტყვებს. რად დაუძახა კუკნა ქალმა ჯადოქარი და რად უთხრა, აღმოსავლეთის ავი კუდიანი მოკალიო? დოროთი ხომ უწყინარი, უვნებელი პატარა გოგოა, ცხრა მთას იქით გრიგალმა გამოაქროლა და თავის დღეში არც ერთი სულიერი არ მოუკლავს.

არადა, კუკნა ქალი, აშკარად, პასუხს ელოდა, დოროთიმაც ყოყმანით უთხრა:

– მადლობელი ვარ, მაგრამ მგონი, გეშლებათ. მე არავინ არ მომიკლავს.

– შენ თუ არა, შენმა სახლმა ხომ მოკლა, – სიცილით მიუგო კუკნა დედაბერმა, – სულ ერთი არ არის! შეხედე, – განაგრძო და სახლის კუთხისკენ გაიშვირა ხელი, – აი, ხის ფიცარნაგის ქვეშიდან ორივე ფეხი გამოსჩრია.

დოროთიმ შეხედა და შიშით წამოიყვირა. იმ ძელის კუთხეში, რომელზეც სახლი იდგა, ვერცხლის ფეხსაცმელებწამოცმული ორი ფეხი მოჩანდა.

– ვაიმე! ვაიმე! – შესძახა დოროთიმ და შეშფოთებით შემოჰკრა ტაში, – სახლს გაუჭყლეტია. რაღა ვქნათ?

– რას ვიზამთ, – წყნარად უთხრა პატარა ქალმა.

– კი, მაგრამ ვინ იყო? – ჰკითხა დოროთიმ.

– ხომ გითხარი, აღმოსავლეთის ავი კუდიანიმეთქი, – მიუგო პატარა ქალმა, – რა ხანია, ღეჭიები დამონებული ჰყავდა და დღედაღამ ამუშავებდა. ახლა ყველანი თავისუფლები არიან და მადლობას გიძღვნიან, რომ ასეთი სამსახური გაუწიე.

– ღეჭიები ვინღა არიან? – ჩაეკითხა დოროთი.

– ის ხალხი, ვინ აქ, აღმოსავლეთის მხარეში ცხოვრობს, სადაც ავი კუდიანი ბატონობდა.

– თქვენც ღეჭია ბრძანდებით? – ჰკითხა დოროთიმ.

– არა, მაგრამ ვმეგობრობთ, მე ჩრდილოეთის მხარეში ვცხოვრობ. ღეჭიებმა დაინახეს, რომ აღმოსავლეთის კუდიანი მოკვდა და შიკრიკი აფრინეს ჩემთან, ჰოდა მეც აქ გავჩნდი. მე ჩრდილოეთის კუდიანი ვარ.

– ვაიმე, დედა! – შესძახა დოროთიმ, – ნამდვილი?

– რასაკვირველია, – მიუგო კუკნა ქალმა, – ოღონდ კეთილი ვარ და ხალხს ვუყვარვარ. იმ ავი კუდიანისოდენი ძალა არა მაქვს, აქ რომ ბატონობდა, თორემ აქაურებს მევე გავათავისუფლებდი.

– მე კი ყველა კუდიანი ავი მეგონა, – ცოტა არ იყო, შეეშინდა გოგონას, ნამდვილი კუდიანის წინაშე რომ აღმოჩნდა.

– არა, ეგ ნამდვილად შეგშლია. ოზის მთელ ქვეყანაში მხოლოდ ოთხად ოთხი კუდიანი იყო. იმათგან ორნი, რომლებიც ჩრდილოეთში და სამხრეთში ცხოვრობენ, კეთილი კუდიანები არიან. ეს ზუსტად ვიცი, იმიტომ რომ ერთი იმათგანი მე ვარ და როგორ შემეშლება! ისინი კი, ვინც აღმოსავლეთში და დასავლეთში სახლობდნენ, რასაკვირველია, ავი კუდიანები იყვნენ; მაგრამ მას მერე, რაც ერთი შენ მოკალი, ოზის მთელ ქვეყანაში ერთი ავი კუდიანიღა დარჩა – დასავლეთისა.

დოროთი წამით დაფიქრდა:

– ჰო, მაგრამ დეიდა ემი ამბობდა, კუდიანები დიიიიიდი ხანია, რაც ამოწყდნენო.

– დეიდა ემი ვინღაა? – ჩაეკითხა პატარა დედაბერი.

– დეიდაჩემია, კანზასში ცხოვრობს, აი, საიდანაც მოვედი.

ჩრდილოეთის კუდიანმა თავი დახარა, მიწას ჩააშტერდა და ფიქრს მიეცა. მერე აიხედა და თქვა:

– არ ვიცი, კანზასი სად არის, მაგ ქვეყნის სახელი არ მსმენია, მაგრამ მითხარი, იქაურობა ცივილიზებულია?

– დიახ, – მიუგო დოროთიმ.

– საქმეც ეგ არის. ცივილიზებულ ქვეყნებში, ალბათ, აღარც კუდიანი დარჩა, აღარც ჯადოქარი, აღარც გრძნეული და აღარც მისანი. ოზის ქვეყნამდე კი ცივილიზაციას არ მოუღწევია, ჩვენ ხომ მთელი სამყაროსგან მოწყვეტილი ვართ. ამიტომ კუდიანებიც შემოგვრჩა და ჯადოქრებიც.

– ჯადოქრები ვინღა არიან? – ჰკითხა დოროთიმ.

– პირველი რიგში, თავად ოზია დიდი ჯადოქარი, – მიუგო კუდიანმა და ჩურჩულზე გადავიდა, – ყველა ჩვენგანზე ძლიერია და ზურმუხტქალაქში ცხოვრობს.

დოროთი კიდევ რაღაცის კითხვას აპირებდა, მაგრამ ამ დროს აქამდე ჩუმად მდგარმა ღეჭიებმა ხმამაღლა წამოიყვირეს და სახლის კუთხისკენ მიუთითეს, სადაც ავი კუდიანი იწვა.

– რაშია საქმე? – ჰკითხა კუკნა დედაბერმა, მიიხედა და სიცილი აუტყდა. მკვდარი კუდიანის ფეხები გამქრალიყო, აღარაფერი დარჩენილიყო ვერცხლის ფეხსაცმელების გარდა.

– ისეთი გადაყრუებული იყო, მზეში გამოხმა, – აუხსნა ჩრდილოეთის კუდიანმა, – ეგეც მაგას! ვერცხლის ფეხსაცმელები კი შენია და შენ უნდა ჩაიცვა, – დაიხარა, ფეხსაცმელები წამოკრიფა, მტვერი გამობერტყა და დოროთის მიაწოდა.

– აღმოსავლეთის კუდიანს საამაყოდ ჰქონდა ეს ვერცხლის ფეხსაცმელები, – თქვა ერთმა ღეჭიამ, – ჯადოსნურია, ოღონდ რისი მაქნისი – ზუსტად არ ვიცით.

დოროთიმ ფეხსაცმელები სახლში შეიტანა და მაგიდაზე დაალაგა. მერე ისევ ღეჭიებთან გავიდა და თქვა:

– შინ მინდა დაბრუნება, ბიძაჩემი და დეიდაჩემი, ალბათ, დარდით აღარ არიან. გზას ვერ მიმასწავლით?

ღეჭიებმა და კუდიანმა ჯერ ერთმანეთს შეხედეს, მერე დოროთის და მერე თავები გაიქნიეს.

– აღმოსავლეთით, მთლად აქვე, დიდი უდაბნოა და ვერავინ გადალახავს, – თქვა ერთმა.

– სამხრეთითაც ეგ ამბავია, – თქვა მეორემ, – ვყოფილვარ და მინახავს. სამხრეთი ქოთქოთათა მხარეა.

– მე კი მსმენია, – თქვა მესამე კაცმა, – რომ დასავლეთითაც იგივეა. იმ მხარეს, სადაც პაჭუნები ცხოვრობენ, დასავლეთის ავი კუდიანი განაგებს და თუ გზაზე გადაუდექი, დაგიმონებს.

– ჩრდილოეთი კი ჩემი სამშობლოა, – თქვა დედაბერმა, – და მის კიდეზეც დიდი უდაბნოა, რომელიც ოზის ქვეყანას ერტყმის გარს. მე მგონი, ჩვენთან მოგიწევს დარჩენა, ჩემო კარგო.

ამის გაგონებაზე დოროთი აქვითინდა, ამ უცხო ხალხში მარტოსულად გრძნობდა თავს. მისმა ცრემლებმა, ეტყობა დააღონა გულკეთილი ღეჭიები, რადგან მაშინვე ამოიღეს ცხვირსახოცები და თვითონაც ასლუკუნდნენ. რაც შეეხება კუკნა დედაბერს, იმან თავიდან ქუდი მოიხადა, წვეტით ცხვირის წვერზე დაიდო და დინჯად დაითვალა:

– ერთი, ორი, სამი.

ქუდი იმწამსვე გრიფელის დაფად გადაიქცა. ზედ ცარცით, მსხვილად ეწერა:

დოროთი ზურმუხტქალაქში უნდა წავიდეს.

კუკნა დედაბერმა ცხვირიდან დაფა აიღო, წაიკითხა, რაც ზედ ეწერა და იკითხა:

– დოროთი გქვია, ჩემო კარგო?

– დიახ, – მიუგო ბავშვმა, ახედა და ცრემლები მოიწმინდა.

– მაშ, ზურმუხტქალაქში უნდა წახვიდე. იქნებ, ოზი დაგეხმაროს.

– ეგ ქალაქი სადღაა? – ჰკითხა დოროთიმ.

– ზუსტად ქვეყნის შუაგულშია და ოზი მართავს. აი, ის დიდი ჯადოქარი, წეღან რომ ვახსენე.

– კარგი ადამიანია? – მღელვარედ ჰკითხა დოროთიმ.

– კარგი ჯადოქარია. ადამიანია თუ არა, ვერ გეტყვი, არ მინახავს.

– იქ როგორ მივიდე? – ჰკითხა დოროთიმ.

– ფეხით. გრძელი გზა გელის, მთელი ქვეყანა უნდა გაიარო, ალაგ – საამური, ალაგ კი – ბნელი და საშინელი. თუმცა, მთელ ჩემს ჯადოქრობას არ დავიშურებ, რომ ხიფათისგან დაგიცვა.

– თქვენ არ წამომყვებით? – მუდარით ჰკითხა გოგონამ, რომელიც კუკნა დედაბერს ერთადერთ მეგობრად თვლიდა.

– წამოყოლით ვერ წამოგყვები, – მიუგო იმან, – მაგრამ ამბორს კი მოგიძღვნი. ვისაც ჩრდილოეთის კუდიანი ეამბორა, იმას ვერავინ ვერაფერს დააკლებს.

დოროთისთან მივიდა და შუბლზე ნაზად აკოცა. იქ, სადაც გოგონას მისი ტუჩები შეეხო, მრგვალი, მოელვარე ნიშანი დარჩა, ეს დოროთიმ ცოტა ხანში გამოარკვია.

– ზურმუხტქალაქისკენ ყვითელი აგურის გზა მიდის, – უთხრა კუდიანმა, – არ დაიბნევი. როცა ოზთან მიხვალ, ნუ შეშინდები, უთხარი შენი ამბავი და შველა სთხოვე. მშვიდობით, ჩემო კარგო.

სამმა ღეჭიამ დოროთის თავი დაუკრა, კეთილი მგზავრობა უსურვეს და ხეებს შეერივნენ. კუდიანმა მეგობრულად დაუქნია თავი, მარცხენა ქუსლზე სამჯერ შემობზრიალდა და, პატარა ტოტოს გასაკვირად, იქვე გაქრა. ტოტომ ხმამაღალი ყეფა დაადევნა, რადგან სანამ კუდიანი იქვე იდგა, დაწკმუტუნებასაც კი ვერ ბედავდა.

დოროთის კი, რაკი მისი კუდიანობის ამბავი იცოდა, სწორედ ასეთი გაქრობის მოლოდინი ჰქონდა და ოდნავაც არ გაჰკვირვებია.

თავი მესამე. როგორ გადაარჩინა დოროთიმ საფრთხობელა

მარტო დარჩენილ დოროთის მოშივდა. ბუფეტთან მივიდა, პური მოიჭრა და კარაქი გადაუსვა. ტოტოსაც უწილადა, მერე თაროდან ვედრო ჩამოიღო, ნაკადულთან მივიდა და სუფთა, კამკამა წყლით აავსო. ტოტო ხეებისკენ გაექანა და ზედ მსხდარ ჩიტებს ყეფა აუტეხა. დოროთი მის დასაჭერად წავიდა და ტოტებზე ისეთი მშვენიერი ხილი დაინახა, რომ ცოტა მოკრიფა და მიხვდა, რომ მის საუზმეს სწორედ ეს აკლდა.

მერე სახლში შებრუნდა და მას მერე, რაც თვითონაც დალია გრილი, სუფთა წყალი და ტოტოსაც დალევინა, მზადება დაიწყო, რათა ზურმუხტქალაქში მიმავალ გზას გასდგომოდა.

დოროთის რაც ეცვა, იმის გარდა ერთადერთი კაბა ჰქონდა, მაგრამ კიდევ კარგი, გარეცხილი იყო და საწოლის გვერდით, ხის ლურსმანზე ეკიდა – უჯრულა, თეთრცისფერი კაბა. მართალია, ბევრი რეცხვით ცისფერი, ცოტა არ იყოს, გახუნებულიყო, მაგრამ მაინც არ დაიწუნებოდა. დოროთიმ ხელპირი გულმოდგინედ დაიბანა, სუფთა, უჯრულა კაბაში გამოეწყო, ვარდისფერი შლაპა დაიხურა და ლენტები ნიკაპთან შეინასკვა. პატარა კალათი ბუფეტიდან გამოღებული პურით აავსო და თეთრი ტილო გადააფარა. მერე ფეხებზე დაიხედა და ძველ, გაცვეთილ ფეხსაცმელებს დააცქერდა.

– გრძელ გზას ნამდვილად ვერ გამატარებს, ტოტო, – უთხრა ტოტოს.

ტოტომ ციცქნა, შავი თვალებით ახედა და კუდი გააქიცინა იმის ნიშნად, რომ მიხვდა, რაც უთხრეს.

ამ დროს დოროთიმ მაგიდაზე დალაგებული აღმოსავლეთის კუდიანის ვერცხლის ფეხსაცმელები დაინახა.

– ნეტავი, თუ მომერგება, – უთხრა ტოტოს, – სწორედ გრძელ გზაზე სასიარულოა, არც გაცვდება და არც არაფერი.

ტყავის ძველი ფეხსაცმელები გაიხადა და ვერცხლისა მოისინჯა: ზუსტად მისი ფეხისა გამოდგა.

ბოლოს კალათა აიღო.

– წამო, ტოტო, – უთხრა, – ჩავიდეთ ზურმუხტქალაქში და ვკითხოთ დიდ ოზს, როგორ დავბრუნდეთ კანზასში.

კარი მიხურა, ჩაკეტა, გასაღები კაბის ჯიბეში ჩაიბინავა და გზას გაუდგა. ტოტო ტუსტუსით გაედევნა.

მახლობლად რამდენიმე გზა დაუხვდა, მაგრამ მალევე იპოვა, რომელი იყო ყვითელი აგურით მოკირწყლული. ცოტა ხანში უკვე მკვირცხლად მიაბიჯებდა ზურმუხტქალაქისკენ და მხიარულად მიაბაკუნებდა ვერცხლის ფეხსაცმელებს მაგარ, ყვითელ ზედაპირზე. მზე კაშკაშებდა, ჩიტები ტკბილად გალობდნენ და დოროთი თითქოს ყოჩაღად იყო იმ პატარა გოგონას პირობაზე, რომელიც უცაბედად გაქროლდა თავისი ქვეყნიდან და უცხო მხარეში ამოყო თავი.

მიდიოდა და უკვირდა, რა ლამაზი იყო ირგვლივ მიდამო. გზის პირებს კოხტა, ცისფრად შეღებილი ღობეები მიუყვებოდა, ღობეებს იქით სიმინდის ყანები და ბოსტნები გადაშლილიყო. ღეჭიები, აშკარად, კარგი მიწათმოქმედები იყვნენ და მოსავალსაც კარგს იღებდნენ. დროდადრო სახლებს ჩაუვლიდა ხოლმე, სახლებიდან ხალხი გამოდიოდა და გზად მიმავალს მდაბლად უკრავდნენ თავს; ყველამ იცოდა, რომ სწორედ მისით მოეღო ბოლო ავ კუდიანს და მისით გათავისუფლდნენ მონობის უღლისაგან. ღეჭიების სახლები უცნაურად იყო ნაშენი, სახურავის ნაცვლად დიდი გუმბათები დაედგათ. ყველა სახლი ცისფრად იყო შეღებილი, რადგან აღმოსავლეთის ამ მხარეში ყველაზე უფრო ცისფერი უყვარდათ.

საღამო ხანს, როცა დოროთი უკვე კარგად მოღალა გრძელმა გზამ და იმაზე დაიწყო ფიქრი, ღამე სად გავათიოო, ერთ სახლს მიუახლოვდა. ის სახლი დანარჩენებზე ბევრად დიდი იყო. სახლის წინ, მწვანე მდელოზე, ბლომად ქალები და კაცები ცეკვავდნენ. ხუთი პატარა მევიოლინე მთელი ძალღონით უკრავდა, ხალხი იცინოდა და მღეროდა, ხოლო იქვე მდგარ მაგიდაზე გროვაგროვა ელაგა უმშვენიერესი ხილი და კაკალი, ღვეზელები და ტორტები და რა აღარ!

დოროთის თბილად შეხვდნენ და ვახშმად და ღამის გასათევად მიიპატიჟეს; ეს ერთერთი უმდიდრესი ღეჭიას სახლი იყო და მეგობრები მოეწვია; ავი კუდიანის უღლისაგან გათავისუფლებას ზეიმობდნენ.

დოროთიმ გემრიელად ივახშმა (მდიდარი ღეჭია, სახელად ბოკი, თვითონვე დასტრიალებდა თავს), მერე დივანზე ჩამოჯდა და მოცეკვავეებს მიაცქერდა.

ბოკმა შენიშნა მისი ვერცხლის ფეხსაცმელები და უთხრა:

– ეტყობა, დიდი კუდიანი უნდა იყო.

– რატომ? – ჰკითხა გოგონამ.

– იმიტომ, რომ ვერცხლის ფეხსაცმელები გაცვია და ავი კუდიანი მოკალი. თანაც, კაბაში თეთრი გირევია, თეთრს კი მხოლოდ კუდიანები და გრძნეულები იცვამენ.

– ჩემი კაბა თეთრცისფერია, უჯრულა, – უთხრა დოროთიმ და კაბის ნაოჭი გაისწორა.

– დიდი პატივია, ეგ რომ ჩაგიცვამს, – მიუგო ბოკმა, – ცისფერი – ღეჭიების ფერია, თეთრი კი – კუდიანებისა. გამოდის, რომ ჩვენი მეგობარი კუდიანი ყოფილხარ.

დოროთიმ არ იცოდა, რა პასუხი გაეცა. ყველას კუდიანი ეგონა, არადა მშვენივრად იცოდა, რომ ჩვეულებრივი, პატარა გოგონაა და ამ უცხო მხარეში შემთხვევით გადმოაგდო გრიგალმა.

მოცეკვავეების ცქერა რომ მობეზრდა, ბოკმა შინ შეიყვანა და ცალკე ოთახში მოასვენა, სადაც კოხტა, ცისფერზეწრებიანი საწოლი იდგა. დოროთის დილამდე ტკბილად ეძინა, ტოტო იქვე, ცისფერ ფარდაგზე მოიკუნტა.

დილით მადიანად ისაუზმა, თან უყურებდა, როგორ ეთამაშებოდა ტოტოს ღეჭიების პატარა ბავშვი. კუდზე ექაჩებოდა, ხალისობდა და ისე ხითხითებდა, რომ დოროთიც გაერთო. ტოტო იქაურებისთვის ნამდვილი საკვირველება იყო, რადგან ძაღლი აქამდე თვალით არ ენახათ.

– შორია აქედან ზურმუხტქალაქამდე? – იკითხა გოგომ.

– რა მოგახსენო, – დარბაისლურად მიუგო ბოკმა, – არ ვყოფილვარ. თუ ოზთან საქმე არაფერი გაქვს, სჯობს, თავი შორს დაიჭირო. ისე კი, ზურმუხტქალაქამდე შორია, მრავალი დღე უნდა იარო. აქაურობა მდიდარი და საამურია, თუმცა სანამ მგზავრობას დაასრულებდე, ოღროჩოღრო და საშიში ადგილებიც შეგხვდება.

ამან, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა დოროთი, მაგრამ იცოდა, რომ კანზასში მხოლოდ დიდი ოზი თუ გაამგზავრებდა, ამიტომ გულადად გადაწყვიტა, უკან არ დაეხია.

მასპინძლებს დაემშვიდობა და კვლავ ყვითელი აგურის გზას გაუყვა. რამდენიმე მილი რომ გაიარა, იფიქრა, შევისვენებო, გზისპირა ყორეზე აძვრა და ჩამოჯდა. ყორის იქით სიმინდის ყანა იყო, მახლობლად საფრთხობელაც დაინახა: მაღალ ჭოკზე შემოესვათ, მწიფე სიმინდს ჩიტები არ მიაკაროსო.

დოროთიმ ნიკაპი ხელზე დაიბჯინა და დაფიქრებული მიაჩერდა საფრთხობელას: თავი ჩალით გამოტენილი პარკუჭისა ჰქონდა, ზედ თვალები და ცხვირპირი დაეხატათ, ვითომ სახეაო. თავზე ძველი, წვეტიანი ცისფერი ქუდი ჩამოეფხატათ, ალბათ რომელიმე ღეჭიასი. ტანიც ჩალით გამოტენილი გაცვეთილგახუნებული

შარვალხალათისა ჰქონდა. ფეხზე ცისფერბოტფორტებიანი წაღები წამოეცვათ, როგორიც ამ ქვეყანაში ყველა კაცს ჰქონდა. ზურგში ჭოკი გაეყარათ და სიმინდის ღეროებისთვის კარგა დიდზე აეცილებინათ.

დოროთი თვალგაშტერებული უყურებდა საფრთხობელას უცნაურ, დახატულ სახეს და უცებ გაკვირვებით დაინახა, რომ იმან ნელა ჩაუკრა თვალი. ჯერ იფიქრა, შემეშალაო, რადგან კანზასში საფრთხობელებს თვალის ჩაკვრა არ სჩვევიათ; მაგრამ ცოტა ხანში საფრთხობელამ მეგობრულად დაუქნია თავი. დოროთი მესრიდან ჩახტა და ახლოს მივიდა. ტოტომ ყეფით შემოურბინა ჭოკს.

– გამარჯობა, – ხრინწიანი ხმით თქვა საფრთხობელამ.

– ლაპარაკი იცი? – გაკვირვებით ჰკითხა გოგონამ.

– რა საკითხავია! – მიუგო საფრთხობელამ, – როგორ ბრძანდები?

– კარგად, გმადლობ, – თავაზიანად მიუგო დოროთიმ, – შენ როგორ გიკითხო?

– მე ცუდად, – ღიმილით უთხრა საფრთხობელამ, – გული გამიწყალდა: დღედაღამ აქ ვდგავარ და ყვავებს ვაფრთხობ.

– ვერ ჩამოდიხარ? – ჰკითხა დოროთიმ.

– ვერა, ეს ჭოკი ხომ ზურგში მაქვს გაჩრილი. თუ სიკეთეს იზამ და ჩამომხსნი, დიდი მადლობელი დაგრჩები.

დოროთი ორივე ხელით მისწვდა და ჭოკიდან ჩამოხსნა: ჩალით გატენილი საფრთხობელა მსუბუქი იყო.

– მადლობელი ვარ, – უთხრა მიწაზე დაშვებულმა საფრთხობელამ, – თითქოს ახლად დავიბადეო.

ამაზე დოროთი შეფიქრიანდა, რადგან უცნაური მოსასმენი იყო ჩალაბულათი გატენილი კაცის ლაპარაკი და უცნაური დასანახი – მისი თავის დაკვრა და გავლაგამოვლა.

– ვინა ხარ და საით გაგიწევია? – ჰკითხა საფრთხობელამ მას მერე, რაც გაიზმორა და დაამთქნარა.

– დოროთი მქვია, – მიუგო გოგონამ, – და ზურმუხტქალაქში მივდივარ, დიდ ოზს უნდა ვთხოვო, კანზასში დამაბრუნოს.

– სად არის ზურმუხტქალაქი? – ჩაეკითხა საფრთხობელა, – ან ეგ ოზი ვინღაა?

– ვითომ, არ იცი? – გაუკვირდა დოროთის.

– საიდან? არაფერიც არ ვიცი. მე ხომ ჩალითა ვარ გატენილი და ჭკუა არა მაქვს, – დაღონებით მიუგო საფრთხობელამ.

– უი, როგორ მეცოდები, – უთხრა დოროთიმ.

– ზურმუხტქალაქში რომ წამოგყვე, ნეტავი ოზი ჭკუას არ მომცემს? – ჰკითხა საფრთხობელამ.

– რა ვიცი, – მიუგო დოროთიმ, – ისე, თუ გინდა, წამომყევი. ოზმა ჭკუა რომც არ მოგცეს, რა დაგაკლდება.

– მართალია, – თქვა საფრთხობელამ, – იცი, – განაგრძო საიდუმლოდ, – ჩალით გატენილი ხელფეხი არ მადარდებს, იმიტომ რომ ტკივილს ვერ ვგრძნობ. ფეხზე რომ დამაბიჯონ ან ქინძისთავი მიჩხვლიტონ, არაფრად ჩავაგდებ, ვერც კი ვიგრძნობ, მაგრამ ის კი არ მინდა, ბრიყვი მიძახონ. არადა, თავში თუ შენსავით ჭკუა კი არა, ჩალაბულა მეყრება, ხომ ვერასოდეს ვერაფერს გავიგებ?!

– მესმის შენი, – უთხრა პატარა გოგომ და მართლა შეეცოდა, – თუ წამომყვები, ვთხოვ ოზს, რაც შეუძლია, დაგეხმაროს.

– მადლობელი ვარ, – გაიხარა საფრთხობელამ.

გზისკენ წავიდნენ. დოროთიმ ყორეზე გადაიყვანა და ზურმუხტქალაქისკენ მიმავალ ყვითელი აგურის გზას დაადგნენ.

ტოტოს არ ეამა რაზმში ახალი წევრის შემომატება, ისეთი ეჭვით ყნოსავდა, გეგონება, ჩალაში ვირთხები ეგულებაო და წარამარა ავად უღრენდა.

– ტოტოსი ნუ გეშინია, – უთხრა დოროთიმ ახალ მეგობარს, – არ იკბინება.

– არ მეშინია, – მიუგო საფრთხობელამ, – ჩალას რას დააკლებს. მოდი, მაგ კალათას წამოგიღებ. არ დამამძიმებს, მე ხომ არ ვიღლები. საიდუმლოდ გეტყვი, – განაგრძო გზადაგზა, – ქვეყანაზე მარტო ერთი რამისა მეშინია.

– რა ან ვინ არის ეგ ერთი რამე? – ჰკითხა დოროთიმ, – ის ღეჭია გლეხი ხომ არა, ვინც გაგაკეთა?

– არა, – მიუგო საფრთხობელამ, – ანთებული ასანთი.

თავი მეოთხე. ტყეტყე

რამდენიმე საათში გზა ოღროჩოღრო გახდა და სიარული ისე გაძნელდა, რომ საფრთხობელა ხშირად წაიბორძიკებდა ხოლმე ყვითელ აგურებზე, რომლებიც აქ

უსწორმასწოროდ ელაგა, ის კი არა, შიგადაშიგ დამტვრეული და ამოცვენილიც კი იყო და ამოღრუტნული ადგილები დაეტოვებინა, რომლებსაც ტოტო ახტებოდა, დოროთი კი გვერდს უვლიდა. საფრთხობელას ჭკუა არ ჰქონდა, პირდაპირ მიდიოდა, ხვრელში ფეხს ჩადგამდა და მაგარ აგურებზე გაიშოტებოდა, თუმცა, ტკივილით არაფერი სტკიოდა. დოროთი წამოსწევდა, ფეხზე დააყენებდა და საფრთხობელა დოროთისთან ერთად იცინოდა თავის უიღბლობაზე.

აქ კარმიდამოებს ხელი აკლდა. სახლებიც შეცოტავდა და ხეხილიც და რაც უფრო წინ მიდიოდნენ, მით უფრო პირქუში და უდაბური ხდებოდა იქაურობა.

შუადღისას გზის პირას, ნაკადულთან ჩამოსხდნენ. დოროთიმ კალათს თავი ახადა და პური ამოიღო. საფრთხობელასაც მიაწოდა, მაგრამ იმან იუარა:

– მე შიმშილი არ ვიცი და ძალიანაც კარგი, თორემ პირი დახატული მაქვს და საჭმელად რომ გავჭრა, ჩალა გამოცვივდება და თავი დამიუშნოვდება.

დოროთი მაშინვე მიხვდა, მართალს ამბობსო, ამიტომ მხოლოდ თავი დაუქნია და პურის ჭამა განაგრძო.

– მიამბე შენი და იმ ქვეყნის ამბავი, საიდანაც მოხვედი, – უთხრა საფრთხობელამ, როცა დოროთიმ ისადილა. დოროთიმაც უამბო კანზასზე: რა ჩაჟამებული იყო იქაურობა და როგორ გამოაქროლა ციკლონმა ოზის ამ უცნაურ ქვეყანაში.

საფრთხობელამ ყურადღებით მოუსმინა და უთხრა:

– არ მესმის, რად უნდა მინდოდეს ამ ლამაზი ქვეყნიდან წასვლა და იმ ჩამხმარჩაჟამებულ ადგილას დაბრუნება, კანზასს რომ ეძახი.

– იმიტომ რომ უჭკუო ხარ, – მიუგო გოგონამ, – რა უღიმღამო და ჟამისფერ ადგილასაც უნდა ვცხოვრობდეთ, ჩვენ, სისხლისა და ხორცისაგან შექმნილი ადამიანები, ისევ იქაურობა გვირჩევნია, ვიდრე სხვა, თუგინდ ულამაზესი ადგილი. შინ ყოფნას არაფერი სჯობს.

საფრთხობელამ ამოიოხრა:

– აბა, მე როგორ მივხვდები. თქვენც რომ თავში ჩემსავით ჩალა გეყაროთ, ყველანი ლამაზლამაზ ადგილებში იცხოვრებდით და კანზასში ერთი აღარავინ დარჩებოდა. მაგ თქვენს კანზასს ბედი ჰქონია, რომ ჭკუა გაქვთ.

– რამეს არ მომიყვები, სანამ ვისვენებთ? – ჰკითხა ბავშვმა.

საფრთხობელამ საყვედურით შეხედა და მიუგო:

– მე ისე ცოტა ხანია ვცოცხლობ, რომ მართლა არაფერი არ ვიცი. გუშინწინ გამაკეთეს. იქამდე რა იყო, ვერ გეტყვი. კიდევ კარგი, რომ როცა გლეხი თავს მიკეთებდა, ადგა და

ჯერ ყურები დამახატა, რომ გამეგო, რა ხდება. იქვე მეორე ღეჭიაც იყო და გლეხმა ჰკითხა, ეს ყურები როგორ მოგწონსო.

– აცაბაცაა, – უთხრა იმან.

– ეგ არაფერი, – მიუგო გლეხმა, – ყურები ყურებია, – და მართალიც იყო.

– ახლა თვალებს გავუკეთებ, – თქვა გლეხმა, მარჯვენა თვალი დამახატა და როგორც კი დაამთავრა, მაშინვე ისიც დიდი ინტერესით ავათვალიერჩავათვალიერე და იქაურობაც. მე ხომ პირველად შევავლე ქვეყანას თვალი.

– ძალიანაც კოხტა თვალია, – აღნიშნა იმ ღეჭიამ, რომელიც გლეხს აკვირდებოდა, – თვალის ფერად ცისფერი საღებავს არაფერი სჯობია.

– მეორე თვალს, ალბათ, უფრო დიდს დავახატავ, – თქვა გლეხმა და როცა მეორე თვალიც დამახატა, წინანდელზე ბევრად უკეთესად დავინახე. მერე ცხვირპირიც დამახატა, მაგრამ ხმა არ ამომიღია, რადგან არ ვიცოდი, პირი რისთვის მქონდა. ხალისით ვუყურებდი, როგორ მიკეთებდნენ ტანსა და ხელფეხს; მერე, როცა თავის დადგმა მაღირსეს, სიამაყით ავივსე, მეგონა, მეც ისეთი კაცი ვარ, როგორც სხვებიმეთქი.

– ეს ბიჭი მალე დააფრთხობს ყვავებს, – თქვა გლეხმა, – კაცური კაცი ჩანს.

– არის კიდევაც, – თქვა მეორემ და მეც დავეთანხმე. გლეხმა ამოღლიავებული წამიყვანა სიმინდის ყანაში და მაღალ ჭოკზე შემომსვა, აი, სადაც შენ მიპოვე. ისა და მისი მეგობარი მალევე წავიდნენ და მარტო დამტოვეს.

ასე მიტოვება არ მეპიტნავა და ვცადე, გავყოლოდი, მაგრამ ფეხები მიწას ვერ ჩავაწვდინე და სხვა რა გზა მქონდა, დავრჩი იმ ჭოკზე. მომეწყინა, საფიქრალიც არაფერი მქონდა, მე ხომ ისის იყო, გამაკეთეს. ყანაში ბლომად ყვავები და სხვა ფრინველები მოფრინდნენ, მაგრამ ჩემს დანახვაზე ისევ უკან გაფრინდნენ, ღეჭია ვეგონე; მეამა და გავიბღინძე. ცოტა ხანში ერთმა ბებერმა ყვავმა ჩამიფრინა, დამაკვირდა, ფრთხილად დამაჯდა მხარზე და თქვა:

– ნეტავ, იმ გლეხმა ასე ტლანქად რად მომინდომა გაცურება? ყოველი ჭკუათმყოფელი ყვავი მიხვდება, რომ ჩალაბულათი ხარ გამოტენილი, – მერე წაღებზე დამახტა და იმდენი სიმინდი ჭამა, რამდენიც გაუხარდებოდა. დანარჩენმა ჩიტებმა დაინახეს, რომ ყვავს ვერაფერი დავუშავე და თვითონაც მოვიდნენ სიმინდის საკენკად. ცოტა ხანში მთელი გუნდი დამტრიალებდა თავს.

დავღონდი, თურმე არც ისეთი კარგი საფრთხობელა ვყოფილვარ, რომ მეგონა მეთქი, მაგრამ ბებერმა ყვავმა მანუგეშა:

– თავში რომ ჭკუა გქონდეს, ადამიანებზე ნაკლები არ იქნებოდი და ზოგიერთს აჯობებდი კიდეც. ამქვეყნად ჭკუას არაფერი სჯობს, გინდ ყვავი იყავი და გინდ – კაცი.

ყვავები გაფრინდნენ, მე კი დავფიქრდი და გადავწყვიტე, მოდი, როგორმე ჭკუას ვიშოვიმეთქი. ამ დროს, ბედად, შენც მოხვედი და ჭოკიდან ჩამომსვი. შენმა სიტყვებმა დამარწმუნა, რომ როგორც კი ზურმუხტქალაქში ჩავალთ, დიდი ოზი მაშინვე მომცემს ჭკუას.

– იმედი მაქვს, – დარწმუნებით უთხრა დოროთიმ, – რაკი ასე გულით გინდა.

– როგორ არ მინდა, – მიუგო საფრთხობელამ, – თორემ ჯავრი გჭამს, როცა იცი, რომ სულელი ხარ.

– კარგი, – თქვა დოროთიმ, – წავიდეთ, – და საფრთხობელას კალათა მიაწოდა.

გზისპირას ღობეები აღარ ჩანდა, მიწაც ოღროჩოღრო და უხნავი იყო. მოსაღამოებულზე დიდ ტყეს მიადგნენ, ისეთ უღრანს, რომ ყვითელი აგურის გზის თავზე ტოტები ერთმანეთში გადაბარდულიყო. ხეებქვეშ თითქმის ბნელოდა, რადგან ტოტები დღის სინათლეს არ ატარებდა; მაგრამ მგზავრები არ შეჩერებულან და ტყეში შევიდნენ.

– თუ გზამ ტყეში შემოგვიყვანა, გაგვიყვანს კიდეც, – თქვა საფრთხობელამ, – და თუ ზურმუხტქალაქი ამ გზის ბოლოშია, უნდა გავყვეთ, სადაც გინდა წაგვიყვანოს.

– მაგის მიხვედრას რა დიდი ჭკუა უნდა! – თქვა დოროთიმ.

– ჰოდა, მაგიტომაც მივხვდი, – მიუგო საფრთხობელამ, – ჭკუა რომ უნდოდეს, რა მიმახვედრებდა.

ასე, ერთ საათში შუქი მიინავლა და ბორძიკბორძიკით მიდიოდნენ ბნელში. დოროთი ვეღარ ხედავდა, ხოლო ტოტო – კი, რადგან ზოგი ძაღლი სიბნელეშიც მშვენივრად ხედავს. საფრთხობელამ გამოაცხადა, მე ისე ვხედავ, როგორც დღისითო. დოროთიმაც ხელი ჩაჰკიდა და საქმე გამოსწორდა.

– თუ სახლი დაინახო ან ისეთი ადგილი, სადაც ღამეს გავათევთ, მითხარი, თორემ სიბნელეში სიარულზე ცუდი არაფერია, – უთხრა საფრთხობელას.

მალე საფრთხობელა შეჩერდა.

– მარჯვნივ ქოხი ჩანს, – უთხრა, – მორებით ნაშენი და ტოტებით გადახურული. მივიდეთ?

– ჰო, ჰო, – მიუგო ბავშვმა, – თორემ დავიქანცე.

საფრთხობელამ ხეებში გაატარა და ქოხთან მიიყვანა. დოროთი შევიდა და ერთ კუთხეში ხმელი ფოთლების ლოგინი დაინახა. მაშინვე დაწვა, ტოტოც გვერდით მოიწვინა და მალე ჩაეძინა. საფრთხობელამ დაღლა არ იცოდა, ამიტომ მეორე კუთხეში დადგა და მოთმინებით დაელოდა გათენებას.

თავი მეხუთე. რკინის ტყეკაფიას გადარჩენა

როცა დოროთის გაეღვიძა, ხეებში მზე ანათებდა, ტოტო კი კარგა ხნის წინ გასულიყო და ჩიტებსა და ციყვებს დასდევდა. დოროთი წამოჯდა და მიიხედმოიხედა. საფრთხობელა კვლავ მოთმინებით იდგა კუთხეში და ელოდა.

– წავიდეთ, წყალი ვიპოვოთ, – უთხრა დოროთიმ.

– წყალი რად გვინდა? – ჰკითხა საფრთხობელამ.

– გზაზე გავმტვრიანდი, ხელპირს დავიბან, დავლევ კიდეც და ხმელი პური ყელში აღარ გამეჩხირება.

– რა ძნელია ადამიანობა, – ფიქრიანად თქვა საფრთხობელამ, – ძილიც გინდათ, სმაცა და ჭამაც, სამაგიეროდ ჭკუა გაქვთ, რიგიანად ფიქრი შეგიძლიათ და მაგის ხათრით ბევრ უხერხულობას აიტანთ.

ქოხიდან გავიდნენ და ხეებში იარეს, ვიდრე ანკარა წყარო არ იპოვეს. დოროთიმ დალია, დაიბანა და ისაუზმა. კალათში პური ცოტაღა დარჩა და დოროთიმ გაიფიქრა, კიდევ კარგი, საფრთხობელას ჭამა არ სჭირდება, ეს ხომ მე და ტოტოსაც ძლივს გაგვწვდება ხვალამდეო.

როცა ჭამას მორჩა და ყვითელი აგურის გზაზე გაბრუნება დააპირა, მახლობლად ღრმა ამოოხვრა მოესმა და შეკრთა.

– რა იყო? – იკითხა შიშით.

– რა ვიცი, – მიუგო საფრთხობელამ, – მაგრამ თუ გინდა, ვნახოთ.

ამ დროს მეორედაც მოესმათ ოხვრა, თითქოს უკანიდან მოდიოდა. შებრუნდნენ, რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს და დოროთიმ დაინახა, რომ ხეებში, მზის შუქზე, რაღაც ელვარებდა. იქითკენ გაიქცა, მერე ადგილზე გაშეშდა და გაკვირვებით წამოიყვირა.

ერთი დიდი ხე ნახევრად მოეჭრათ, მის გვერდით კი ცულმომარჯვებული იდგა თავით ფეხამდე რკინისაგან ნაკეთი ადამიანი. თავი და ხელფეხი სხეულზე ჰქონდა მიმაგრებული, მაგრამ გაშეშებული იდგა, თითქოს ვერ იძვრისო.

დოროთიმ განცვიფრებით შეხედა, საფრთხობელაც მიაშტერდა, ტოტომ კი ყეფა აუტეხა, რკინის ფეხში სწვდა და კინაღამ კბილები მიიმტვრია.

– შენ ოხრავდი? – ჰკითხა დოროთიმ.

– დიახ, – მიუგო რკინის კაცმა, – მე ვიყავი. წელიწადზე მეტია, ვოხრავ და ვერავის გავაგონე, სანამ თქვენ არ მოხვედით საშველად.

– რა გიშველოთ? – სიბრალულით ჰკითხა დოროთიმ, რადგან კაცის სევდიანმა ხმამ გული აუჩვილა.

– საზეთური აიღეთ და სახსრები დამიზეთეთ, – მიუგო იმან, – ისე დამიჟანგდა, ვერ ვამოძრავებ; კარგად რომ დამზეთოთ, ცოტა ხანში მოვმჯობინდები. საზეთური თაროზე დევს, ჩემს ქოხში.

დოროთი მაშინვე გაიქცა ქოხისკენ, იპოვა საზეთური, დაბრუნდა და მღელვარედ ჰკითხა:

– აბა, სადა გაქვს სახსრები?

– ჯერ კისერი დამიზეთე, – მიუგო რკინის ტყეკაფიამ. დოროთიმ დაუზეთა და რაკი ჟანგს კარგა ღრმად შეეჭამა, საფრთხობელამ თუნუქის თავში ხელები ჩაავლო და ნელნელა ატრიალა აქეთიქით, სანამ კაცმა თვითონვე არ შეძლო თავის მიბრუნმობრუნება.

– ახლა ხელების სახსრები დამიზეთე, – თქვა და დოროთიმ დაუზეთა, საფრთხობელა კი ფრთხილად უხრიდა და უშლიდა ხელებს, სანამ ჟანგი არ მოშორდა და ახალივით არ გახდა.

რკინის ტყეკაფიამ კმაყოფილებით ამოიხვნეშა, ცული დაუშვა და ხეს მიაყუდა.

– ძლივს არ მოვითქვი სული! – თქვა, – რაც დავიჟანგე, მას მერე ეს ცული შემართული მიჭირავს. კიდევ კარგი, მეღირსა და დავუშვი. ახლა, თუ ფეხის სახსრებსაც დამიზეთავთ, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

მართლაც, მანამ უზეთავდნენ ფეხებს, სანამ თავისუფლად არ აამოძრავა; მერე იმდენჯერ გადაუხადა მადლობა გათავისუფლებისათვის, რომ ეტყობოდა, ძალზე თავაზიანი და მადლიერი არსება იყო.

– სამუდამოდ აქ ვიდგებოდი, თქვენ რომ არ ჩაგევლოთ, – თქვა, – ნამდვილად სიკვდილს გადამარჩინეთ. აქ რამ მოგიყვანათ?

– ზურმუხტქალაქში მივდივართ დიდი ოზის სანახავად, – უთხრა დოროთიმ, – და შენს ქოხში გავათიეთ ღამე.

– ოზის ნახვა რად მოგისურვებიათ? – ჰკითხა ტყეკაფიამ.

– მე მინდა, კანზასში დამაბრუნოს, საფრთხობელას კი – ჭკუა მისცეს, – მიუგო დოროთიმ.

რკინის ტყეკაფია წამით ღრმად ჩაფიქრდა და თქვა:

– ნეტავი, ოზი გულს ვერ მომცემდა?

– რატომაც ვერა, – უპასუხა დოროთიმ, – ეგ იმაზე ძნელი არ იქნება, ვიდრე საფრთხობელასთვის ჭკუის მიცემა.

– მართალია, – უთხრა რკინის ტყეკაფიამ, – ჰოდა, თუ თქვენს რაზმში მიმიღებთ, მეც წამოგყვებით ზურმუხტქალაქში და ოზს ვთხოვ, მიშველოს.

– წამოგვყევი, – გულითადად უთხრა საფრთხობელამ. დოროთიც აჰყვა, ძალიან გამიხარდება შენი შემომატებაო. ჰოდა, რკინის ტყეკაფიამ ცული მხარზე გაიდო და ტყეტყე იარეს, სანამ ყვითელი აგურის გზაზე არ გავიდნენ.

წასვლამდე რკინის ტყეკაფიამ დოროთის სთხოვა, კალათში საზეთური ჩაიდეო:

– წვიმაში რომ მოვყვე, ისევ დავჟანგდები, უსაზეთუროდ ვერ ვივარგებ.

კიდევ კარგი, რაზმს ახალი წევრი შეემატა, რადგან ცოტა ხნის სიარულის შემდეგ ერთ ადგილას მივიდნენ, სადაც ხეები და ბუჩქები ისე ჩახლართულიყო, რომ ვერასგზით ვერ გაივლიდნენ. რკინის ტყეკაფიამ ცული მოიმარჯვა და ისე იმუშავა, რომ მალე მთელ რაზმს გაუკაფა გზა.

გზად დოროთი ისე ჩაფიქრდა, რომ ვერ შენიშნა, როგორ წაბორძიკდა საფრთხობელა და როგორ გაგორდა გზისპირისკენ. დაძახებაც კი დასჭირდა, რომ დოროთის წამოეყენებინა.

– მაგ ხვრელს გარს რად არ შემოუარე? – ჰკითხა რკინის ტყეკაფიამ.

– მაგდენი არ ვიცი, – ხალისიანად უთხრა საფრთხობელამ, – მე ხომ თავში ჩალა მიყრია და ოზთან ჭკუის სათხოვნელად მივდივარ.

– გავიგე, – უთხრა რკინის ტყეკაფიამ, – ოღონდ ქვეყანაზე ჭკუა არ არის მთავარი.

– შენ თუ გაქვს? – ჩაეკითხა საფრთხობელა.

– არა, თავცარიელი ვარ, – მიუგო ტყეკაფიამ, – მაგრამ მქონდა. ჭკუაცა და გულიც. ჰოდა, რაკი ორივე ვიცი, რაც არის, გული მირჩევნია.

– მაინც, რატომ? – ჰკითხა საფრთხობელამ.

– გეტყვით ჩემს ამბავს და მიხვდებით.

და ვიდრე ტყეტყე მიდიოდნენ, აი, რა უამბო რკინის ტყეკაფიამ:

– ხისმჭრელის შვილი ვარ. მამაჩემი ტყეში ხეებს ჭრიდა და ყიდდა, ამით ვცხოვრობდით. როცა წამოვიზარდე, მეც ტყეკაფია გავხდი და მამაჩემის სიკვდილის შემდეგ დედას ვპატრონობდი, სანამ ცოცხალი იყო. მერე ვიფიქრე, მარტო ცხოვრებას აჯობებს, ცოლი მოვიყვანო და ეულად აღარ ვიქნებიმეთქი.

ერთ ლამაზ ღეჭია გოგოს დავადგი თვალი და ცოტა ხანში სულითა და გულით შემიყვარდა. ისიც დამპირდა, გამოგყვები, როგორც კი იმდენს იშოვი, რომ უკეთესი სახლი ამიშენოო; მეც წინანდელზე გულმოდგინედ მივყავი საქმეს ხელი. მაგრამ გოგო ერთ დედაბერთან ცხოვრობდა, რომელსაც იმისი გათხოვება სულაც არ ეპიტნავებოდა, რაკი ზარმაცი იყო და უნდოდა გოგო თავისთან ჰყოლოდა, რომ სახლიც იმას ელაგებინა და სადილიც იმას ეკეთებინა. ჰოდა, ადგა ეს დედაბერი, მივიდა აღმოსავლეთის ავ კუდიანთან და დაჰპირდა, ორ ცხვარსა და ერთ ძროხას მოგგვრი, თუ გოგოს გათხოვებაში ხელს შეუშლიო. ავმა კუდიანმაც ცული მომიჯადოვა და ერთ დღეს, როცა დიდი მოწადინებით ვჩეხავდი ხეს, რადგან მინდოდა, სახლიც თავის დროზე მღირსებოდა და ცოლიც, ცული ხელიდან გამისხლტა და მარჯვენა ფეხი წამაჭრა.

ჯერ ვიფიქრე, დავიღუპემეთქი, რადგან ვიცოდი, რომ ცალფეხა კაცი ხისმჭრელად ვერ ივარგებს. მერე მჭედელთან მივედი და რკინის ფეხი გავაკეთებინე. ფეხი მშვენივრად მოვირგე და ცოტა ხანში შევეგუე. მაგრამ ამაზე აღმოსავლეთის ავმა კუდიანმა სულ ცეცხლები ჰყარა, რაკი დედაბრისთვის პირობა ჰქონდა მიცემული, ლამაზ ღეჭია გოგოს არ შევართვევინებო. როცა ისევ შევუდექი ხის ჭრას, ცული ისევ გამისხლტა და ახლა მარჯვენა ფეხი წამაჭრა. ისევ მჭედელს მივადექი და იმანაც ისევ გამიკეთა რკინის ფეხი. ამის მერე მოჯადოებულმა ცულმა ერთიმეორის მიყოლებით დამაჭრა ხელები, მაგრამ ვერც ამან შემაშინა და რკინის ხელებით შევცვალე. მაშინ ავმა კუდიანმა ისე ჰქნა, რომ ცული გამისხლტა და თავი მომაჭრა. ვიფიქრე, ჩემი აღსასრული დადგამეთქი. მაგრამ ბედად მჭედელმა ჩაიარა და რკინის თავი დამიმზადა.

ვიფიქრე, ავ კუდიანს ვაჯობემეთქი და წინანდელზე გულმოდგინედ გავაგრძელე შრომა, მაგრამ თურმე რა სასტიკი მტერი მყავდა! მოიფიქრა, როგორ გადაეყვარებინა ჩემთვის მშვენიერი ღეჭია გოგო და ისევ გამაგდებინა ხელიდან ცული. ცულმა შუაზე გამჭრა და აქეთიქით გადავვარდი. ერთხელაც მიშველა მჭედელმა, რკინის ტანი გამომიჭედა და რკინის ხელფეხი და თავი სახსრებით მიამაგრა, ისე რომ მოძრაობა წინანდებურად შემეძლო. მაგრამ ვაი, ჩემს თავს! გული აღარ მქონდა, ამიტომ ღეჭია გოგოც გადამიყვარდა და აღარც ის მადარდებდა, შევირთავდი თუ არა. ალბათ, ახლაც იმ დედაბერთან ცხოვრობს და ჩემს მოლოდინშია.

მზეზე სხეული ისე მიბრწყინავდა, რომ სიამაყით ავივსე და აღარც ცულის გასხლტომა მადარდებდა: აბა, რაღას მომაჭრიდა! ერთი საფრთხე ისღა იყო, სახსრები არ დამჟანგებოდა, თუმცა ქოხში საზეთური მქონდა და როცა დამჭირდებოდა,

ვიზეთებოდი. მაგრამ დადგა დღე, როცა დაზეთვა დამავიწყდა, თავსხმაში მოვყევი და სანამ რამეს მოვახერხებდი, სახსრები დამიჟანგდა და იმ ტყეში ჩავრჩი, სანამ არ მოხვედით და არ მიშველეთ. შავ დღეში ვიყავი, მაგრამ მთელი ის წელი, სანამ გაშეშებული ვიდექი, საფიქრალი დრო მქონდა და მივხვდი, რომ ყველაზე დიდი დანაკარგი ჩემთვის გული იყო. სანამ ის გოგო მიყვარდა, დედამიწის ზურგზე უბედნიერესი კაცი ვიყავი; მაგრამ თუ გული არა გაქვს, ვინ შეგიყვარდება! ჰოდა, გადავწყვიტე, ოზს გული გთხოვო. თუ მომცემს, ღეჭია გოგოს დავუბრუნდები და ცოლად შევირთავ.

დოროთიმ და საფრთხობელამ დიდი ინტერესით მოისმინეს რკინის ტყეკაფიას ამბავი და მიხვდნენ, რად იყო ასე მოწადინებული, ახალი გულის საშოვნელად.

– აი, მე კი, – თქვა საფრთხობელამ, – გულის მაგივრად მაინც ჭკუას ვთხოვ: ბრიყვს, გული რომც ჰქონდეს, მაინც ვერ მიხვდება, რაში გამოიყენოს.

– მე გული მირჩევნია, – მიუგო რკინის ტყეკაფიამ, – ჭკუა ვერ გაგაბედნიერებს, ბედნიერებას კი არაფერი სჯობს.

დოროთის ხმა არ გაუღია. ვერ მიმხვდარიყო, ახალი მეგობრებიდან რომელი იყო მართალი და ბოლოს გაიფიქრა, ოღონდაც კანზასში, დეიდა ემთან დამაბრუნა და სულ ერთი არ არის, აქვს ტყეკაფიას ჭკუა და საფრთხობელას – გული თუ არა, ან მიიღებენ იმას, რაც უნდათ თუ ვერაო!

ყველაზე უფრო ის აწუხებდა, რომ პური უთავდებოდათ: მისი და ტოტოს ერთი ჭამაც და – კალათი დაიცლებოდა. რასაკვირველია, არც ტყეკაფია ჭამდა რამეს და არც საფრთხობელა, მაგრამ თვითონ ხომ არც რკინისა იყო და არც ჩალისა, ამიტომ უჭმელი ვერ გაძლებდა.

თავი მეექვსე. მხდალი ლომი

მთელი ეს ხანი დოროთი და მისი თანამგზავრები უღრან ტყეში მიდიოდნენ. გზა ჯერაც ყვითელი აგურით იყო მოკირწყლული, მაგრამ აგურებს ხეებიდან ჩამოყრილი ხმელი ტოტები და ფოთლები ფარავდა და სიარული უჭირდათ.

ტყის ამ ნაწილში ფრინველები ცოტა იყო, რადგან ფრინველებს გაშლილი ადგილი უყვართ, სადაც მზე კაშკაშებს. თუმცა დროდადრო ხეებში მიმალული რომელიმე მხეცის ხმამაღალი ღრენა ისმოდა. ამის გაგონებაზე პატარა გოგოს გული აუფანცქალდებოდა ხოლმე, რადგან არ იცოდა, რა მხეცი იღრინებოდა; სამაგიეროდ ტოტომ იცოდა: დოროთის არ შორდებოდა და საპასუხოდ დაყეფებასაც კი ვერ ბედავდა.

– რამდენი ხანში გავალთ აქედან? – ჰკითხა გოგომ რკინის ტყეკაფიას.

– აბა, რა გითხრა, – მიიღო პასუხად, – მე ხომ ზურმუხტქალაქში ნამყოფი არა ვარ. აი, მამაჩემი კი ყოფილა ერთხელ, ჩემს პატარაობაში და ამბობდა, დიდხანს ვიარე საშიშ ადგილებშიო. თუმცა, იმ ქალაქს რომ მიუახლოვდები, სადაც ოზი ბრძანდება, მიდამო უკვე ლამაზია. მაგრამ მე არ მეშინია, საზეთური ხომ აქა მაქვს, არც საფრთხობელას დაუშავდება რამე, შენ კი შუბლზე კეთილი კუდიანის ნიშანი გამჩნევია და სიავე არ მოგეკარება.

– ჰო, მაგრამ ტოტო! – აღელდა გოგონა, – ტოტოს რაღა ეშველება?

– ტოტოს თუ გაუჭირდა, ჩვენ ვუშველით, – მიუგო რკინის ტყეკაფიამ.

ამის თქმაზე ტყიდან საშინელი ღრიალი მოისმა და გზაზე ვეებერთელა ლომმა ისკუპა. თათის ერთი მოქნევით საფრთხობელა გზისპირისკენ დააგორა, მერე კი რკინის ტყეკაფიას დაჰკრა ბასრი კლანჭები, მაგრამ თავისდა გასაკვირად, რკინას ვერაფერი დააკლო, თუმცა ტყეკაფია გზაზე დავარდა და უძრავად იწვა.

პატარა ტოტომ პირისპირ მტერი დაინახა და ლომისკენ გაექანა. ვეება მხეცმა ის იყო, პირი დააღო და უნდა ეკბინა, რომ დოროთიმ, იმის შიშით, ტოტო არ მოკლასო, საფრთხე არაფრად ჩააგდო, გაექანა, ლომს ცხვირზე მთელი ძალღონით დაჰკრა ხელი და დაუყვირა:

– ტოტოს კბენა არ გაბედო! არც კი გრცხვენია, ამსიდიდე მხეცი ხარ და საწყალ ლეკვს ჰკბენ!

– როდის ვუკბინე?! – თქვა ლომმა და დოროთის დანარტყამი ცხვირი თათით მოისრისა.

– ხომ აპირებდი, – მიუგო დოროთიმ, – მხდალი ხარ და სხვა არაფერი.

– ვიცი, – თქვა ლომმა და სირცხვილით თავი ჩაჰკიდა, – ეგ მეც ვიცი, მაგრამ რა ვქნა?

– რა მოგახსენო! იმ საწყალ საფრთხობელას რაღას ერჩოდი, ჩალაბულათი გამოტენილ კაცს?

– ჩალაბულათიო? – გაკვირვებით ჰკითხა ლომმა, თან უყურებდა, როგორ აიყვანა დოროთიმ საფრთხობელა, როგორ დააყენა ფეხზე და ააფუა.

– დიახ, ჩალაბულათი, – ჯერაც ბრაზით მიუგო დოროთიმ.

– იმიტომაც გადაგორდა ეგრე იოლად, – აღნიშნა ლომმა, – მეც არ გამიკვირდა, ასე რამ გადააკოტრიალამეთქი! მეორეც ჩალისაა?

– არა, – უთხრა დოროთიმ, – მეორე რკინისაა, – და ტყეკაფია ფეხზე წამოაყენა.

– მაგიტომ იყო, რომ კლანჭები კინაღამ დამიჩლუნგა, – თქვა ლომმა, – რკინაზე გავუსვი და ზურგზე ცივად დამაზრიალა. ის პატარა მხეცი ვინღაა, ასე რომ გიყვარს?

– ჩემი ძაღლია, ტოტო, – მიუგო დოროთიმ.

– რკინისაა თუ ჩალისა? – ჰკითხა ლომმა.

– არც ერთისა და არც მეორესი. ხორცის ძაღლია, – მიუგო გოგონამ.

– უჰ! საინტერესო ცხოველია, თანაც, ვუყურებ და მართლაც ერთი ციდა ყოფილა. აბა, ვის მოაფიქრდებოდა ამ პაწაწინას დაკბენა ჩემნაირი მხდალის გარდა, – სევდიანად განაგრძო ლომმა.

– ასეთი მხდალი რად ხარ? – ჰკითხა დოროთიმ და განცვიფრებით შეხედა, რადგან ლომი ტანმორჩილი ცხენისოდენა იყო.

– გამოცანაა, – მიუგო ლომმა, – ეტყობა, ასეთი დავიბადე. ტყეში, ცხადია, ყველა ცხოველს მამაცი ვგონივარ, ლომი ხომ ყველგან ცხოველთა მეფედ ითვლება. დაკვირვებული ვარ, თუ მთელი ძალღონით დავიღრიალე, ყველა სულიერს ეშინია და გზიდან მეცლებიან. როცა კი ადამიანს გადავყრივარ, შიშით სული გამპარვია, მაგრამ ერთ დაღრიალებაზე ყველა თავქუდმოგლეჯილი გარბის ხოლმე. სპილო, ვეფხვი ან დათვი რომ შემებას, ისეთი მხდალი ვარ, კისრისტეხით მოვუსვამ, მაგრამ ერთს რომ დავიღრიალებ, ყველანი გარბიგამორბიან და მეც, რაღა თქმა უნდა, არ მივდევ.

– ჰო, მაგრამ ეგ ხომ სწორი არ არის. ცხოველთა მეფე მხდალი არ უნდა იყოს, – თქვა საფრთხობელამ.

– ვიცი, – მიუგო ლომმა და კუდის ფოჩით შეიმშრალა ცრემლი, – ეგ არის, გულს რომ მიკლავს და სიცოცხლეს მიმწარებს. როგორც კი ერთი ბეწო საფრთხე ჩნდება, გული ლამის ბუდიდან ამომიხტეს ხოლმე.

– იქნებ გულის დაავადება გაქვს, – უთხრა რკინის ტყეკაფიამ.

– შეიძლება, – მიუგო ლომმა.

– მაშ, უნდა გიხაროდეს, – განაგრძო ტყეკაფიამ, – გამოდის, რომ გული გქონია. მე გული არა მაქვს და ვერც გულის დაავადება მექნება.

– გული რომ არ მქონდეს, იქნებ მხდალიც არ ვიყო, – დაფიქრებით თქვა ლომმა.

– ჭკუა თუ გაქვს? – ჰკითხა საფრთხობელამ.

– ალბათ. ისე კი, არ დამინახავს, – მიუგო ლომმა.

– მე დიდ ოზთან მივდივარ ჭკუის სათხოვნელად, – აღნიშნა საფრთხობელამ, – თორემ თავი ჩალით მაქვს გამოტენილი.

– მე გულის თხოვნას ვაპირებ, – უთხრა ტყეკაფიამ.

– მე კი უნდა ვთხოვო, მე და ტოტო კანზასში დაგვაბრუნოს, – დაუმატა დოროთიმ.

– ვითომ, მომცემს ოზი სიმამაცეს? – იკითხა მხდალმა ლომმა.

– რატომაც არა, თუკი მე ჭკუას მომცემს, – უთხრა საფრთხობელამ.

– მე – გულს, – თქვა რკინის ტყეკაფიამ.

– მე კი კანზასში გამამგზავრებს, – უთხრა დოროთიმ.

– მაშ, თუ უარს არა ხართ, წამოგყვებით, – თქვა ლომმა, – თორემ ასეთ მხდალს სიცოცხლე ჩალად არ მიღირს.

და პატარა რაზმი ერთხელაც დაადგა გზას. ლომი მეფურად მიაბიჯებდა დოროთის მხარდამხარ. ტოტოს ჯერ თვალში არ მოუვიდა ახალი თანამგზავრი, რადგან ვერ ივიწყებდა, რომ იმან კინაღამ ვეება ყბებით გაკვნიტა. მაგრამ გავიდა ხანი, ცოტა გათამამდა და მალე ტოტო და მხდალი ლომი მშვენივრად დამეგობრდნენ.

იმ დღის ბოლომდე მათი მგზავრობა აღარანაირ თავგადასავალს არ შეუფერხებია. ეს კია, რომ ერთხელ რკინის ტყეკაფიამ გზაზე მხოხავ ხოჭოს დაადგა ფეხი და, ის საწყალი, მოკლა. ამან ტყეკაფია ძალიან დააღონა, ის ხომ მუდამ ფრთხილობდა, არანაირი სულიერისთვის არაფერი დაეშავებინა, ამიტომ გზადაგზა სევდისა და სინანულის რამდენიმე ცრემლი ჩამოუგორდა. ცრემლები ნელა ჩამოსდიოდა სახესა და ყბის სახსრებზე და დაუჟანგა კიდეც. მალე დოროთიმ რაღაც ჰკითხა და რკინის ტყეკაფიამ პირი ვერ გააღო, რადგან ყბები მაგრად მიჟანგვოდა ერთმანეთს. ამან შეაშფოთა და ბევრნაირად ანიშნა დოროთის, მიშველეო, მაგრამ დოროთიმ ვერ გაიგო. ლომიც დაიბნა, ნეტავი რა მოხდაო. სამაგიეროდ საფრთხობელამ დოროთის კალათიდან საზეთური ამოიტაცა, ტყეკაფიას ყბები დაუზეთა და ისიც ორიოდე წამში წინანდებურად ალაპარაკდა.

– ჭკუას ვისწავლი და ფრთხილად ვივლი, თორემ კიდევ რომ შემომაკვდეს ხოჭო ან მუხლუხო, ისევ ვიტირებ, ყბები დამიჟანგდება და ვეღარ ვილაპარაკებ.

ჰოდა, ფრთხილად მიდიოდა, გზას დაჰყურებდა და როცა პაწია მღოღავ ჭიანჭველას დაინახავდა, გადააბიჯებდა, რომ არაფერი დაეშავებინა.

რკინის ტყეკაფიამ კარგად იცოდა, რომ უგულო იყო, ამიტომ ძლიერ ფრთხილობდა, ვინმეს სასტიკად ან უსულგულოდ არ მოვექცეო.

– ვისაც გული გაქვთ, გულისთქმას მიჰყვებით და შეცდომები არ მოგდით, მე კი უგულო ვარ და სიფრთხილე მმართებს .

თავი მეშვიდე. მგზავრობა დიდი ოზისაკენ

ის ღამე ტყეში, ერთი დიდი ხის ქვეშ გაათიეს, რადგან ახლომახლო სახლები არ იდგა. ხის სქელი ვარჯი ცვრისაგან იფარავდა, ხოლო რკინის ტყეკაფიამ ცულით ბლომად შეშა დააგროვა და ისეთი ჩინებული კოცონი გააჩაღა, რომ დოროთი გათბა კიდეც და აღარც წინანდელივით მარტოსული ეგონა თავი. მან და ტოტომ პური სულ გაათავეს და აღარ იცოდა, მათ საუზმეს რა ერქმეოდა.

– თუ გინდა, ტყეში შევალ და ერთ ირემს მოვინადირებ. მერე, რაკი ასეთი უცნაური პირის გემო გაქვთ და უმ ხორცს ვერ ჭამთ, ადექი, ცეცხლზე შეწვი და მშვენიერი საუზმე გამოგივა, – თქვა ლომმა.

– რას ამბობ, ოღონდ ეგ არ ქნა, – შეემუდარა რკინის ტყეკაფია, – თორემ საწყალი ირემი რომ მოკლა, ისევ ვიტირებ და ყბები ისევ დამიჟანგდება.

მაგრამ ლომი ტყეში შევარდა და ვახშამი იშოვა, ოღონდ რა – არ იცოდნენ, რადგან თვითონ კრინტი არ დაუძრავს. საფრთხობელამ კაკლით დახუნძლული ხე იპოვა და დოროთის კალათი აუვსო, დიდხანს მშიერი ყოფნამ არ მოუწიოსო. დოროთის ეამა საფრთხობელას მზრუნველობა, მაგრამ თან მაინც ეცინებოდა, როცა უყურებდა, რა მოუქნელად აგროვებდა ის საწყალი კაკლებს. ჩალაბულათი გამოტენილი ხელები გახევებული ჰქონდა, კაკლები კი პატარა იყო და რამდენსაც კალათში ყრიდა, ლამის ერთი იმდენი მიწაზე უცვიოდა. თუმცა, საფრთხობელას არ ადარდებდა, რამდენ ხანს მოუნდებოდა კალათის ავსებას: რაც მთავარია, ცეცხლიდან მოშორებით იყო, თორემ ჩალაზე რომ ნაპერწკალი მოხვედროდა, დაიწვებოდა. ჰოდა, რაც შეეძლო, ერიდებოდა კოცონს და იმისთვისღა მიუახლოვდა, რომ ჩაძინებული დოროთისთვის ხმელი ფოთლები წაეფარებინა. დოროთი ჩამყუდროვდა, ჩათბა და დილამდე ტკბილად ეძინა.

როცა ინათა, პატარა, მოჩუხჩუხე ნაკადულში დაიბანა პირი და მალე კვლავ ზურმუხტქალაქის გზას დაადგნენ.

იმ დღეს ათასი რამ შეემთხვათ. ერთი საათიც არ ევლოთ, რომ გზა დიდმა ნაპრალმა გადაუღობა, რომელიც აქეთაც და იქითაც, სადამდეც თვალი სწვდებოდა, ტყეს შუაზე კვეთდა. ნაპრალი ფართო იყო და როცა კიდესთან მიცოცდნენ და ჩაიხედეს, დაინახეს, რომ ღრმაც ყოფილიყო, ძირში კი დიდი, წვეტიანი ქვები ეყარა. თხრილის კიდეები ისეთი ციცაბო იყო, შიგ ვერ ჩაცოცდებოდნენ და წამით იფიქრეს, ჩვენი მგზავრობა ამით დასრულდაო.

– რა ვიღონოთ? – სასოწარკვეთით იკითხა დოროთიმ.

– აბა, რა გითხრა, – მიუგო რკინის ტყეკაფიამ, ხოლო საგონებელში ჩავარდნილმა ლომმა გაბურძგნული თავი გაიქნია.

სამაგიეროდ საფრთხობელამ თქვა:

– გადაფრენით ვერ გადავფრინდებით და ამსიღრმე ნაპრალში ვერც ჩავცოცდებით. ჰოდა, თუ ზედ გადახტომა ვერ მოვახერხეთ, იქ უნდა გავჩერდეთ, სადაც ვართ.

– მე მგონი, მოვახერხებ, – თქვა მხდალმა ლომმა მას შემდეგ, რაც მანძილი თვალით გაზომა.

– მაშ, გვშველებია და ეგაა, – მიუგო საფრთხობელამ, – თუკი ზურგზე შეგვისვამ და რიგრიგობით გადაგვიყვან.

– ვცდი, – თქვა ლომმა, – პირველი ვინ წამომყვება?

– მე, – გამოაცხადა საფრთხობელამ, – იმიტომ, რომ თუ ისე მოხდა, რომ ნაპრალს ვერ გადაახტი, დოროთი ფსკერზე დაყრილ ქვებს დაენარცხება და დაიღუპება, ტყეკაფია კარგა მაგრად დაიჟეჟება, მე კი რა მიშავს, რომც ჩავვარდე, არაფერი დამიშავდება.

– ჩავარდნისა მეც ძალიან მეშინია, – თქვა მხდალმა ლომმა, – მაგრამ სხვა რა გზაა, უნდა ვცადოთ. შემაჯექი და გადავხტეთ.

საფრთხობელა ლომს ზურგზე შეაჯდა. ნადირი უფსკრულის ნაპირს მიადგა და ნახტომისთვის მოემზადა.

– რატომ არ გამოქანდი და ისე არ გადახტი? – ჰკითხა საფრთხობელამ.

– იმიტომ რომ ლომებს ასე გვირჩევნია, – მიუგო ლომმა. მერე ვეება ზამბარასავით გასწორდა და უგრძესი სკუპით მშვიდობიანად დაეშვა იქითა ნაპირზე. ყველამ გაიხარა იმის დანახვით, თუ რა იოლად გამოუვიდა ლომს ნახტომი, და მას შემდეგ, რაც საფრთხობელა ლომის ზურგიდან ჩამოცოცდა, ნადირი ისევ უკან გადმოხტა.

დოროთიმ გადაწყვიტა, ახლა მე გადავხტებიო, ტოტო აიყვანა, ლომს ზურგზე ააცოცდა და ცალი ხელით მაგრად ჩაეჭიდა ფაფარში. წამიც და ეგონა, ჰაერში მივფრინავო, მაგრამ დაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ უკვე მეორე მხარეს დაეშვა. ლომი მესამედ გაბრუნდა და რკინის ტყეკაფია გადმოიყვანა. მერე ყველანი ჩამოსხდნენ და ნადირს სული მოათქმევინეს, რადგან ამ გადახტომაგადმოხტომამ სუნთქვა შეუკრა და ნარბენი ძაღლივით ქოშინებდა.

აქეთა მხარეს ტყე უღრანი, ბნელი და პირქუში იყო. ლომმა რომ დაისვენა, ისევ ყვითელი აგურის გზას გაუყვნენ და ყველა თავთავისთვის ფიქრობდა, ნეტავი ოდესმე თუ გავლევთ ამ ტყეს და მზის გულზე გასვლა თუ გვეღირსებაო. მათ გასაჭირს ისიც დაემატა, რომ მალე ტყის სიღრმიდან უცნაური ხმა მოესმათ და ლომმა წაიჩურჩულა, ამ ადგილებში კალიდა იცისო.

– კალიდა რაღაა? – ჰკითხა გოგომ.

– საზიზღარი ნადირია. ტანი დათვს მიუგავს, თავი – ვეფხვს, – მიუგო ლომმა, – ბრჭყალები კი გრძელი აქვს და ბასრი. ისე იოლად გამფატრავს, როგორც მე – ტოტოს. კალიდების ხსენებაზე შიშით სულ ელეთმელეთი მომდის.

– რა გასაკვირია, რომ გეშინოდეს, – მიუგო დოროთიმ, – ალბათ საზარელი ნადირები არიან.

ლომს, ის იყო, პასუხი უნდა გაეცა, რომ გზად მეორე ნაპრალი გადაეღობათ, ოღონდ ეს ნაპრალი იმსიგანე და იმსიღრმე იყო, რომ ლომი იმწამსვე მიხვდა, ვერ გადავახტებიო.

დასხდნენ და დაფიქრდნენ, რა ვქნათო. საფრთხობელამ ბევრი იფიქრა და თქვა:

– ნაპრალის პირას ერთი დიდი ხე დგას. თუ რკინის ტყეკაფია ისე მოჩეხავს, რომ იქითა მხარეს გადასწვდეს, ზედ გადავალთ და ეგ იქნება.

– ეგ რა კარგი რამ მოგაფიქრდა, – თქვა ლომმა, – გეგონება თავი ჩალით კი, ჭკუით გაქვს გატენილიო.

ტყეკაფია მაშინვე შეუდგა საქმეს და იმ თავისი ალესილი ცულით ცოტა ხანში ხე ლამის მთლიანად მოჩეხა. მერე ხეს ლომი მიაწვა ღონიერი წინა თათებით და ჭახანით გადააწვინა ნაპრალზე, ისე რომ ზედა ტოტები მეორე მხარეს მოხვდა.

ის იყო, ამ უცნაურ ხიდზე შედგნენ, რომ ხმამაღალმა ღრენამ უკან მიახედა და შეძრწუნებულებმა დაინახეს, როგორ მორბოდა მათკენ ორი ნადირი. ტანები დათვებს მიუგავდათ, თავები – ვეფხვებს.

– კალიდები არიან! – თქვა მხდალმა ლომმა და აკანკალდა.

– ჩქარა! – დაიძახა საფრთხობელამ, – გადავიდეთ!

პირველი ხელში ტოტოატატებული დოროთი წავიდა, მერე რკინის ტყეკაფია, მერე კი – საფრთხობელა. ლომი შიშატანილი კი იყო, მაგრამ მაინც მიუბრუნდა კალიდებს და ისეთი ხმამაღალი და საზარელი ღრიალი ამოუშვა, რომ დოროთიმ შეჰკივლა, საფრთხობელა კი გულაღმა დავარდა. მძვინვარე მხეცები გაშეშდნენ და გაკვირვებით შეხედეს ლომს.

თუმცა, როგორც კი დაინახეს, რომ ლომზე დიდები იყვნენ და თანაც ორნი, ის კი – ერთი, ისევ გამოექანნენ. ლომმა ხე გადმოიარა და მიბრუნდა, რომ დაენახა, რას იზამდნენ კალიდები. მძვინვარე მხეცები შეუჩერებლად შეუდგნენ ხიდზე გადმოსვლას. ლომმა დოროთის უთხრა:

– დავიღუპეთ, ნამდვილად ბასრი კლანჭების წერა გავხდებით. უკან მომეფარე და სანამ ცოცხალი ვარ, ვიბრძოლებ.

– ერთი წუთით! – დაუძახა საფრთხობელამ. აქამდე გამალებით ფიქრობდა, რა ვიღონოთო და ახლა ტყეკაფიას სთხოვა, ნაპრალის აქეთა მხარეს გადმოდებული ხე ჩაჩეხეო. რკინის ტყეკაფიამ მაშინვე აამუშავა ცული და ის იყო, ორმა კალიდამ ლამის აქეთა ნაპირს უწია, რომ ხე ჭახანით ჩაეცა ნაპრალში და უგვანი, აღრენილი მხეცებიც ჩაიტანა. ორივენი ფსკერის წვეტიან ქვებზე დაიფლითნენ.

– კარგი, – თქვა მხდალმა ლომმა და შვებით ამოიხვნეშა, – ეტყობა, კიდევ გვიწერია სიცოცხლე. ძალიან მიხარია, იმიტომ რომ თუ ცოცხალი არა ხარ, აბა, რა ხეირია. იმ ოხრებმა ისე შემაშინეს, გული ჯერაც მიფანცქალებს.

– ეჰ, – დაღონდა რკინის ტყეკაფია, – გული მომცა და რამდენიც უნდა, იმდენი იფანცქალოს.

ამ თავგადასავლის შემდეგ მგზავრებს წინანდელზე მეტად მოუნდათ ტყიდან გაღწევა და ისე მკვირცხლად განაგრძეს გზა, რომ დოროთი დაიღალა და სხვა რა გზა იყო, ლომს ააცოცდა ზურგზე. მათდა სასიხარულოდ რაც უფრო წინ მიდიოდნენ, ხეები უფრო და უფრო მეჩხერდებოდა და შუადღისას ფართო მდინარეს მიადგნენ, რომელიც სწრაფად მიაქანებდა ტალღებს. იქითა ნაპირზე ჩანდა, რომ ყვითელი აგურის გზა მშვენიერ მიდამოში – ფერადფერადი ყვავილებით დაჩითულ მწვანე მინდვრებში – მიდიოდა, ხოლო გზის აქეთიქით საუცხოო ხილით დახუნძლული ხეები ჩარიგებულიყო. ამ მშვენიერი ადგილის დანახვამ ყველას გული გაუხალისა.

– მდინარეზე როგორ გადავიდეთ? – იკითხა დოროთიმ.

– ძალიან ადვილად, – მიუგო საფრთხობელამ, – რკინის ტყეკაფია ტივს აგვიგებს და მეორე ნაპირზე გადავცურავთ.

რკინის ტყეკაფიამაც მოიმარჯვა ცული, მოჩეხა მომცრო ხეები და ტივი ააგო, ხოლო საფრთხობელამ ამასობაში მდინარის პირას მშვენიერი ხილით დახუნძლულ ხეს მიაგნო. დოროთის გაუხარდა, რადგან მთელი დღე კაკლის მეტი არაფერი ჩასვლოდა პირში და მწიფე ხილს მოულხინა.

თუმცა, ტივის აგებას დრო უნდა, რკინის ტყეკაფიასავით დაოსტატებული და დაუღალავი მუშაკისათვისაც კი, ამიტომ, დაღამდა და საქმეს ჯერ დამთავრების პირი არ უჩანდა. რას იზამდნენ: ხეებქვეშ მყუდრო ადგილი იპოვეს და ღამე იქ გაათიეს; დოროთის ზურმუხტქალაქი ესიზმრა და კეთილი ჯადოქარი ოზი დაჰპირდა, შინ მალე დაგაბრუნებო.

თავი მერვე. ყაყაჩოების სასიკვდილო ველი

მეორე დილით ჩვენი მგზავრების პატარა გუნდმა დასვენებულდაიმედებულმა გამოიღვიძა. დოროთიმ მეფურად ისაუზმა მდინარის პირას მდგარი ხეებიდან მოკრეფილი ატმითა და ქლიავით. ბნელ ტყეში ბევრი გასაჭირი გამოიარეს, მაგრამ ტყე უკან დარჩა და ახლა თვალწინ მშვენიერი, მზიანი მიდამო ჰქონდათ გადაშლილი, რომელიც ზურმუხტქალაქისკენ უხმობდა.

რასაკვირველია, იმ მშვენიერი ადგილიდან ფართო მდინარე ჰყოფდათ, მაგრამ ტივი თითქმის მზად იყო და მას მერე, რაც რკინის ტყეკაფიამ კიდევ რამდენიმე ხე მოჭრა და ხისავე სოლებით შეკრა, უკვე გაცურვაც შეიძლებოდა. დოროთი ტივის შუაგულში დაჯდა და ტოტო ჩაიხუტა. როცა ტივზე მხდალი ლომი ავიდა, ტივი ლამის აყირავდა, რადგან ლომი დიდი და მძიმე იყო, მაგრამ საფრთხობელა და რკინის ტყეკაფია მეორე მხარეს დადგნენ და ტივი გააწონასწორეს, მერე კი გრძელი ჭოკები მოიმარჯვეს და ტივი ნაპირს მოაშორეს.

ჯერ კარგად მიცურავდნენ, მაგრამ შუა მდინარეში სწრაფმა დინებამ ტივი გააქანა და თვალდათვალ დააშორა ყვითელი აგურის გზას. წყალი იმსიღრმე გახდა, რომ გრძელ ჭოკებს ფსკერს ვეღარ აწვდენდნენ.

– აფსუს, – თქვა რკინის ტყეკაფიამ, – თუ ნაპირას ვერ მივადექით, დასავლეთის ავი კუდიანის ქვეყანაში ამოვყოფთ თავს და მოჯადოება და მონობა არ აგვცდება.

– და მე ჭკუა არ მეღირსება, – თქვა საფრთხობელამ.

– მე – სიმამაცე, – თქვა მხდალმა ლომმა.

– მე – გული, – თქვა რკინის ტყეკაფიამ.

– მე კი – კანზასში დაბრუნება, – თქვა დოროთიმ.

– როგორმე ზურმუხტქალაქში უნდა მოვხვდეთ, – განაგრძო საფრთხობელამ და ისე დააწვა იმ თავის გრძელ ჭოკს, რომ ჭოკი მდინარის ფსკერზე, ლამში ჩაერჭო და ვიდრე ამოაძრობდა ან ხელს გაუშვებდა, ტივი გაცურდა, საწყალი საფრთხობელა კი შუა მდინარეში, ჭოკზე დაკიდული დარჩა.

– ნახვამდის! – დაუძახა დანარჩენებს და ყველა დაღონდა, რადგან უიმისოდ მიდიოდნენ. რკინის ტყეკაფიას ცრემლი წასკდა, მაგრამ კიდევ კარგი, გაახსენდა, რომ შეიძლება დაჟანგებულიყო და დოროთის წინსაფრით შეიშრო.

საფრთხობელა შავ დღეში ჩავარდა.

„დოროთისთან შეხვედრამდე რა მიშავდა“, გაფიქრა, „სიმინდის ყანაში მაინც ვეკიდე და, სხვა თუ არაფერი, ვითომ ყვავებს მაინც ვაფრთხობდი, ამ შუა წყალში, ჭოკზე ჩაბღაუჭებული საფრთხობელასგან კი აბა, რა ხეირია. და ჭკუა ხომ... ჭკუა ნამდვილად არ მეღირსება!“

ტივი დინებამ წაიღო, საწყალი საფრთხობელა შორს დარჩა. მერე ლომმა თქვა:

– როგორმე თავს უნდა ვუშველოთ. მოდი, ნაპირისკენ გავცურავ და ტივს წავიყოლებ, ოღონდ კუდში ჩამებღაუჭეთ.

და წყალში ისკუპა, რკინის ტყეკაფია კუდზე მოეჭიდა. მერე ლომმა მთელი ძალღონით გაცურა ნაპირისკენ. ზორბა კი იყო, მაგრამ მაინც გაუჭირდა. თუმცა, თანდათან დინებას თავი დააღწიეს, დოროთიმ რკინის ტყეკაფიას გრძელი ჭოკი აიღო და ტივს ნაპირისკენ უბიძგა.

ბოლოს დაღლილდაქანცულებმა მიაღწიეს ნაპირს და მშვენიერ მწვანე ბალახზე გადავიდნენ. იცოდნენ, რომ დინებამ კარგა ბევრად დააშორა ზურმუხტქალაქისკენ მიმავალ ყვითელი აგურის გზას.

– ახლა რაღა ვქნათ? – იკითხა რკინის ტყეკაფიამ, როცა ლომი ბალახზე გაწვა და მზეს მიეფიცხა.

– როგორმე გზაზე უნდა დავბრუნდეთ, – თქვა დოროთიმ.

– ყველაფერს აჯობებს, ნაპირს გავუყვეთ, სანამ გზაზე არ გავალთ, – აღნიშნა ლომმა.

ჰოდა, როცა დაისვენეს, დოროთიმ კალათი აიღო და ბალახოვან ნაპირს გაუყვნენ იმ გზისკენ, რომელსაც მდინარემ დააშორა. იქაურობა მშვენიერი იყო, ყვავილებით, ხეხილითა და მზის შუქით სავსე და საწყალი საფრთხობელა რომ არა, ყველანი გახალისდებოდნენ.

რაც შეეძლოთ, სწრაფად მიდიოდნენ, დოროთი მხოლოდ ერთხელ შეჩერდა ლამაზი ყვავილის მოსაწყვეტად. ცოტა ხანში რკინის ტყეკაფიამ დაიძახა:

– უყურეთ!

ყველამ მდინარეს გახედა და შუა წყალში ჭოკს ჩაბღაუჭებული საფრთხობელა დაინახეს, ეული და სევდიანი ჩანდა.

– რით ვუშველოთ? – იკითხა დოროთიმ.

ლომმა და ტყეკაფიამ თავები გაიქნიეს, რადგან საშველს ვერ ხედავდნენ. ჩამოსხდნენ მდინარის პირას და დაღონებით გაჰყურებდნენ საფრთხობელას, სანამ ყარყატმა არ ჩაუფრინათ და ამათ დანახვაზე წყლის პირას არ დაეშვა დასასვენებლად.

– ვინა ხართ და საით გაგიწევიათ? – ჰკითხა ყარყატმა.

– მე დოროთი ვარ, – მიუგო გოგონამ, – ესენი კი ჩემი მეგობრები არიან: რკინის ტყეკაფია და მხდალი ლომი. ზურმუხტქალაქში მივდივართ.

– მერე, სწორ გზას რომ არ ადგახართ? – თქვა ყარყატმა, გრძელი ნისკარტი მოიგრიხა და უცნაურ გუნდს შეაცქერდა.

– ვიცი, – მიუგო დოროთიმ, – მაგრამ საფრთხობელა დაგვეკარგა და არ ვიცით, როგორ დავიბრუნოთ.

– სად არის? – ჰკითხა ყარყატმა.

– აგერ, იქ, მდინარეში, – მიუგო პატარა გოგომ.

– ამოდენა და ამსიმძიმე რომ არ იყოს, მოგიყვანდით, – თქვა ყარყატმა.

– რამ დაამძიმა, – ცხარედ მიუგო დოროთიმ, – ჩალაბულითაა გატენილი. ოღონდ დაგვიბრუნე და ყველანი მადლობელი დაგრჩებით.

– კარგი, ვეცდები, – თქვა ყარყატმა, – ოღონდ თუ მემძიმა, ისევ მდინარეში ჩავაგდებ და ეგ იქნება.

დიდი ფრინველი მიწას ასცილდა და წყალწყალ გაფრინდა, სანამ იმ ადგილს არ მიაღწია, სადაც ჭოკს ჩაბღაუჭებული საფრთხობელა ეკიდა. მერე დიდი კლანჭები მკლავში ჩაავლო, ჰაერში აიყვანა და ნაპირზე გამოაპროწიალა, სადაც დოროთი, ლომი, ტყეკაფია და ტოტო ისხდნენ.

როცა საფრთხობელა ისევ მეგობრებში აღმოჩნდა, ისე გაიხარა, რომ ყველას გადაეხვია, ლომსა და ტოტოსაც კი; ხოლო როცა დაიძრნენ, სულ სიმღერსიმღერით გაუდგა გზას.

– ვიფიქრე, ამ მდინარეში ჩავრჩი და ეგაამეთქი, – თქვა, – მაგრამ ამ კეთილმა ყარყატმა მიხსნა. როგორც კი ჭკუას ვიშოვი, მაშინვე მოვნახავ და სიკეთით გადავუხდი.

– ეგ რა სამადლობელია, – თქვა ყარყატმა, რომელიც ფრენაფრენით მიჰყვებოდა, – გასაჭირში ჩავარდნილს მუდამაც დავეხმარები. ახლა კი უნდა წავიდე, ბუდეში ბარტყები მელოდებიან. აბა, თქვენ იცით, ჩადით ზურმუხტქალაქში და იქნებ ოზმა გიშველოთ.

– გმადლობ, – მიუგო დოროთიმ.

კეთილი ყარყატი აფრინდა და მალე სულ დაიკარგა.

მგზავრები მიდიოდნენ, ჭრელაჭრელა ფრინველების გალობას უსმენდნენ და ლამაზ ყვავილებს დაჰყურებდნენ, რომლებიც ახლა ისე გახშირდა, რომ მიწას ხალიჩასავით ფარავდა. აქ იყო დიდრონი ყვითელი, თეთრი, ცისფერი, იისფერი ყვავილები და ᲮგუᲤᲮგუᲤად ამოსული ალისფერი ყაყაჩოები. ყაყაჩოები ისეთი კაშკაშა ფერისა იყო, რომ დოროთის ლამის იყო, თვალს სჭრიდა.

fb.com/groups/ellib

– რა ლამაზია, არა?! – თქვა დოროთიმ და ბრდღვიალა ყვავილების ნელსურნელება შეისუნთქა.

– ალბათ, – მიუგო საფრთხობელამ, – როცა ჭკუა მექნება, მერე უფრო მომეწონება.

– გული რომ მქონდეს, სულითა და გულით შემიყვარდებოდა, – დაამატა რკინის ტყეკაფიამ.

– მე კი მუდამ მიყვარდა ყვავილები, – თქვა ლომმა, – ნაზია და უსუსური. ისე კი, ტყეში ასეთი კაშკაშა ყვავილი ერთი არ შემხვედრია.

ახლა უფრო და უფრო ალისფერ ყაყაჩოებს ხვდებოდნენ, სხვა ყვავილებმა კი იკლო და მალე ყაყაჩოების თვალუწვდენელ ველზე აღმოჩნდნენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბევრი ყაყაჩო ერთად ისეთ მძაფრ სურნელს აფრქვევს, რომ ვინც კი შეისუნთქავს, მაშინვე ეძინება და თუ მძინარე იქაურობას არ გააშორეს, ვეღარც გაეღვიძება. მაგრამ დოროთიმ ეს ამბავი არ იცოდა და ვერც ვერსად წაუვიდოდა ბრდღვიალა წითელ ყვავილებს, რომლებიც გარშემო ყველგან იზრდებოდა; ჰოდა, ცოტა ხანში ქუთუთოები დაუმძიმდა და იგრძნო, რომ დაჯდომა, დასვენება და ძილი უნდოდა.

თუმცა, რკინის ტყეკაფია ფხიზლად იყო.

– როგორმე დაღამებამდე უნდა გავიდეთ ყვითელი აგურის გზაზე.

საფრთხობელაც დაეთანხმა და მანამ იარეს, სანამ დოროთის ფეხზე დგომა შეეძლო. მერე გოგოს თვალები თავისით დაეხუჭა, დაავიწყდა, სად იყო და მძინარე ჩაეცა ყაყაჩოებში.

– რა ვქნათ? – იკითხა რკინის ტყეკაფიამ.

– აქ რომ დავტოვოთ, მოკვდება, – თქვა ლომმა, – ამ ყვავილების სუნი ყველას დაგვხოცავს. მეც ძლივს ვახელ თვალს, ძაღლს კი უკვე სძინავს.

მართლაც, ტოტოს თავისი პატარა პატრონის გვერდით მისძინებოდა. სამაგიეროდ, რაკი საფრთხობელა და რკინის ტყეკაფია სისხლისა და ხორცისაგან არ იყვნენ შექმნილი, არც ყვავილების სუნი აწუხებდათ.

– ჩქარა, გაიქეცი, – უთხრა საფრთხობელამ ლომს, – და როგორმე გასცდი ამ სასიკვდილო ყვავილების ველს. პატარა გოგოს ჩვენ წამოვიყვანთ, შენ კი, თუ დაგეძინა, იმსიმძიმე ხარ, ვერ გათრევთ.

ლომი წამოხტა და რაც შეეძლო, სწრაფად გაექანა. წამში აღარ ჩანდა.

– მოდი, „ოქროს ტახტი“ გავაკეთოთ და წავიყვანოთ, – თქვა საფრთხობელამ.

ტოტო აიყვანეს, დოროთის კალთაში ჩაუსვეს, მერე კი ხელები ერთმანეთს ჯვარედინად ჩაჰკიდეს, „ოქროს ტახტი“ გააკეთეს და მძინარე გოგოიანად გაუყვნენ ყვავილების ველს.

მიდიოდნენ და მიდიოდნენ, სასიკვდილო ყვავილების დიდ ხალიჩას კი ბოლო არ უჩანდა. ერთგან მდინარე უხვევდა, გაუყვნენ და თავიანთ მეგობარ ლომს წაადგნენ, ყაყაჩოებში იწვა და ეძინა. ვერც ამ ვეება ნადირს გაეძლო სურნელისთვის და ყაყაჩოების ველის ბოლოში ჩასძინებოდა, რომლის იქითაც მშვენიერი, ლორთქო ბალახით დაფარული მინდვრები იშლებოდა.

– რას ვუშველით, – დაღონდა რკინის ტყეკაფია, – იმსიმძიმეა, ძვრას ვერ ვუზამთ. აქ უნდა დავტოვოთ. იძინებს და იძინებს და იქნებ დაესიზმროს, რომ სიმამაცე მოიპოვა.

– აფსუს, – თქვა საფრთხობელამ, – მხდალის პირობაზე რა კარგი მეგობრობა იცოდა! რას ვიზამთ, წავიდეთ.

მძინარე გოგო მდინარის პირას, ერთ ლამაზ ადგილზე გაიყვანეს, ყაყაჩოს ველიდან მოშორებით, რათა ყვავილების შხამი აღარ შეესუნთქა, ფრთხილად დააწვინეს რბილ ბალახზე და დაელოდნენ, როდის გააღვიძებდა გრილი სიო.

თავი მეცხრე. მინდვრის თაგვების დედოფალი

– ყვითელი აგურის გზა შორს აღარ უნდა იყოს, – თქვა საფრთხობელამ და გოგოს გვერდით მიუდგა, – ლამის იქამდე მოვედით, საიდანაც მდინარემ გაგვიტაცა.

რკინის ტყეკაფიას, ის იყო, უნდა ეპასუხა, რომ ხმადაბალი ღრენა მოესმა. თავი მიაბრუნა (რომელიც მშვენივრად ტრიალებდა სახსრებზე) და უცნაური ნადირი დაინახა, რომელიც დიდი ნახტომებით მოჰქროდა ამათკენ. დიდი, ყვითელი, გარეული კატა იყო; ტყეკაფიამ გაიფიქრა, ეტყობა რამეს მისდევსო, რადგან ყურები დაელურსა და დაღებული პირიდან ორრიგად ჩამწკრივებული უშნო კბილები გადმოეყარა, წითელი თვალები კი ცეცხლის ბურთებივით უელვარებდა. როცა მოახლოვდა, რკინის ტყეკაფიამ დაინახა, რომ მინდვრის პაწია თაგვს მისდევდა და თუმცა უგულო იყო, მაინც გაიფიქრა, არ ივარგებს, რომ გარეულმა კატამ ასეთი ციცქნა, უწყინარი სულიერი მოკლასო.

ჰოდა, მოიმარჯვა ცული და როცა გარეულმა კატამ ჩაურბინა, ელვის სისწრაფით დაჰკრა და თავი წაასხიპა. თავი და ტანი ცალცალკე გაგორდა.

– დიდი მადლობა! უღრმეს მადლობას მოგახსენებ, რომ გადამარჩინე.

– რა სალაპარაკოა, – მიუგო ტყეკაფიამ, – მე ხომ გული არა მაქვს, ამიტომ ვცდილობ, არაფერი გამომეპაროს და ყველას ვუშველო, ვისაც მეგობარი სჭირდება, თუგინდ უბრალო თაგვს.

– უბრალო თაგვსო! – აღშფოთებით შესძახა ციცქნა ცხოველმა, – იცოდე, რომ მე დედოფალი გახლავარ... მინდვრის თაგვების დედოფალი!

– რას ბრძანებთ! – თქვა ტყეკაფიამ და თავი დაუკრა.

– ამიტომაც ჩემი გადარჩენით კეთილი საქმეც გააკეთე და დიდმნიშვნელოვანიც, – დაამატა დედოფალმა.

ამ დროს რამდენიმე თაგვი გამოჩნდა, თავპირისმტვრევით მორბოდნენ პაწია ფეხებით. დედოფლის დანახვაზე შესძახეს:

– ოჰ, დედოფალო, გვეგონა, დაიღუპე! როგორ გადაურჩი იმ ვეება კატას? – და ისე მდაბლად დაუკრეს თავი, რომ კინაღამ ყირაზე გადავიდნენ.

– ამ სასაცილო რკინის კაცმა მოკლა და გადამარჩინა, – მიუგო დედოფალმა, – ამიტომ ამიერიდან ყველანი უნდა მოემსახუროთ და უმცირესი სურვილიც კი შეუსრულოთ.

– ბატონი ბრძანდები! – ერთად დაიწრიპინა ყველა თაგვმა, მერე კი აქეთიქით გაიფანტნენ, რადგან ტოტო ძილისგან გამოერკვა, ერთად შეგროვილი ამდენი თაგვის დანახვაზე სიხარულით შეჰყეფა და შიგ შუაგულში ისკუპა. კანზასში მუდამ უყვარდა თაგვის დევნა და ამაში ცუდს არაფერს ხედავდა.

მაგრამ რკინის ტყეკაფიამ ძაღლს ხელი სტაცა, აიყვანა და მაგრად მიიკრა, თაგვებს კი გასძახა:

– დაბრუნდით! დაბრუნდით! ტოტო აღარაფერს დაიშავებთ.

ამაზე თაგვების დედოფალმა აბურდული ბალახიდან გამოყო თავი და შეშინებული ხმით იკითხა:

– ნამდვილად არ გვიკბენს?

– არ ვაკბენინებ, – მიუგო ტყეკაფიამ, – არხეინად იყავით.

თაგვები თითოთითოდ მოცოცდნენ. ტოტოს ყეფით აღარ დაუყეფია, ტყეკაფიასგან თავდახსნას კი ძალიან ცდილობდა და მაგრადაც უკბენდა, მაგრამ მშვენივრად იცოდა, რომ რკინისა იყო. ბოლოს ერთმა ყველაზე დიდმა თაგვმა ხმა ამოიღო:

– რით გადაგიხადოთ სიკეთე ჩვენი დედოფლის გადარჩენისთვის?

– აბა, რა გითხრათ, – მიუგო ტყეკაფიამ. სამაგიეროდ საფრთხობელამ, რომელიც გამალებით ფიქრობდა, მაგრამ ვერაფერი მოეფიქრებინა, რადგან თავი ჩალაბულათი ჰქონდა გამოტენილი, უცებ თქვა:

– იქნებ ჩვენი მეგობარი, მხდალი ლომი გადაგვირჩინოთ, ყაყაჩოების ველზე დაეძინა.

– ლომიო! – შესძახა ციცქნა დედოფალმა, – ყველას დაგვჭამს.

– როგორ გეკადრებათ, – მიუგო საფრთხობელამ, – მხდალი გახლავთ.

– მართლა? – ჰკითხა თაგვმა.

– ასე ამბობს, – მიუგო საფრთხობელამ, – თან, არც ერთ ჩვენს მეგობარს თათს არ დააკარებს. ოღონდ გადაგვირჩინეთ და გპირდებით, არაფერს გავნებთ.

– ძალიან კარგი, – თქვა დედოფალმა, – გვჯერა, მაგრამ როგორ მოვიქცეთ?

– ბევრი თაგვი გემორჩილებათ და დედოფალს გიწოდებთ?

– როგორ არა, ათასობით, – მიუგო დედოფალმა.

– მაშ, რაც შეიძლება მალე უხმეთ ყველას, მოგროვდნენ და თითო ზონარი წამოიღონ.

დედოფალი თანმხლებ თაგვებს მიუბრუნდა და უბრძანა, ახლავე წადით და ყველა ქვეშევრდომი მომგვარეთო. თაგვები ბრძანების გაგონებისთანავე დაიქსაქსნენ და კისრისტეხით გაიქცნენ.

– ახლა კი, – მიუბრუნდა საფრთხობელა რკინის ტყეკაფიას, – მდინარის პირას, ხეებთან უნდა მიხვიდე და ისეთი ფორანი გააკეთო, რომ ზედ ლომი დაეტიოს.

ტყეკაფიამ მაშინვე ხეებს მიაშურა და მუშაობას შეუდგა; მალე მომცრო ხეები მოჩეხა და გასხიპა. მერე ხის ლურსმნებით შეკრა, ერთი დიდი ხის ტანი მოკლემოკლედ დაჭრა და ოთხი ბორბალიც გაუკეთა. ისე მკვირცხლად და სანაქებოდ იმუშავა, რომ როცა თაგვებმა მოსვლა იწყეს, ფორანი უკვე მზად დაუხვდათ.

თაგვები ყველა მხრიდან მოდიოდნენ, ათასობით იყვნენ: დიდები, პატარები და საშუალო ზომისები; პირით ყველას ზონრის ნაგლეჯი მოჰქონდა. ამასობაში დოროთის, როგორც იქნა, გაეღვიძა და თვალი გაახილა. მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახა, რომ ბალახზე იწვა, გარშემო კი ათასობით თაგვი ეხვია და შიშით უყურებდნენ. საფრთხობელამ მაშინვე გააგებინა ყველაფერი, მერე კი ღირსებით აღსავსე თაგუნაზე ანიშნა და უთხრა:

– ნება მომეცი, მისი უდიდებულესობა, დედოფალი გაგაცნო.

დოროთიმ დარბაისლურად დაუკრა თავი, დედოფალმა კი რევერანსი გაუკეთა და მაშინვე დაუმეგობრდა პატარა გოგოს.

ამასობაში საფრთხობელა და ტყეკაფია თაგვებს ფორანში აბამდნენ. ყოველ თაგვს ზონრის ბოლო კისერზე შეაბეს, მეორე კი ფორანზე გამოაბეს. რასაკვირველია, ფორანი ათასჯერ უფრო დიდი იყო, ვიდრე მისი გამწევი თითოეული თაგვი, მაგრამ როცა ყველა ერთად შეაბეს, ფორანი მაინც იოლად დაიძრა. ის კი არა, ზედ საფრთხობელა და რკინის ტყეკაფიაც დასხდნენ და ციცქნა, უცნაურმა ცხენებმა სწრაფად მიიყვანეს იქ, სადაც ლომს ეძინა.

დიდი ჭაპანწყვეტის შემდეგ – ლომი ხომ მძიმე იყო – მოახერხეს და ფორანზე აათრიეს. მერე დედოფალმა აჩქარებით უბრძანა ქვეშევრდომებს, დაძრულიყვნენ, რადგან შიშობდა, თაგვები დიდხანს რომ დარჩნენ ამ ყაყაჩოებში, ამათაც დაეძინებათო.

ციცქნა სულიერები ბევრნი კი იყვნენ, მაგრამ თავიდან მაინც გაუჭირდათ მძიმედ დატვირთული ფორნის დაძვრა. მერე უკანიდან ტყეკაფია და საფრთხობელაც მიაწვნენ და საქმე უკეთესად წავიდა. მალე ლომი ყაყაჩოების ველს გამოაშორეს და მწვანე მინდორზე გამოიყვანეს, სადაც ყვავილების მომწამვლელი სუნის ნაცვლად კვლავ სუფთა ჰაერს ჩაისუნთქავდა.

დოროთი შემოეგებათ და თანამგზავრის გადარჩენისათვის თაგვებს უღრმესი მადლობა მოახსენა. დიდი ლომი უკვე ისე უყვარდა, რომ მისმა გადარჩენამ გული სიხარულით აუვსო.

მერე თაგვები ფორნიდან გამოხსნეს და ისინიც სოროებისკენ გაცუნცულდნენ. დედოფალიღა დარჩა.

– თუ დაგჭირდეთ, მინდორში გამოდით და დაგვიძახეთ, მაშინვე გავიგონებთ და თქვენთან გავჩნდებით. კარგად ბრძანდებოდეთ!

– კარგად, კარგად! – მიუგო ყველამ და დედოფალი გაიქცა, დოროთიმ კი ტოტო მიიხუტა, დედოფალს არ დაედევნოს და არ შეაშინოსო.

ამის შემდეგ ლომს შემოუსხდნენ და გაღვიძებას დაელოდნენ. საფრთხობელამ მახლობელი ხიდან ხილი მოიტანა და დოროთიმ იმ ხილით ისადილა.

თავი მეათე. ქალაქის ჭიშკრის მცველი

მხდალ ლომს კარგა ხანი არ გაეღვიძა, რადგან დიდხანს იწვა ყაყაჩოების ველზე და დიდხანს იყნოსავდა მომაკვდინებელ სურნელს; ბოლოს, როგორც იქნა, თვალი გაახილა, ფორნიდან გადმოგორდა და გულით გაიხარა, რაკი მიხვდა რომ ცოცხალი იყო.

– თავდაუზოგავად მივრბოდი, – თქვა, ჩაცუცქდა და დაამთქნარა, – მაგრამ იმ ყვავილებს მაინც ვერ გავუძელი. როგორ გამომიყვანეთ?

უამბეს, რა სიკეთე გამოიჩინეს მინდვრის თაგვებმა და როგორ იხსნეს სიკვდილისაგან. მხდალ ლომს გაეცინა და თქვა:

– თავი მუდამ დიდი და საზარელი მეგონა, არადა ჯერ კინაღამ პაწაწინა ყვავილებმა შემიწირეს, მერე კი ერთი ციდა თაგვებმა გადამარჩინეს. რა უცნაურია! მაგრამ ახლა რაღა ვქნათ, მეგობრებო?

– ვიაროთ, სანამ ყვითელი აგურის გზას არ ვიპოვით, – თქვა დოროთიმ, – მერე კი ისევ ზურმუხტქალაქისკენ წავიდეთ.

ლომი უკვე სულ გამოფხიზლდა, მოღონიერდა და გზა განაგრძეს, სიამოვნებდათ რბილ, ლორთქო ბალახზე სიარული. არ გასულა დიდი ხანი, რომ ყვითელი აგურის გზას მიაღწიეს და კვლავ ზურმუხტქალაქისკენ აიღეს გეზი, სადაც დიდი ოზი ბრძანდებოდა.

გზა სწორი და კარგად მოკირწყლული იყო, მიდამო კი მშვენიერი. მგზავრების სასიხარულოდ, ტყე უკან დარჩა თავისი ათასი ხიფათით, რომელსაც მის პირქუშ ჩრდილებში გადაეყარნენ. კვლავ გამოჩნდა გზისპირა ღობეები, ოღონდ მწვანედ შეღებილი, და როცა მომცრო სახლს მიუახლოვდნენ, სადაც აშკარად გლეხი ცხოვრობდა, ისიც მწვანედ შეღებილი დაუხვდათ. იმ დღეს რამდენიმე ასეთ სახლს ჩაუარეს. ზოგან იქაურები გარეთ გამოდიოდნენ, უყურებდნენ და აშკარად რაღაცის კითხვა უნდოდათ, მაგრამ ვერც მიკარებას ბედავდნენ და ვერც დალაპარაკებას, რადგან დიდი ლომისა ეშინოდათ. ყველას მშვენიერი ზურმუხტისფერი ტანისამოსი ეცვა და ღეჭიებივით წვეტიანი ქუდები ეხურათ.

– ეს უკვე ოზის ქვეყანა უნდა იყოს, – თქვა დოროთიმ, – ნამდვილად ზურმუხტქალაქს ვუახლოვდებით.

– ჰო, – მიუგო საფრთხობელამ, – აქ ყველაფერი მწვანეა, ღეჭიების მხარეში კი ცისფერი ერჩივნათ. ოღონდ აქაურები ღეჭიებივით გულღიები არ ჩანან და ვინ იცის, ღამის გასათევიც ვერ ვიშოვოთ.

– მე კი ხილი ისე მომბეზრდა, სხვა რამეს შევჭამდი, – თქვა გოგომ, – ტოტოც დაიმშა. მოდი, პირველივე სახლთან მივიდეთ და პატრონებს დაველაპარაკოთ.

ცოტა ხანში ერთი მოზრდილი სახლი დაინახეს, დოროთი თამამად მივიდა კართან და დააკაკუნა.

ვიღაც ქალმა ოდნავ გამოაღო, გამოიჭყიტა და უთხრა:

– რა გინდა, გოგონი, ან ის დიდი ლომი რად გახლავს?

– იქნებ როგორმე ღამე გაგვათევინოთ, – მიუგო დოროთიმ, – ის ლომი კი ჩემი მეგობარია და არასდიდებით არ გავნებთ.

– მოთვინიერებულია? – ჰკითხა ქალმა და კარი კიდევ ცოტათი – გამოაღო.

– როგორ არა, – მიუგო გოგომ, – და თან ისეთი მხდალი, რომ იმას უფრო შეეშინდება თქვენი, ვიდრე თქვენ – იმისი.

– კარგი, – თქვა ქალმა მას მერე, რაც ერთი კარგად დაფიქრდა და ერთხელად გახედა ლომს, – თუ ეგრეა საქმე, მობრძანდით. გავახშმებთ და ღამესაც გაგათევინებთ.

ყველანი შინ შევიდნენ, სადაც ქალის გარდა კაცი და ორი ბავშვი დაუხვდათ. კაცს ფეხი სტკიოდა და კუთხეში, ტახტზე იწვა. ყველას ძალიან გაუკვირდა უცნაური გუნდის დანახვა და სანამ ქალი სუფრას შლიდა, კაცმა იკითხა:

– საით გაგიწევიათ?

– ზურმუხტქალაქში, – მიუგო დოროთიმ, – დიდ ოზთან.

– რას ამბობთ! – წამოიძახა კაცმა, – მერე, ვითომ მიგიღებთ?

– რატომ არ უნდა მიგვიღოს? – ჰკითხა დოროთიმ.

– ამბობენ, თავის დღეში არავინ მიუღიაო. ზურმუხტქალაქში ბევრჯერ ვყოფილვარ; მშვენიერი, ჩინებული ადგილია, მაგრამ დიდ ოზთან ვინ შემიშვებდა. არც გამიგია, ვინმეს თვალით ენახოს.

– გარეთ არ გამოდის? – ჰკითხა საფრთხობელამ.

– არა. მთელი დღეები სასახლეში, სატახტო დარბაზში ზის და ვინც საჭმელსასმელს მიართმევს, მათაც კი არ უნახავთ.

– შესახედავად როგორია? – ჰკითხა პატარა გოგომ.

– აბა, რა გითხრა, – დაფიქრებით მიუგო კაცმა, – ოზი ხომ დიდი ჯადოქარია და შეუძლია, რადაც უნდა, იმად გადაიქცეს. ამიტომ ზოგი ამბობს, ფრინველსა ჰგავსო, ზოგი – სპილოსაო, ზოგიც – კატას ამგვანებს. ერთს ლამაზ ფერიად გამოცხადებია, მეორეს – ჭინკად. ერთი სიტყვით, რაც გაუხარდება, იმას დაემგვანება. მაგრამ არავინ იცის, ვინ არის ნამდვილი ოზი ან როგორია სინამდვილეში.

– რა უცნაურია, – თქვა დოროთიმ, – მაგრამ იქნებ როგორმე მაინც ვნახოთ, თორემ გამოვა, რომ ტყუილუბრალოდ გვივლია ამოდენა გზაზე.

– მერე და, რად გინდათ მრისხანე ოზის ნახვა? – ჰკითხა კაცმა.

– მინდა, ჭკუა მომცეს, – მხურვალედ უთხრა საფრთხობელამ.

– ეგ არ გაუჭირდება, – უთხრა კაცმა, – ჭკუა იმდენი აქვს, არ იცის, სად წაიღოს.

– მე – გული, – თქვა რკინის ტყეკაფიამ.

– რატომაც არ მოგცემს, – განაგრძო კაცმა, – ოზს გულების მეტი რა აქვს, სულ ნაირნაირი ზომისა და ფორმისა.

– მე სიმამაცე მინდა, – თქვა მხდალმა ლომმა.

– ოზს სატახტო დარბაზში მთელი ქვაბი სიმამაცე უთუხთუხებს, – მიუგო კაცმა, – ზედ ოქროს სინი ახურავს, რომ არ გადმოვიდეს. შენც გიწილადებს, რა დააკლდება.

– მე კი მინდა, კანზასში დამაბრუნოს, – უთხრა დოროთიმ.

– კანზასი სადღაა? – გაკვირვებით ჰკითხა კაცმა.

– არ ვიცი, – სევდიანად მიუგო დოროთიმ, – მაგრამ იქ ჩემი სახლია და სადმე ხომ იქნება.

– ალბათ. ოზი ისეთი ყოვლისშემძლეა, იქნებ კანზასიც გიპოვოს. ოღონდ ჯერ როგორმე უნდა ნახოთ, მთავარი სიძნელე ეგ არის; დიდ ოზს არავისი ნახვა არ სურს და თავის ნებაზე ცხოვრობს. შენ რაღა გინდა? – მიმართა კაცმა ტოტოს. ტოტომ მხოლოდ კუდი გააქიცინა, რადგან უცნაურია და, ვერ ლაპარაკობდა.

ამასობაში ქალმა დაიძახა, ვახშამი მზად არისო და ყველანი სუფრას შემოუსხდნენ. დოროთიმ ჩინებული ფაფა, ერბოკვერცხი და მშვენიერი თეთრი პური მიირთვა და ძალიანაც ეამა. ლომმა ცოტა ფაფა გასინჯა, მაგრამ არ მოეწონა და თქვა, შვრიისა ყოფილა, შვრია კი ცხენის საჭმელია და არა ლომისაო. საფრთხობელასა და რკინის ტყეკაფიას არაფერი უჭამიათ. ტოტომ ცოტცოტა ყველაფერი დააგემოვნა და ძალიან კმაყოფილი დარჩა ვახშმით.

ქალმა დოროთის ლოგინი გაუშალა, ტოტოც იქვე მიუწვა. ლომი ოთახის კარს დარაჯობდა, რათა დოროთი არავის შეეწუხებინა. საფრთხობელა და რკინის ტყეკაფია კუთხეში დადგნენ და მთელი ღამე არ განძრეულან, თუმცა ძილით, რასაკვირველია, არ ეძინებოდათ.

მეორე დილით, ის იყო მზე ამოვიდა, რომ გზას გაუდგნენ და მალე დაინახეს, რომ ზუსტად მათ წინ ცა მწვანედ ციალებდა.

– ალბათ, ზურმუხტქალაქი იქნება, – თქვა დოროთიმ.

რაც უფრო წინ მიდიოდნენ, მწვანე ნათება უფრო და უფრო მატულობდა. როგორც ჩანდა, მათი მოგზაურობა მართლაც დასასრულს უახლოვდებოდა. თუმცა, ქალაქის დიდ კედელს მოშუადღევებულზეღა მიადგნენ. კედელი მაღალი იყო, სქელი და კაშკაშა მწვანე.

მათ წინ, ყვითელი აგურის გზის ბოლოში, დიდრონი ზურმუხტებით მოოჭვილი ჭიშკარი აღმართულიყო. ზურმუხტები ისე ციმციმებდა მზეზე, რომ მათმა ბრწყინვალებამ საფრთხობელასაც კი მოსჭრა დახატული თვალები.

ჭიშკრის გვერდით ზარი იყო. დოროთი ღილაკს დააწვა და შიგნით წკრიალი გაისმა. მერე დიდი ჭიშკარი ნელა გაიღო, ყველანი შევიდნენ და მაღალგუმბათიან ოთახში ამოყვეს თავი. კედლებზე უთვალავი ზურმუხტი ციმციმებდა.

მათ წინ პატარა, ღეჭიასოდენა კაცი იდგა. თავით ფეხამდე მწვანე ეცვა, კანზეც კი სიმწვანე დაჰკრავდა. მხარზე დიდი მწვანე ყუთი ჰქონდა გადაკიდებული.

დოროთისა და მისი თანამგზავრების დანახვაზე თქვა:

– რა გნებავთ ზურმუხტქალაქში?

– დიდი ოზის სანახავად მოვედით, – მიუგო დოროთიმ.

კაცს ისე გაუკვირდა მისი პასუხი, რომ დაჯდა და დაფიქრდა.

– რამდენი წელია, ჩემთვის აღარავის უთხოვია, ოზის ნახვა მინდაო, – თქვა და დაბნეულად გაიქნია თავი, – ოზი ძლიერია და მრისხანე და თუ ცდილობთ, დიდი ჯადოქარი ტყუილუბრალოდ ან სულელურ საქმეზე გააცდინოთ და ბრძნული ფიქრები შეაწყვეტინოთ, შეიძლება განრისხდეს და წამში გაგაცამტვეროთ.

– ჰო, მაგრამ ჩვენ სულელურ საქმეზე არც მოვსულვართ და არც ტყუილუბრალოდ, – მიუგო საფრთხობელამ, – ძალიანაც მნიშვნელოვანი საქმეა. თანაც, გვითხრეს, ოზი კეთილი ჯადოქარიაო.

– არის კიდევაც, – მიუგო მწვანე კაცმა, – და ბრძნულად და კარგად მართავს ზურმუხტქალაქს, მაგრამ ვინც უპატიოსნოა ან ფუჭი ცნობისმოყვარეობით მიუახლოვდება, მათთვის მრისხანეა. ცოტა ვინმეს თუ გაუბედავს მისი სახის დანახვა ეთხოვა. მე ჭიშკრის მცველი ვარ და რადგან დიდი ოზის ნახვას მოითხოვთ, სასახლეში უნდა მიგგვაროთ, ოღონდ ჯერ სათვალეები გაიკეთეთ.

– რატომ? – ჰკითხა დოროთიმ.

– იმიტომ რომ უსათვალოდ ზურმუხტქალაქის სიკაშკაშე და ბრწყინვალება დაგაბრმავებთ. ქალაქის მცხოვრებლებსაც კი უნდა ეკეთოთ სათვალე, დღისითაც და ღამითაც. სათვალეები გასაღებებით იკეტება, რადგან ასე ბრძანა ოზმა, როცა ეს ქალაქი ააგო. მხოლოდ მე მაქვს გასაღები, რომელიც ამ სათვალეებს ხსნის.

კაცმა დიდი ყუთი გახსნა და დოროთიმ დაინახა, რომ ნაირნაირი ზომისა და ფორმის სათვალეებით იყო სავსე. ყველა სათვალეს მწვანე მინები ჰქონდა. ჭიშკრის მცველმა დოროთის სარგო სათვალე იპოვა და გაუკეთა. სათვალეს ყურებზე ოქროს ზონრები ჰქონდა, რომლებიც კეფაზე პატარა გასაღებით ჩაუკეტა. გასაღები ჭიშკრის მცველს

კისერზე ჰქონდა ჩამოკიდებული. დოროთის რომც მოენდომებინა, სათვალეს თვითონ ვერ მოიხსნიდა, თუმცა, რასაკვირველია, სულაც არ უნდოდა, ზურმუხტქალაქის ბრწყინვალებას დაებრმავებინა, ამიტომ ხმა არ გაუღია.

მწვანე კაცმა საფრთხობელას, რკინის ტყეკაფიას, ლომს და პატარა ტოტოსაც კი მოარგო სათვალეები და გასაღებით ჩაუკეტა.

მერე ჭიშკრის მცველმა თვითონაც გაიკეთა სათვალე და უთხრა, მზად ვარ, სასახლეში წაგიყვანოთო. ჩამოიღო კედელზე კაუჭით დაკიდებული ოქროს დიდი გასაღები, გააღო მეორე ჭიშკარი და იმ ჭიშკრის გავლით მგზავრები ზურმუხტქალაქის ქუჩებში აღმოჩნდნენ.

თავი მეთერთმეტე. საკვირველი ზურმუხტქალაქი

დოროთისა და მის მეგობრებს მწვანე სათვალეები კი ეკეთათ, მაგრამ თავიდან მაინც დააბრმავა საოცარი ქალაქის ბრწყინვალებამ. ქუჩებში ლამაზი სახლები იყო ჩარიგებული, სულ მწვანე მარმარილოთი ნაშენი და მოციმციმე ზურმუხტებით მოოჭვილი. ტროტუარიც მწვანე მარმარილოსი იყო, ხოლო ფილებს შორის ღრიჭოები – მიჯრით ჩასმული და მზეში მოელვარე ზურმუხტების რიგით ამოვსებული.

ხალხი ბლომად იყო – ქალები, კაცები, ბავშვები. ტანსაცმელიც მწვანე ჰქონდათ და კანიც. გაკვირვებით უყურებდნენ დოროთისა და მის უცნაურ თანამგზავრებს, ბავშვები ლომის დანახვაზე გარბოდნენ და დედებს ეფარებოდნენ. დალაპარაკებით არავინ დალაპარაკებია. მაღაზიებიც ბლომად იყო და დოროთიმ დაინახა, რომ შიგ ყველაფერი მწვანე ელაგა. ჰყიდდნენ მწვანე შაქარყინულსა და მწვანე ბატიბუტს, მწვანე ფეხსაცმელებს, მწვანე შლაპებს და ათასნაირ მწვანე ტანსაცმელს. ერთგან ვიღაც კაცი მწვანე ლიმონათით ვაჭრობდა, ხოლო როცა იქაურმა ბავშვებმა იყიდეს, დოროთიმ დაინახა, რომ მწვანე პენსები გადაიხადეს.

არც ცხენები ჩანდა და არც არანაირი ცხოველები; კაცები პატარა, მწვანე ურიკებით დაატარებდნენ რაღაცრაღაცეებს. ყველა ხალისიანი, კმაყოფილი და უზრუნველყოფილი ჩანდა.

ჭიშკრის მცველმა დოროთი და მისი მეგობრები ქუჩებში გაატარა და ზედ ქალაქის შუაგულში მდგარ დიდ შენობასთან მიიყვანა, ეს დიდი ჯადოქრის, ოზის სასახლე იყო. კარის წინ მწვანეფორმიანი და მწვანეწვერა ჯარისკაცი იდგა.

– უცხოელები არიან, – უთხრა ჭიშკრის მცველმა, – დიდი ოზის ნახვას მოითხოვენ.

– შემოდით, – მიუგო ჯარისკაცმა, – მოვახსენებ.

გაიარეს სასახლის ჭიშკარში და დიდ ოთახში შევიდნენ, რომელიც მწვანე ხალიჩით იყო მოგებული და კოხტა, მწვანე, ზურმუხტებით მოოჭვილი ავეჯით გაწყობილი. ჯარისკაცმა ოთახში შესვლის წინ ყველას მწვანე ტილოზე გააწმენდინა ფეხები და როცა დასხდნენ, თავაზიანად უთხრა:

– აქ ბრძანდებოდეთ, ვიდრე სატახტო დარბაზის კართან მივალ და ოზს მოვახსენებ, რომ აქა ხართ.

დიდხანს ელოდნენ კარისკაცის დაბრუნებას. ბოლოს, როცა გამოჩნდა, დოროთიმ ჰკითხა:

– ნახეთ ოზი?

– რას ამბობ, – მიუგო ჯარისკაცმა, – ჩემს დღეში არ მინახავს. ლაპარაკით კი ველაპარაკე ტიხრის უკან მყოფს და თქვენი თხოვნა გადავეცი. თქვა, თუ სურთ, მივიღებ, ოღონდ სათითაოდ, დღეში თითო მნახველსო. ამიტომ რაკი რამდენიმე დღე სასახლეში დარჩებით, თქვენთქვენს ოთახებში მიგაცილებთ, ნამგზავრები ხართ და დაისვენეთ.

– გმადლობთ, – მიუგო გოგომ, – ოზის მხრივ დიდი სიკეთეა.

ჯარისკაცმა მწვანე სასტვენში ჩაჰბერა და ოთახში იმწამსვე შემოვიდა კოხტა, მწვანე კაბაში გამოწყობილი მოახლე. მშვენიერი მწვანე თმა და მწვანე თვალები ჰქონდა. დოროთის თავი დაუკრა და უთხრა:

– გამომყევი, შენს ოთახში მიგაცილებ.

დოროთი ყველა მეგობარს დაემშვიდობა, ტოტო ხელში აიყვანა და მწვანე მოახლეს წაჰყვა. იმან შვიდი დერეფანი გაატარა, სამი კიბე აატარა და სასახლის წინა ნაწილში მდებარე ოთახში მიიყვანა. ამ პატარა ოთახს სილამაზით მსოფლიოში ვერც ერთი ოთახი ვერ შეედრებოდა. შიგ რბილი, მოხერხებული, მწვანე აბრეშუმის ჩარდახითა და მწვანე ხავერდის გადასაფარებლით გაწყობილი საწოლი იდგა. შუა ოთახში პაწია შადრევანი იყო, საიდანაც ჰაერში სურნელოვანი მწვანე წყალი იფრქვეოდა და ისევ ლამაზად ნაკვეთ მწვანე მარმარილოს აუზში ჩადიოდა. ფანჯრებზე მომხიბვლელი მწვანე ყვავილები იდგა, თაროზე კი პატარპატარა მწვანე წიგნები ელაგა. როცა დოროთიმ დრო იპოვა და ეს წიგნები გადაათვალიერა, შიგ უამრავი უცნაური, მწვანე ნახატი იპოვა, ისეთი სასაცილო, რომ ბევრი იხითხითა.

კარადაში სულ მწვანე კაბები ეკიდა – აბრეშუმისა, ატლასისა და ხავერდისა; დოროთის ყველა ზუსტად მოერგო.

– შენს ნებაზე დაბინავდი, – უთხრა მწვანე მოახლემ, – და თუ რამე დაგჭირდა, ზარი დარეკე. ოზი ხვალ დილით გამოგიგზავნის მსახურს.

მერე დოროთი მარტო დატოვა, დანარჩენებთან დაბრუნდა და ისინიც ოთახებში დაარიგა, ყოველი მათგანი სასახლის მეტად საამურ ადგილას დააბინავა. თუმცა, რასაკვირველია, ეს თავაზიანობა საფრთხობელასთვის სულ ზედმეტი იყო, რადგან როცა თავის ოთახში მარტო დარჩა, შესასვლელშივე სულელურად გაშეშდა და გათენებას დაელოდა. დასასვენებლად დაწოლა არ სჭირდებოდა, თვალებიც არ ეხუჭებოდა, ამიტომ მთელი ღამე ერთ პატარა ობობას მიშტერებოდა, რომელიც ოთახის კუთხეში არხეინად ქსოვდა აბლაბუდას, თითქოს მსოფლიოში უმშვენიერეს ოთახში კი არა, სადმე სხვაგან ყოფილიყო. რკინის ტყეკაფია ჩვეულების გამო უფრო ჩაწვა ლოგინში, რადგან გაახსენდა, რომ ოდესღაც ადამიანი იყო, მაგრამ ძილით ვერ დაიძინებდა, ამიტომ მთელი ღამე სახსრებს ამოძრავებდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. ლომს ტყეში, ხმელ ფოთლებზე ძილი ერჩივნა და ოთახში გამოკეტვა არ ეპიტნავა, მაგრამ იმდენი ჭკუა ჰქონდა, რომ ამაზე არ ედარდა, ამიტომ საწოლზე ისკუპა, კატასავით მოიკუნტა და წამში ხვრინვა ამოუშვა.

მეორე დილით, ნასაუზმევს, მწვანე მოახლე დოროთის წასაყვანად შევიდა და ერთერთ ულამაზეს, მწვანე ფარჩაატლასის კაბაში გამოაწყო. დოროთიმ მწვანე აბრეშუმის წინსაფარი აიფარა, ტოტოს კისერზე მწვანე ლენტი გაუბაფთა და დიდი ოზის სატახტო დარბაზისაკენ გაეშურნენ.

ჯერ დიდ დარბაზში შევიდნენ, რომელიც მდიდრულად ჩაცმული კარისკაცებითა და სეფექალებით იყო სავსე. ამ ხალხს ერთმანეთთან მასლაათის გარდა საქმე არაფერი ჰქონდა, მაგრამ მაინც ყოველ დილით მოდიოდნენ სატახტო დარბაზის კართან, თუმცა ოზის ნახვა თავის დღეში არ ღირსებიათ. დარბაზში შესულ დოროთის ცნობისმოყვარეობით შეხედეს, ერთმა კი წაიჩურჩულა:

– ნუთუ მართლა გაუსწორებ თვალს მრისხანე ოზს?

– როგორ არა, – მიუგო გოგომ, – თუკი მიმიღებს.

– მიღებით მიგიღებს, – უთხრა ჯარისკაცმა, რომელმაც წინა დღეს მისი ამბავი შეატყობინა ოზს, – თუმცა მნახველები გულზე არ ეხატება. ჯერ ბრაზი მოერია და მითხრა, საიდანაც მოსულა, ისევ იქ გაუშვიო, მაგრამ მერე მკითხა, როგორი შესახედავიაო, და როცა შენი ვერცხლის ფეხსაცმელები ვახსენე, ძალიან დაინტერესდა. ბოლოს ისიც ვუთხარი, შუბლზე ნიშანი ამჩნევიამეთქი და გადაწყვიტა, დარბაზობის ნება დაერთო.

ამ დროს ზარმა დარეკა და მწვანე მოახლემ დოროთის უთხრა:

– გიხმობენ. სატახტო დარბაზში მარტო უნდა შეხვიდე.

მერე პატარა კარი გამოუღო. დოროთი თამამად შევიდა და მშვენიერ ადგილას აღმოჩნდა. დიდი, მრგვალი, გუმბათოვანი ოთახი იყო. კედლებს, ჭერსა და იატაკს ახლოახლო ჩასმული დიდრონი ზურმუხტები ფარავდა. ჭერის შუაგულში ვეება,

მზესავით კაშკაშა, სანათური ეკიდა, რომელიც საოცრად აბრჭყვიალებდა ზურმუხტებს.

თუმცა, დოროთი ყველაზე უფრო ოთახის შუაგულში მდგარმა მწვანე მარმარილოს დიდმა ტახტმა გააოცა. ეს ტახტი სავარძელს ჰგავდა და, როგორც სხვა ყველაფერი, ძვირფასი თვლებით ციმციმებდა. სავარძლის შუაგულში ვეება თავი იდო. არც ტანი ჰქონდა, არც ხელფეხი და არც – თმა. ჰქონდა მხოლოდ თვალები და ცხვირპირი, სიდიდით კი უდიდესი გოლიათის თავს აღემატებოდა.

დოროთი გაოცებითა და შიშით მიაშტერდა. თავმა ნელა მოატრიალა თვალები და მკაცრად, გამსჭვალავად მიაშტერდა. მერე პირი ამოძრავდა და დოროთის ხმა მოესმა:

– მე ოზი ვარ, დიდი და მრისხანე. შენ ვინ ხარ და რამ მოგიყვანა?

ხმა არც ისე საზარელი იყო, როგორსაც დოროთი იმ უშველებელი თავისგან მოელოდა, ამიტომ გამბედაობა მოიკრიბა და მიუგო:

– მე დოროთი ვარ, პატარა და თვინიერი. დახმარების სათხოვნელად მოვედი.

თვალები მთელი ერთი წუთი დაფიქრებით შესცქეროდნენ. მერე გაისმა:

– ეგ ვერცხლის ფეხსაცმელები სად იშოვე?

– აღმოსავლეთის ავი კუდიანისგან მერგო. ჩემი სახლი ზედ დაეცა და მოკლა, – მიუგო დოროთიმ.

– შუბლზე საიდანღა გაქვს ეგ ნიშანი? – განაგრძო ხმამ.

– ჩრდილოეთის კეთილი კუდიანი მეამბორა, როცა შენთან მგზავნიდა, – მიუგო გოგომ.

თვალები ისევ გამსჭვალავად მიაცქერდნენ და მიხვდნენ, რომ მართალს ამბობდა. მერე ოზმა ჰკითხა:

– ჩემგან რა გინდა?

– კანზასში დამაბრუნე, დეიდა ემთან და ძია ჰენრისთან, – მხურვალედ სთხოვა დოროთიმ, – შენი ქვეყანა ლამაზი კია, მაგრამ არ მომწონს. თანაც, დეიდა ემი ალბათ დარდით აღარ არის, ამდენ ხანს რომ არ გამოვჩნდი.

თვალები სამჯერ ახამხამდნენ, მერე ჭერს ახედეს, იატაკს დააცქერდნენ და ისე უცნაურად დატრიალდნენ, რომ ალბათ, მთელი ოთახი მოათვალიერეს. ბოლოს კვლავ დოროთის მიაცქერდნენ.

– რატომ გიშველო? – ჰკითხა ოზმა.

– იმიტომ რომ შენ ძლიერი ხარ, მე კი – სუსტი; შენ დიდი ჯადოქარი ხარ, მე – ერთი პატარა გოგო.

– ჰო, მაგრამ იმდენი ძალა გქონია, რომ აღმოსავლეთის ავი კუდიანი მოგიკლავს, – თქვა ოზმა.

– ეგ ხომ შემთხვევით მოხდა, – უბრალოდ მიუგო დოროთიმ, – მე რა შუაში ვარ.

– კარგი, – მიუგო ოზმა, – აი, ჩემი პასუხი. რა უფლებით უნდა გქონდეს იმედი, რომ კანზასში გაგგზავნი, თუ სამაგიეროდ არაფერს გამიკეთებ. ამ ქვეყანაში ყველამ უნდა გადაიხადოს იმისი ფასი, რასაც იღებს. თუ გინდა, რომ ვიჯადოქრო და შინ დაგაბრუნო, ჯერ შენ გამიწიე სამსახური. დამეხმარე და დაგეხმარები.

– მაინც, რა ვქნა? – ჰკითხა გოგომ.

– დასავლეთის ავი კუდიანი მოკალი, – მიუგო ოზმა.

– როგორ? – წამოიძახა განცვიფრებულმა დოროთიმ.

– აღმოსავლეთის კუდიანი ხომ მოკალი და ვერცხლის ფეხსაცმელები გაცვია, რომლებშიც დიდი ჯადოსნური ძალაა. ახლა ამ ქვეყანაში ერთი ავი კუდიანიღა დარჩა და როცა მეტყვი, ისიც მკვდარიაო, კანზასში დაგაბრუნებ, მანამდე კი – არა.

პატარა გოგო ისე დაღონდა, რომ ტირილი მორთო; თვალები ახამხამდა და მღელვარებით მიაცქერდა, თითქოს დიდ ოზს სჯერა, რომ დოროთიმ ოღონდ მოინდომოს და უთუოდ უშველისო.

– მე ჩემი ნებით არავინ არ მომიკლავს, – ქვითინებდა დოროთი, – და რომც მინდოდეს, ავ კუდიანს რა მომაკვლევინებს? თუ შენ, დიდმა და მრისხანემ ვერ მოკალი, მე რას დავაკლებ?

– არ ვიცი, – მიუგო თავმა, – მაგრამ ჩემი პასუხი ეგ არის და ვიდრე ავი კუდიანი არ მოკვდება, ვერც ბიძას ნახავ და ვერც დეიდას. გახსოვდეს, რომ კუდიანი ავია, ავზე ავი და უნდა მოიკლას. ახლა კი წადი და სანამ შენს გასაკეთებელს არ გააკეთებ, თავს ნუღარ მომაბეზრებ.

დოროთი გულდამძიმებული გამოვიდა სატახტო დარბაზიდან. ლომი, საფრთხობელა და რკინის ტყეკაფია ელოდებოდნენ, რომ გაეგოთ, რა უთხრა ოზმა.

– ჩემი საშველი არ არის, – თქვა დოროთიმ სევდიანად, – ოზი შინ არ გამგზავნის, სანამ დასავლეთის ავ კუდიანს არ მოვკლავ, მაგას კი აბა, როგორ მოვახერხებ.

მეგობრები დაღონდნენ, მაგრამ აბა, რას უშველიდნენ; დოროთი თავის ოთახში წავიდა, საწოლზე მიეგდო და ტირილტირილში ჩაეძინა.

მეორე დილით მწვანეულვაშა ჯარისკაცი საფრთხობელას ეახლა და უთხრა:

– წამომყევი, რადგან ოზი გიხმობს.

საფრთხობელა გაჰყვა და დიდ სატახტო დარბაზში შევიდა, სადაც ზურმუხტის ტახტზე მჯდომი მზეთუნახავი დაუხვდა. ტანთ მწვანე გაზის კაბა ეცვა, ხოლო ჩანჩქერივით გადმოღვრილ მწვანე კულულებზე ძვირფასი თვლების გვირგვინი ედგა. ბეჭებზე ფრთები ამოსვლოდა, კაშკაშა ფერისა და ისეთი მსუბუქი, რომ ჰაერის უმცირეს შერხევაზეც კი ფარფატებდა.

საფრთხობელამ, რამდენადაც ჩალაბულა საშუალებას აძლევდა, მოხდენილად დაუკრა თავი, იმან კი ნაზად შეხედა და უთხრა:

– მე ოზი ვარ, დიდი და მრისხანე, შენ ვინ ხარ და რამ მოგიყვანა?

საფრთხობელა, რომელიც მოელოდა, რომ იმ დიდ თავს ნახავდა, რომელზეც დოროთიმ უამბო, სახტად დარჩა, მაგრამ მაინც გაბედულად მიუგო:

– მე ჩალაბულათი გამოტენილი საფრთხობელა ვარ და ჭკუა არა მაქვს. მოვედი და გემუდარები, თავში ჩალის ნაცვლად ჭკუა ჩამიდო, რათა შენი საბრძანებლის არც ერთ მკვიდრს არ ჩამოვუვარდებოდე.

– რატომ გიშველო? – ჰკითხა ქალმა.

– იმიტომ რომ ბრძენი ხარ და ძლიერი, შენს გარდა ვერავინ მიშველის, – მიუგო საფრთხობელამ.

– მე ტყუილუბრალოდ არავის არ ვშველი, – მიუგო ოზმა, – მაგრამ ერთს კი გპირდები: თუ დასავლეთის ავ კუდიანს მოკლავ, უამრავ ჭკუას გიბოძებ, თანაც ისეთს, რომ მთელ ოზის ქვეყანაში უჭკვიანესი კაცი გახდები.

– კუდიანის მოკვლა ხომ დოროთის სთხოვე, – გაკვირვებით უთხრა საფრთხობელამ.

– დიახ. ჩემთვის სულერთია, ვინ მოკლავს, მაგრამ სანამ არ მოკვდება, ნატვრას არ აგიხდენ. წადი და აღარ დამენახო, სანამ იმ ჭკუას არ დაიმსახურებ, ასე რომ ნატრობ.

საფრთხობელა გულმოკლული დაბრუნდა მეგობრებთან და უამბო, რაც ოზმა უხრა. დოროთის გაუკვირდა, რომ დიდი ჯადოქარი მზეთუნახავად მოევლინა საფრთხობელას და არა ვეება თავად.

– მერე რა, – თქვა საფრთხობელამ, – მაგ მზეთუნახავს, რკინის ტყეკაფიასი არ იყოს, გული არ ჰქონია.

მეორე დილას მწვანეულვაშა ჯარისკაცი რკინის ტყეკაფიას მიადგა და უთხრა:

– ოზმა გამომგზავნა. გამომყევი.

რკინის ტყეკაფიაც გაჰყვა და დიდ სატახტო დარბაზში შევიდა. არ იცოდა, მზეთუნახავი დახვდებოდა თუ თავი, მაგრამ იმედი ჰქონდა, მზეთუნახავი იქნებაო.

„თუ თავი დამიხვდა, ნამდვილად ვიცი, გულს არ მომცემს, რადგან თვითონაც უგულოა და არ შევებრალები. ხოლო თუ მზეთუნახავი – იქნებ როგორმე მოვაცემინო: ქალი მაინც გულკეთილია.“

მაგრამ როცა ტყეკაფია დიდ სატახტო დარბაზში შევიდა, არც თავი დაუხვდა და არც ქალი: ოზს უსაშინლესი მხეცის სახე მიეღო. ლამის სპილოსოდენა იყო, მწვანე ტახტი მისი სიმძიმით იზნიქებოდა. მარტორქასავით თავი ჰქონდა, ოღონდ ხუთთვალა იყო, ტანიდან ხუთი ხელი გამოზრდოდა, ფეხიც ხუთი ჰქონდა, გრძელი და წვრილი. ტანფეხს სქელი ბეწვი უფარავდა. ამაზე საზიზღარ ურჩხულს ვერა კაცი ვერ წარმოიდგენდა. კიდევ კარგი, რკინის ტყეკაფიას გული არ ჰქონდა, თორემ შიშით საგულედან ამოუხტებოდა, მაგრამ ტყეკაფია რკინისა იყო, ამიტომ შეკრთომით არ შემკრთალა, თუმცა გუნება კი წაუხდა.

– მე ოზი ვარ, დიდი და მრისხანე, – საზარლად დაიღრიალა მხეცმა, – შენ ვინ ხარ და რამ მოგიყვანა?

– მე ტყეკაფია ვარ, რკინისგან ნაკეთი, ამიტომ გული არა მაქვს და სიყვარულიც არ შემიძლია. გემუდარები, მომეცი გული, რათა ისეთი ვიყო, როგორიც ყველა ადამიანია.

– რატომ მოგცე? – ჰკითხა მხეცმა.

– იმიტომ, რომ გთხოვ და შენს გარდა ამ თხოვნას ვერავინ შემისრულებს, – მიუგო ტყეკაფიამ.

ოზმა ხმადაბლა დაიღრინა და ხრინწიანი ხმით უთხრა:

– თუ მართლაც გინდა გული, დაიმსახურე.

– როგორ? – ჰკითხა ტყეკაფიამ.

– დასავლეთის ავი კუდიანი მოაკვლევინე დოროთის, – მიუგო მხეცმა, – როცა კუდიანი მოკვდება, მოდი და ყველაზე დიდ, ყველაზე კეთილ გულს მოგცემ, ისეთი სიყვარულის შემძლეს, რომ მისი დარი მთელ ოზის ქვეყანაში არ მოიპოვებოდეს.

რკინის ტყეკაფიას სხვა რა გზა ჰქონდა, დაღონებული დაუბრუნდა მეგობრებს და უამბო, რა საშინელი მხეცი ნახა. ყველა განცვიფრდა, რომ დიდ ჯადოქარს ამდენი სახით გამოცხადება შეეძლო, ლომმა კი თქვა:

– მივალ და თუ მხეცი დამიხვდა, ერთს დავიღრიალებ და ისე დავაფრთხობ, რომ რასაც ვთხოვ, ყველაფერს მიბოძებს; თუ მზეთუნახავი – თავს მოვაჩვენებ, ვითომ ზედ უნდა შევახტე და რაღას იზამს, შეასრულებს ჩემს მოთხოვნას; ხოლო თუ დიდი თავი

იქნა, მაშინ ხომ ჩემს ხელთ იქნება: მანამ ვაგორავებ ოთახში, სანამ არ დამპირდება, რომ რასაც ვნატრობთ, ყველაფერს მოგვცემს. გამხნევდით, მეგობრებო, ყველაფერი კარგად იქნება.

მეორე დღეს მწვანეულვაშა ჯარისკაცმა ლომი დიდ სატახტო დარბაზთან მიიყვანა და ოზის წინაშე წარსადგომად შეუშვა.

ლომი მაშინვე შევიდა, მიიხედმოიხედა და, თავისდა გასაკვირად, ტახტის წინ ცეცხლის ბურთი დაინახა; ისე ბრიალებდა და ვარვარებდა, თვალი ვერ გაუსწორა. ჯერ იფიქრა, ოზს შემთხვევით ცეცხლი წაეკიდა და იწვისო, მაგრამ როცა მიახლოება დააპირა, ისეთი ალმური ეცა, რომ ულვაშები შეეტრუსა. კანკალით გახოხდა უკან და კარის სიახლოვეს გაჩერდა.

მერე ცეცხლის ბურთმა დაბალი, წყნარი ხმით თქვა:

– მე ოზი ვარ, დიდი და მრისხანე. შენ ვინ ხარ და რამ მოგიყვანა?

და ლომმა მიუგო:

– მე მხდალი ლომი ვარ, ყველაფრის მოშიში. სიმამაცის სათხოვნელად მოვედი, რათა მართლაც გავხდე ცხოველთა მეფე, როგორც ადამიანები მიწოდებენ.

– რატომ მოგცე სიმამაცე? – ჰკითხა ოზმა.

– იმიტომ, რომ ჯადოქართა შორის უდიდესი ხარ და მხოლოდ შენ შეგიძლია ჩემი თხოვნის შესრულება, – მიუგო ლომმა.

ცეცხლის ბურთი ერთხანს შმაგად ტრიალებდა, მერე კი ხმა გაისმა:

– მომიტანე საბუთი, რომ ავი კუდიანი მკვდარია და იმწამსვე მოგცემ სიმამაცეს, ხოლო სანამ კუდიანი ცოცხალია, მხდალი იქნები.

ამ სიტყვებზე ლომს ბრაზი მოერია, მაგრამ პასუხად ვერაფერი უთხრა და ვიდრე უჩუმრად იდგა და ცეცხლის ბურთს უცქეროდა, ბურთი ისე გავარვარდა, რომ ლომმა კუდი ამოიძუა და ოთახიდან გამოქანდა. გაუხარდა, რომ მეგობრები ელოდნენ და უამბო, რა საშინელი საუბარი ჰქონდა ჯადოქართან.

– ახლა რაღა ვქნათ? – დაღონდა დოროთი.

– ერთი გზა დაგვრჩენია, – მიუგო ლომმა, – წავიდეთ პაჭუნათა მხარეში, ვიპოვოთ ავი კუდიანი და სული გავაფრთხობინოთ.

– და თუ ვერა? – ჰკითხა გოგომ.

– თუ ვერა, მე სიმამაცე არ მეღირსება, – მიუგო ლომმა.

– მე – ჭკუა, – დაუმატა საფრთხობელამ.

– მე – გული, – წაილაპარაკა რკინის ტყეკაფიამ.

– მე კი – დეიდა ემისა და ძია ჰენრის ნახვა, – თქვა დოროთიმ და ტირილი მორთო.

– ფრთხილად, – შესძახა მწვანე მოახლემ, – თორემ ცრემლები მწვანე აბრეშუმის კაბაზე დაგდინდება და დაგილაქავებს.

დოროთიმ თვალები მოიწმინდა და თქვა:

– ალბათ, უნდა ვცადოთ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ არავისი მოკვლა არ მინდა, თუნდაც დეიდა ემის ნახვის ფასად.

– მე წამოგყვები, მაგრამ ისეთი მხდალი ვარ, კუდიანს რა მომაკვლევინებს, – თქვა ლომმა.

– მეც წამოგყვები, – განაცხადა საფრთხობელამ, – მაგრამ ჩემნაირი ბრიყვი რაში გამოგადგება.

– ხოლო მე კუდიანსაც კი არ მინდა რამე დავუშავო, – შენიშნა რკინის ტყეკაფიამ, – მაგრამ თუ წახვალ, წამოგყვები, მაშ რას ვიზამ.

გადაწყვიტეს, მეორე დილითვე გასდგომოდნენ გზას. ტყეკაფიამ ცული მწვანე სალესზე ალესა და სახსრები გულდაგულ დაიზეთა. საფრთხობელა ახალი ჩალით დაიტენა, თვალებზე კი დოროთიმ საღებავი გადაუსვა, უკეთესად დაინახოსო. მწვანე მოახლემ, რომელიც ძალზე კეთილად ექცეოდა, დოროთის საგზლით აუვსო კალათა, ტოტოს კი მწვანე ლენტზე აცმული ზანზალაკი ჩამოჰკიდა კისერზე.

ადრიანად დაწვნენ და ალიონამდე ტკბილად ეძინათ, ალიონზე კი ერთად გაეღვიძათ, რადგან სასახლის უკანა ეზოში მწვანე მამალი აყივლდა და დედალიც აკაკანდა, რომელსაც მწვანე კვერცხი დაედო.

თავი მეთორმეტე. ავი კუდიანის საძებრად

მწვანეულვაშა ჯარისკაცმა ზურმუხტქალაქის ქუჩები გაატარა და იმ ოთახში შეიყვანა, სადაც ჭიშკრის მცველი ცხოვრობდა. ამ მოხელემ სათვალეები მოხსნა და თავის დიდ ყუთში ჩააბინავა, მერე კი ჩვენს მეგობრებს თავაზიანად გაუღო ჭიშკარი.

– რომელი გზა მიგვიყვანს დასავლეთის ავ კუდიანთან? – ჰკითხა დოროთიმ.

– სად არის გზა! – მიუგო ჭიშკრის მცველმა, – იქით წასვლას ვინ მოინდომებს!

– მაშ, როგორ ვიპოვოთ? – ჰკითხა გოგომ.

– ადვილად, – მიუგო კაცმა, – როგორც კი გაიგებს, რომ პაჭუნათა ქვეყანაში ხართ, თვითონვე გიპოვით და დაგიმონებთ.

– ვინ იცის, – თქვა საფრთხობელამ, – ჩაფიქრებული გვაქვს, სული გავაფრთხობინოთ.

– ოჰ, ეგ სხვა საქმეა, – თქვა ჭიშკრის მცველმა, – აქამდე ვერავინ გააფრთხობინა და მაგიტომ ვიფიქრე, ამათაც დაიმონებს, როგორც დანარჩენები დაიმონამეთქი. ოღონდ გაფრთხილდით: ისეთი ავი და სასტიკია, შეიძლება სული არც კი გაგაფრთხობინებინოთ. დასავლეთისკენ იარეთ, სადაც მზე ჩადის და უსათუოდ იპოვით.

მადლობა გადაუხადეს, დაემშვიდობნენ, პირი დასავლეთისკენ იბრუნეს და გვირილებითა და ბაიებით მოჩითულ მწვანე მინდვრებს გაუყვნენ. დოროთის ისევ ის ლამაზი აბრეშუმის კაბა ეცვა, რომელიც სასახლეში ჩააცვეს, ოღონდ ახლა, მისდა გასაკვირად, მწვანე კი არა, ქათქათა თეთრი იყო. ტოტოს კისერზე შემოხვეულ მწვანე ლენტსაც დაეკარგა ფერი და ისიც დოროთის კაბასავით გათეთრდა.

მალე ზურმუხტქალაქი უკან მოიტოვეს. რაც უფრო წინ მიდიოდნენ, გზა უფრო და უფრო ოღროჩოღრო და ბორცვიანი ხდებოდა, რადგან დასავლეთის მხარეში არც ბაღბოსტნები იყო და არც სახლები, მიწაც – დაუმუშავებელი ჰქონდათ.

შუადღისას მზემ შეაწუხა, რადგან ხეები არ იყო, რომ ჩრდილში ევლოთ, ამიტომ საღამოს პირას დოროთის, ტოტოსა და ლომს ქანცი გაუწყდათ, ბალახზე მიწვნენ და დაეძინათ, ხოლო ტყეკაფია და საფრთხობელა გუშაგებად დადგნენ.

დასავლეთის ავ კუდიანი ცალთვალა იყო, მაგრამ ის ცალი თვალი ისეთი გამჭრიახი ჰქონდა, რომ ყველგან სწვდებოდა. ჰოდა, ციხედარბაზის ზღურბლზე მჯდარმა გაიხედგამოიხედა და მძინარე დოროთი დაინახა, გარს მეგობრები ეხვივნენ. შორს კი იყვნენ, მაგრამ ავი კუდიანი მაინც გაბრაზდა, ჩემს ქვეყნაში როგორ მობედესო და კისერზე დაკიდებულ ვერცხლის სასტვენში ჩაჰბერა.

მაშინვე ყოველი მხრიდან მოგროვდნენ დიდრონი მგლები – გრძელფეხება, ავთვალება და ბასრკბილება.

– მიდით იმ ხალხთან, – უთხრა კუდიანმა, – და ნაფლეთებად აქციეთ.

– დამონებას არ უპირებ? – ჰკითხა ხროვის მეთაურმა.

– არა, – მიუგო კუდიანმა, – ერთი რკინისაა, ერთი – ჩალისა, ერთი ბავშვია და ერთიც – ლომი. მუშად არავინ არ გამომადგება, შეგიძლიათ ლუკმალუკმა დაგლიჯოთ.

– ძალიან კარგი, – უთხრა მგელმა და მთელი ძალღონით გაექანა, ხროვაც ფეხდაფეხ გაჰყვა.

კიდევ კარგი, საფრთხობელასა და ტყეკაფიას ეღვიძათ და მგლების ხმა გაიგონეს.

– ამ ბრძოლას მე გადავიხდი, – თქვა ტყეკაფიამ, – შენ უკან დაიხიე და დავუხვდები.

სტაცა ხელი ახლადგალესილ ცულს და როგორც კი ხროვის მეთაური მოუახლოვდა, დაიქნია მკლავი და თავი წაცალა. მეთაური იმწამსვე მოკვდა. როგორც კი ტყეკაფიამ მეორედ ასწია ცული, მეორე მგელი მივარდა და ისიც ტყეკაფიას ბასრი ცულის წერა გახდა. ორმოცი მგელი იყო და ორმოცივე მოიკლა. ბოლოს ტყეკაფიას წინ დახოცილების დიდი გროვა აღიმართა.

ტყეკაფიამ ცული დადო და საფრთხობელას მიუჯდა. იმან უთხრა:

– კარგი ბრძოლა გადაიხადე, მეგობარო.

ისხდნენ და ელოდნენ, სანამ გათენდებოდა და დოროთის გაეღვიძებოდა. პატარა გოგოს დააფრთხო გაბურძგნული მგლების დიდი ზვინის დანახვამ, მაგრამ რკინის ტყეკაფიამ ყველაფერი უამბო. დოროთიმ მადლობა გადაუხადა, ყველანი გადაგვარჩინეო და საუზმობას შეუდგა, მერე კი გზა განაგრძეს.

იმავე დილით ავი კუდიანი ციხედარბაზიდან გავიდა, ცალი თვალით, რაც შეეძლო, შორს გაიხედა და დაინახა, რომ მისი მგლები ზვინად ეყარნენ, ის უცხო ხალხი კი კვლავ მის ქვეყანაში იყო და გზას აგრძელებდნენ. წინანდელზე უფრო გაბრაზდა და ორჯერ ჩაჰბერა ვერცხლის სასტვენს.

მაშინვე მოფრინდა ყვავების დიდი გუნდი; იმდენნი იყვნენ, ცა დაფარეს.

და ავმა კუდიანმა უთხრა გუნდის მეთაურს:

– ახლავე გაფრინდით იმ უცხოელებთან, თვალები ამოკორტნეთ და ნაფლეთებად აქციეთ.

ყვავები დიდ გუნდად გაფრინდნენ დოროთისა და მისი თანამგზავრებისაკენ. პატარა გოგოს იმათ დანახვაზე შეეშინდა, მაგრამ საფრთხობელამ თქვა:

– ამ ბრძოლას მე გადავიხდი, თქვენ დაწექით და არაფერი დაგიშავდებათ.

ყველანი მიწაზე გაწვნენ, საფრთხობელა კი დადგა და მკლავები გაშალა. ყვავებმა დაინახეს და დაფრთხნენ, როგორც მუდამ ფრთხებიან ხოლმე საფრთხობელების დანახვაზე. მიახლოებას ვერ ბედავდნენ, მაგრამ გუნდის მეთაურმა თქვა:

– ჩალით გატენილი კაცია, სხვა არაფერი. მივალ და თვალებს ამოვკორტნი.

და საფრთხობელასკენ გაფრინდა, მაგრამ იმან თავში სტაცა ხელი, კისერი მოუგრიხა და მოკლა. ახლა მეორე ყვავი გამოფრინდა და საფრთხობელამ იმასაც მოუგრიხა კისერი. ორმოცი ყვავი იყო და საფრთხობელამ ორმოცივეს კისერი მოუგრიხა. ბოლოს ყველანი დახოცილები დაეყარნენ მის ფეხქვეშ. მერე თანამგზავრებს დაუძახა, წამოდექითო და ისევ განაგრძეს გზა.

როცა ავმა კუდიანმა ერთხელაც გაიხედა და ერთმანეთზე დაყრილი ყვავები დაინახა, სულ ცეცხლი მოიკიდა და სამჯერ ჩაჰბერა ვერცხლის სასტვენში.

ჰაერში იმწამსვე ბზუილი ატყდა და შავი ფუტკრების დიდი გუნდი მოფრინდა.

– წადით იმ უცხოელებთან და სასიკვდილოდ დანესტრეთ! – უბრძანა კუდიანმა. ფუტკრებმაც გეზი იცვალეს და გამალებით იფრინეს, სანამ იმ ადგილს არ მიუახლოვდნენ, რომელსაც დოროთი და მისი მეგობრები მიუყვებოდნენ, მაგრამ ტყეკაფიამ თვალი მოჰკრა, ხოლო საფრთხობელამ იქვე მოიფიქრა, რაც უნდა ექნათ.

– ჩალა გამომაცალე, – უთხრა ტყეკაფიას, – პატარა გოგოს, ლეკვსა და ლომს წააფარე და ფუტკრები ვერაფერს დააკლებენ.

ტყეკაფია ასეც მოიქცა; დოროთი ლომს გვერდით მიუწვა, ტოტო ჩაიხუტა და ჩალა ყველას ეყო.

ფუტკრები მოფრინდნენ და ტყეკაფიას გარდა დასანესტრი არავინ დაუხვდათ, ამიტომ მისკენ გაფრინდნენ და რკინაზე ნესტრები წაიმტვრიეს, ტყეკაფიას კი ვერაფერი დააკლეს, ხოლო რაკი ნესტარწამტვრული ფუტკარი ვერ ცოცხლობს, შავი ფუტკრებიც დაიხოცნენ და ქვანახშირის პატარპატარა გროვებივით დაცვივდნენ ტყეკაფიას გარშემო.

დოროთი და ლომი წამოდგნენ. პატარა გოგო რკინის ტყეკაფიას მიეხმარა, საფრთხობელა ჩალით აავსეს და ისევ ისეთი გახდა, როგორიც იყო. მერე ადგნენ და გზა განაგრძეს.

ავი კუდიანი ისე გამწარდა ქვანახშირის პატარ პატარა გროვებივით დაყრილი შავი ფუტკრების დანახვაზე, რომ ფეხები დააბაკუნა, თმა დაიგლიჯა და კბილი დააღრჭიალა. მერე უხმო ათ პაჭუნა მონას, დაურიგა ბასრი შუბები და უბრძანა, წადით და ის უცხო ხალხი დახოცეთო.

პაჭუნები გამბედაობით ვერ დაიკვეხნიდნენ, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდათ, წავიდნენ. იარეს და იარეს, სანამ დოროთის არ მიუახლოვდნენ. მაშინ ლომმა ერთი დაუღრიალა, ისკუპა და ისე დააფეთიანა საწყალი პაჭუნები, რომ სულ თავპირისმტვრევით მოუსვეს.

სასახლეში დაბრუნებულები ავმა კუდიანმა გაამათრახა და ისევ საქმეზე დააყენა, თვითონ კი იმაზე ფიქრს შეუდგა, ახლა რაღა ვქნაო. ვერ გაეგო, როგორ ჩაეფუშა ამ უცხო ხალხის განადგურების გეგმები; თუმცა, რაკი ავიც იყო და ძლიერიც, მალევე მოიფიქრა, როგორც უნდა მოქცეულიყო.

ბუფეტში ლალებისა და ალმასების სალტეშემოვლებული ქუდი ედო. ეს ქუდი ჯადოსნური იყო: მის პატრონს შეეძლო, სამჯერ ეხმო ფრთოსანი მაიმუნები, რომლებიც დაემორჩილებოდნენ და ყველა ბრძანებას შეუსრულებდნენ, ოღონდ ამ

უცნაურ სულიერებს სამზე მეტ ბრძანებას ვერავინ მისცემდა. ავ კუდიანს უკვე ორჯერ ესარგებლა ამ ქუდის ჯადოსნობით: პირველად მაშინ, როცა პაჭუნები დაიმონა და იმათი ქვეყნის მბრძანებლად დაჯდა. ეს საქმე ფრთოსანი მაიმუნების დახმარებით გაჩარხა. მეორედ კი – როცა თავად დიდ ოზს შეებრძოლა და დასავლეთის ქვეყნიდან განდევნა. ამ საქმეშიც ფრთოსანი მაიმუნები დაეხმარნენ. ერთადერთხელღა შეეძლო ოქროს ქუდის გამოყენება, ამიტომ არ უნდოდა, მანამ დაეხურა, სანამ ყველა სხვა ხერხს არ იხმარდა. მაგრამ რაკი მისი მძვინვარე მგლები, ველური ყვავები და მნესტრავი ფუტკრები დაიხოცნენ, ხოლო მონები მხდალმა ლომმა დაუფრთხო, ერთადერთ ხერხსღა ხედავდა დოროთისა და მისი მეგობრების მოსასპობად.

ამიტომ ავმა კუდიანმა ბუფეტიდან გამოიღო ოქროს ქუდი და თავზე დაიხურა. მერე მარცხენა ფეხზე დადგა და ნელა თქვა:

– ეპპე, ბეპპე, კაკკე!

მერე – მარჯვენა ფეხზე და თქვა:

– მალლამ, ბალლამ, სალლამ!

მერე კი ორივე ფეხზე – და ხმამაღლა დაიძახა:

– ზიზზი, ზუზზი, ზიკ!

და ჯადოც ამოქმედდა. ცა დაბნელდა და ჰაერში ჩუმი ჟრიამული გაისმა: ფრთების ფართხუნი, ლაქლაქი და ხითხითი. მერე ბნელ ცაზე ისევ გამოანათა მზემ და მაიმუნების ხროვით გარშემორტყმული ავი კუდიანი გამოაჩინა. ყოველ მაიმუნს მხრებზე ვეება, ღონიერი ფრთები ამოსვლოდა.

ერთი, სხვებზე ზორბა მაიმუნი, მეთაურს ჰგავდა. კუდიანთან ახლოს მიფრინდა და უთხრა:

– ეს შენი მესამე და ბოლო მოხმობაა. რას გვიბრძანებ?

– წადით ჩემს მიწაზე შემოსულ უცხო ხალხთან და ყველანი მოსპეთ ლომის გარდა, – უთხრა ავმა კუდიანმა, – ნადირი აქ მომიყვანეთ; ცხენივით უნდა შევკაზმო და ვამუშაო.

– შენი ბრძანება შესრულებული იქნება, – თქვა მეთაურმა და ფრთოსანი მაიმუნები დიდი ჟივილხივილით მიფრინდნენ იქ, სადაც დოროთი და მისი მეგობრები იყვნენ.

ზოგმა მაიმუნმა რკინის ტყეკაფია აიტაცა და წააპროწიალა, სანამ წვეტიანი ქვებით მოფენილ ადგილს არ გადაუფრინეს. იქ თათი უშვეს საწყალ ტყეკაფიას, ისიც მაღლიდან დაენარცხა ქვებს და იქვე დარჩა მოღუნული და მიჭყლეტილმოჭყლეტილი, ვერც ადგილიდან იძვროდა და ვერც კვნესოდა.

სხვა მაიმუნებმა საფრთხობელა დაიჭირეს და გრძელი თითებით ტანსაცმლიდან და თავიდან ჩალა გამოაცალეს. მერე ქუდი, წაღები და ტანსაცმელი პატარა ფუთად გამოკრეს და ერთი მაღალი ხის კენწეროზე ააგდეს.

დანარჩენმა მაიმუნებმა მაგარი თოკები სტყორცნეს ლომს და იმდენფად შემოახვიეს ტანზე, თავსა და ფეხებზე, რომ ვერც ჰკბენდა, ვერც ფხაჭნიდა და ვერც ვერანაირად ებრძოდა. მერე ასწიეს, ავი კუდიანის სასახლეში მიაფრინეს და რკინის მაღალ ღობეშემოვლებულ პატარა ეზოში ჩასვეს, რათა ვერსად გაქცეულიყო.

დოროთისთვის კი არაფერი დაუშავებიათ. ტოტოჩახუტებული დოროთი იდგა, უყურებდა, რა ავი ბედი ეწიათ მის თანამგზავრებს და ფიქრობდა, მალე ჩემი ჯერიც დადგებაო. ფრთოსანი მაიმუნების მეთაური მასთან მიფრინდა, გრძელი, ბანჯგვლიანი ხელები გაიშვირა და მახინჯი სახე ავმა ღიმილმა დაუჭყანა, მაგრამ შუბლზე კეთილი კუდიანის ნაკოცნი რომ დაუნახა, იქვე შედგა და სხვებსაც ანიშნა, ხელი არ ახლოთო.

– ამ პატარა გოგოს ვერაფერს ვერ დავუშავებთ, – უთხრა, – რადგან სიკეთის ძალა იცავს, რომელიც ბოროტებაზე ძლიერია. იმას თუ ვიზამთ, რომ ავ კუდიანს სასახლეში მივუყვანთ და იქ დავტოვებთ.

ჰოდა, ფრთხილად და ნაზად აიყვანეს დოროთი და მარდად გააქროლეს, ვიდრე სასახლეში არ მივიდნენ და ზღურბლზე არ ჩამოსვეს. მერე მეთაური კუდიანს მიუბრუნდა:

– რაშიც შევძელით, დაგემორჩილეთ. რკინის ტყეკაფია და საფრთხობელა მოვსპეთ, ლომი შენს ეზოშია შებოჭილი, პატარა გოგოს კი ვერაფერი დავუშავეთ და ვერც იმ ძაღლს, ჩახუტებული რომ ჰყავს. დასრულდა შენი ძალაუფლება ჩვენს ხროვაზე, დღეიდან ვეღარ გვიხილავ.

და ფრთოსანი მაიმუნები ხითხითითა და ჟივილხივილით გაფრინდნენ და მალე თვალიდან დაიკარგნენ.

ავი კუდიანი გაშტერდა და ელდა ეცა, როცა დოროთის შუბლზე ნიშანი დაუნახა, რადგან კარგად იცოდა, რომ ვერც ფრთოსანი მაიმუნები გაბედავდნენ გოგოსთვის რამე დაეშავებინათ და ვერც თვითონ. მერე ფეხებზე დახედა და ვერცხლის ფეხსაცმელების დანახვაზე შიშით აკანკალდა, რადგან იცოდა, რა ძლიერი ჯადოც იდო მათში. ჯერ კინაღამ თავქუდმოგლეჯილმა მოუსვა, მაგრამ მერე თვალებში ჩახედა დოროთის და დაინახა, რომ პატარა გოგოს ალალმართალი სული ჰქონდა და არ იცოდა, რა საოცარი ძალა მისცა ფეხსაცმელებმა. ჰოდა, ავ კუდიანს ჩაეცინა და გაიფიქრა, მაინც დავიმონებ, რაკი ვერ ხვდება, ეს ძალა როგორ მოიხმაროსო და უკმეხად და სუსხიანად უთხრა დოროთის:

– წამომყევი და რასაც გეტყვი, ყველაფერი გააკეთე, თორემ შენც ის დღე დაგადგება, რაც რკინის ტყეკაფიასა და საფრთხობელას.

დოროთი გაჰყვა, ციხედარბაზის ლამაზლამაზი ოთახები გაიარეს და სამზარეულოში შევიდნენ, სადაც კუდიანმა დაავალა, ქვაბები და ჩაიდნები ხეხე, იატაკი დაგავე და ცეცხლს შეუკეთე ხოლმეო.

დოროთი მორჩილად შეუდგა საქმეს და ცდილობდა, თავი არ დაეზოგა, რადგან უხაროდა, რომ ავმა კუდიანმა ცოცხალი დატოვა.

დოროთის რომ საქმე მიუჩინა, კუდიანმა იფიქრა, ახლა ეზოში გავალ და მხდალ ლომს შევკაზმავო. ფიქრობდა, ვიშ, რა კარგი იქნება: როცა გავლა მომინდება, ლომშებმული ეტლით ვისეირნებ ხოლმეო. მაგრამ ჭიშკარი გამოაღო თუ არა, ლომმა ისეთი დაუღრიალა და ისე ისკუპა, რომ კუდიანს შეეშინდა, გაიქცა და ჭიშკარი ისევ ჩაკეტა.

– თუ ვერ შეგკაზმავ, – უთხრა ლომს ჭიშკრის გისოსებშუა, – შიმშილით ხომ მაინც ამოგხდი სულს. ლუკმას არ გაღირსებ, სანამ ჩემს ჭკუაზე არ გაივლი.

ამის მერე დატყვევებული ლომისთვის აღარ უჭმევია, სამაგიეროდ ყოველ ცისმარე დღეს, შუადღისას, მიდიოდა გალიასთან და ეკითხებოდა:

– მზადა ხარ ეტლში შესაბმელად?

რაზეც ლომი მიუგებდა:

– არა. ამ ეზოში თუ შემოხვალ, იცოდე, გიკბენ.

მიზეზი, თუ რატომ ახერხებდა ლომი, კუდიანის ჭკუაზე არ ევლო, ის იყო, რომ ყოველ ღამე, როცა კუდიანს დაეძინებოდა, დოროთი ბუფეტიდან საჭმელს უზიდავდა. ლომი შეჭამდა, მერე თივაზე მიეგდებოდა, დოროთი გვერდით მიუწვებოდა, დაადებდა თავს რბილ, ბანჯგვლიან ფაფარზე და დაიწყებდნენ ლაპარაკს თავიანთ გასაჭირზე, ცდილობდნენ, თავდახსნის გეგმა მოეფიქრებინათ, მაგრამ ციხეკოშკიდან გასვლის არანაირი ხერხი არ ჩანდა, რადგან იქაურობას გამუდმებით დარაჯობდნენ ყვითელი პაჭუნები, რომლებიც ავი კუდიანის მონები იყვნენ და ისე ჰყავდა შეშინებული, რომ მის სიტყვას ვერ გადავიდოდნენ.

გოგო მთელი დღე ფუსფუსებდა, კუდიანი კი წავიდოდა, წამოვიდოდა და ძველისძველ ქოლგას მოუღერებდა ხოლმე საცემრად. იმ ქოლგას არ იშორებდა. სინამდვილეში დოროთისთვის ხელის დაკარებას ვერ გაბედავდა, რაკი შუბლზე ნიშანი ჰქონდა. ბავშვმა ეს არ იცოდა და სულ ეშინოდა, მე და ტოტოს არაფერი დაგვმართოსო. ერთხელ კუდიანმა ტოტოს დასცხო ქოლგა, მაგრამ გულადი ლეკვი ეცა და წვივზე უკბინა. კუდიანს ნაკბენიდან სისხლი არ წამოსვლია, რადგან ისეთი ავი იყო, რომ სისხლი მრავალი წლის წინ გაუშრა.

დოროთის დარდი ემატებოდა, რაკი ხვდებოდა, რომ კანზასში, დეიდა ემთან დაბრუნება წინანდელზე უფრო გაძნელდა. ხანდახან საათობით მწარედ ტიროდა, ტოტო კი ფერხთით ეჯდა, აჰყურებდა და საწყლად წკავწკავებდა იმის საჩვენებლად, რომ თავისი პატარა პატრონი ეცოდებოდა. სინამდვილეში ტოტოს ოღონდ დოროთი გვერდით ჰყოლოდა და გინდ კანზასში ყოფილიყო და გინდ ოზის ქვეყანაში, მაგრამ რაკი იცოდა, რომ პატარა გოგო წუხდა, თვითონაც წუხდა.

ავ კუდიანს გულით უნდოდა, ვერცხლის ფეხსაცმელები ჩაეგდო ხელში, რომლებიც მუდამ ზედ ეცვა დოროთის. მისი ფუტკრები, მისი ყვავები და მისი მგლები ზვინებად ეყარნენ და ხმებოდნენ, ოქროს ქუდის ძალაც მთლიანად გამოიყენა. მაგრამ ახლა, თუ ვერცხლის ფეხსაცმელებს ხელში ჩაიგდებდა, ფეხსაცმელები იმაზე მეტ ძალას მისცემდა, ვიდრე ყველაფერი ერთად აღებული, რაც დაკარგა. დოროთის გამუდმებით უთვალთვალებდა, აბა, როდის გაიხდის ფეხსაცმელებს, რომ მოვპაროო. მაგრამ ბავშვს ისე ეამაყებოდა თავისი კოხტა ფეხსაცმელები, რომ მარტო ღამით და ბანაობისას თუ გაიხდიდა. კუდიანს სიბნელისა ისე ეშინოდა, რომ ვერ ბედავდა, ღამით დოროთის ოთახამდე მისულიყო და ფეხსაცმელები აეღო, სიბნელეზე მეტად კი წყლის შიში ჰქონდა, ამიტომ როცა დოროთი ბანაობდა, ახლოს მისვლა ვერ გადაეწყვიტა. ბებერი კუდიანი წყალს არც ეკარებოდა და არც იკარებდა.

თუმცა, ისეთი მზაკვარი იყო, რომ ბოლოს მაინც მოიფიქრა ხრიკი, თუ როგორ ჩაეგდო ხელში, რაც სურდა. სამზარეულოს იატაკზე რკინის წკეპლა დადო, მერე კი იჯადოქრა და რკინა ადამიანის თვალისთვის უხილავი გახადა. ჰოდა, როცა დოროთიმ სამზარეულოში გაიარა, წკეპლა ვერ დაინახა, წამოედო და დავარდა. ბევრი არაფერი სტკენია, მაგრამ ცალი ფეხსაცმელი გასძვრა და ვიდრე მისწვდებოდა, კუდიანმა დაავლო ხელი და თავის გამწლიკულ ფეხზე წამოიცვა.

კუდიან დედაბერს ძალიან გაუხარდა, რომ მისმა ოინმა გასჭრა, რადგან ახლა, როცა ცალი ფეხსაცმელი თვითონ ჰქონდა, ჯადოს ნახევარიც მის ხელთ იყო. დოროთის რომც სცოდნოდა ფეხსაცმლის ძალა, მაინც ვეღარაფერს დააკლებდა.

პატარა გოგო ისე გააბრაზა კოხტა ფეხსაცმლის დაკარგვამ, რომ კუდიანს უთხრა:

– დამიბრუნეთ ჩემი ფეხსაცმელი!

– არა, – მიუგო კუდიანმა, – შენი იყო, ახლა ჩემია.

– რა ბოროტი ხართ! – შესძახა დოროთიმ, – რად წამართვით? არანაირი უფლება არ გქონდათ!

– მაინც ჩემია, – ჩაიხითხითა კუდიანმა, – და ცოტა ხანში მეორესაც გაგხდი.

ამაზე დოროთი ისე გაცეცხლდა, რომ იქვე მდგარ წყლიან ვედროს დაავლო ხელი, მიასხა კუდიანს და თავით ფეხამდე გალუმპა.

კუდიანმა შიშით შეჰყვირა და დოროთიმ თავისდა გასაოცრად დაინახა, რომ თანდათან მოიჭმუჭნა და დაპატარავდა.

– ნახე, რა მიქენი! – იკივლა, – ერთ წუთში გავდნები.

– უკაცრავად, – უთხრა დოროთიმ, რადგან მართლა შეეშინდა იმის დანახვაზე, რომ კუდიანი მის თვალწინ შაქარივით ილეოდა.

– არ იცოდი, რომ წყალი ბოლოს მომიღებდა? – ჰკითხა კუდიანმა შესაბრალისი, უსასოო ხმით.

– არა, რას ბრძანებთ, – მიუგო დოროთიმ, – საიდან მეცოდინებოდა?

– ცოტაც და დავდნები, ჩემი ციხედარბაზი კი შენ დაგრჩება. რაც თავი მახსოვს, ავი ვიყავი, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ შენნაირი პატარა გოგო დამადნობდა და ბოლოს მოუღებდა ჩემს ავ საქმეებს. მიყურე: ვდნები!

ამ სიტყვებზე კუდიანი ყავისფერ, გამდნარ, უფორმო მასად გადაიქცა, დავარდა და სამზარეულოს იატაკის სუფთა ფიცრებზე გაიშალა. დოროთიმ რომ დაინახა, მართლა დადნაო, ერთი ვედრო წყალიც მოიტანა და იმ ნარჩენებს მიასხა, მერე კი გარეთ გახვეტა. ამის შემდეგ აიღო ვერცხლის ფეხსაცმელი – დედაბრისგან სხვა არაფერი დარჩა, – გაწმინდა, ტილოთი გაამშრალა და ისევ ფეხზე ჩაიცვა. მერე, რაკი ბოლოს და ბოლოს შეეძლო თავის ნებაზე მოქცეულიყო, ეზოში გაიქცა და ლომს უთხრა, დასავლეთის ავ კუდიანს აღსასრული დაუდგა და ამ უცხო მხარეში ტყვეები აღარ ვართო.

თავი მეცამეტე. გადარჩენა

მხდალი ლომი სიხარულით ცას ეწია, რომ ავი კუდიანი ერთმა ვედრო წყალმა გაადნო. დოროთიმ მაშინვე გაუღო საპატიმროს კარი და გამოუშვა. ორივენი ერთად წავიდნენ ციხედარბაზში, სადაც დოროთიმ პირველი ის მოიმოქმედა, რომ პაჭუნებს თავი მოუყარა და გამოუცხადა, მონები აღარ ხართო.

ყვითელმა პაჭუნებმა სიხარულით ქუდი ჭერს ჰკრეს, რადგან ავ კუდიანს მრავალი წელი იყო, ჯაფაში ჰყავდა და სიცოცხლეს უმწარებდა. ეს დღე ამიერიდან საყოველთაო დღესასწაულად გამოაცხადეს და დიდი ქეიფი და ცეკვათამაში გამართეს.

– ჩვენი მეგობრები, საფრთხობელა და რკინის ტყეკაფიაც რომ აქ იყვნენ, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ექნებოდა, – თქვა ლომმა.

– ნეტავ, ვერაფერს ვუშველით? – მღელვარედ ჰკითხა დოროთიმ.

– ვცადოთ, – მიუგო ლომმა.

მოუხმეს ყვითელ პაჭუნებს და ჰკითხეს, მეგობრების გადარჩენაში ხომ ვერ დაგვეხმარებითო. პაჭუნებმა მიუგეს, თავს არ დავზოგავთ დოროთისთვის, მან ხომ მონობისგან გვიხსნაო. დოროთიმ შეარჩია რამდენიმე პაჭუნა, რომლებიც ყველაზე გონიერები ჩანდნენ და ერთად დაადგნენ გზას. მთელი ის დღე და მეორე დღის ნახევარი იარეს, სანამ იმ ქვიან მინდორს არ მიადგნენ, სადაც დაჭყლეტილგაღუნული რკინის ტყეკაფია ეგდო. ცულიც იქვე იყო, ოღონდ პირდაჟანგული და ტარმომტვრეული.

პაჭუნებმა ფრთხილად აიყვანეს ტყეკაფია და ყვითელ ციხედარბაზში მიიყვანეს. ძველი მეგობრის საცოდაობით დოროთი ცრემლებს ღვრიდა, ლომი კი ისეთი დარდიანი იყო, დანა პირს არ უხსნიდა. როცა ციხედარბაზში მივიდნენ, დოროთიმ ჰკითხა პაჭუნებს:

– მჭედლები გყავთ თუ არა?

– როგორ არა, და თანაც კარგი, – მიუგეს იმათ.

– მაშ, მომიყვანეთ, – უთხრა დოროთიმ და როცა მჭედლები მოვიდნენ და კალათებით თავთავიანთი ხელსაწყოიარაღები მოიტანეს, ჰკითხა, – შეგიძლიათ, რომ რკინის ტყეკაფიას ჩაჭყლეტილი ადგილები გაუსწოროთ, წელში ძველებურად გამართოთ და, სადაც გატეხილია, დარჩილოთ?

მჭედლებმა გულდასმით დაათვალიერეს ტყეკაფია და მიუგეს, ალბათ მოვახერხებთ, რომ როგორიც იყო, ისევ ისეთი გახდესო. ჰოდა, ციხედარბაზის ერთ დიდ, ყვითელ ოთახში შეუდგნენ საქმეს. სამი დღე და ოთხი ღამე მუშაობდნენ და ტყეკაფიას ხელფეხს, ტანსა და თავს ჩაქუჩებს ურაკუნებდნენ, გრეხდნენ, ღუნავდნენ, რჩილავდნენ, აპრიალებდნენ და უბრახუნებდნენ, ვიდრე ძველებურად არ გაასწორეს და სახსრებიც წინანდებურად არ აუმუშავეს. რამდენიმე საკერებელი კი ჰქონდა, მაგრამ მჭედლების ნამუშევარი მაინც არ დაიწუნებოდა, ტყეკაფია კი პატივმოყვარე კაცი არ იყო და საკერებლები ჩირადაც არ ჩააგდო.

– საფრთხობელაც რომ ჩვენთან იყოს, – თქვა რკინის ტყეკაფიამ, როცა დოროთიმ უამბო, რაც მოხდა, – ჩემს სიხარულს საზღვარი არ ექნებოდა.

– ვეცადოთ, იქნებ ვიპოვოთ, – მიუგო გოგომ.

მოუხმო პაჭუნებს და შველა სთხოვა, იმათაც მთელი ის დღე და მეორე დღის ნახევარი იარეს, სანამ იმ მაღალ ხეს არ მიადგნენ, რომლის ტოტებზეც ფრთოსანმა მაიმუნებმა საფრთხობელას ტანსაცმელი შეაგდეს. ხე იმსიმაღლე იყო და ისეთი გლუვი ტანი ჰქონდა, რომ ვერავინ ავიდოდა, მაგრამ ტყეკაფიამ მაშინვე თქვა:

– მოვჩეხავ და საფრთხობელას ტანსაცმელსაც ავიღებთ.

სანამ მჭედლები ტყეკაფიას შეკეთებაში იყვნენ, ერთმა პაჭუნამ, რომელიც ოქრომჭედელი იყო, ოქროს ტარი გამოჭედა და ძველი, გატეხილი ტარის ნაცვლად მოარგო ტყეკაფიას ცულს. სხვებმა იმდენ ხანს ხეხეს პირი, სანამ ჟანგი არ მოშორდა და გაპრიალებული ვერცხლივით არ ალაპლაპდა.

ტყეკაფია მაშინვე ჩეხვას შეუდგა და მალე ხე ჭახანით წაიქცა, საფრთხობელას ტანისამოსის ფუთა კი ტოტებიდან ჩამოვარდა და მიწაზე გადაგორდა.

დოროთიმ აიღო და პაჭუნებს ციხედარბაზში წააღებინა, სადაც მშვენიერი, სუფთა ჩალით აავსეს, და აჰა! ესეც საფრთხობელა! გაბრწყინებული ყველას მადლობას უხდიდა გადარჩენისთვის.

რაკი ერთად შეყრა ეღირსათ, დოროთიმ და მისმა მეგობრებმა რამდენიმე დალხენილი დღე გაატარეს ყვითელ ციხეკოშკში, სადაც ყველაფერი იყო, რაც სულსა და გულს ეამებოდა.

მაგრამ ერთ დღეს გოგოს დეიდა ემი გაახსენდა და თქვა:

– ოზთან უნდა დავბრუნდეთ და დანაპირების შესრულება მოვთხოვოთ.

– ჰო, – თქვა ტყეკაფიამ, – და გულიც მეღირსება.

– მე – ჭკუა, – მხიარულად დაუმატა საფრთხობელამ.

– მე – სიმამაცე, – დაფიქრდა ლომი.

– მე კი კანზასში დაბრუნება, – ტაში შემოჰკრა დოროთიმ, – მოდით, ხვალვე დავიძრათ ზურმუხტქალაქისკენ!

გადაწყვიტეს, ასეც ექნათ. მეორე დღეს შეკრიბეს პაჭუნები და დაემშვიდობნენ. პაჭუნებს ისე ენანებოდათ ამათი გაშვება და ისე შეუყვარდათ რკინის ტყეკაფია, რომ შეემუდარნენ, დარჩი და დასავლეთის ყვითელი მხარის მმართველი გახდიო, მაგრამ რაკი ნახეს, რომ წასვლას არ დაიშლიდნენ, ტოტოსა და ლომს ოქროს საყელურები უსახსოვრეს, დოროთის – ალმასებით მოოჭვილი მშვენიერი სამაჯური, საფრთხობელას – ოქროსთავიანი საბჯენი ჯოხი, რათა ბორძიკბორძიკით აღარ ევლო, ხოლო რკინის ტყეკაფიას – ოქროთი მოვარაყებული და ძვირფასი ქვებით შემკული ვერცხლის საზეთური.

მგზავრებმა სათითაო სამადლობელი სიტყვა უთხრეს პაჭუნებს და იმდენ ხანს ართმევდნენ ხელს, რომ კინაღამ მკლავები დააწყდათ.

დოროთიმ კუდიანის ბუფეტი გამოაღო, რათა კალათი საგზლით აევსო და ოქროს ქუდი დაინახა. თავზე დაიხურა და მშვენივრად მოერგო. ოქროს ქუდის ჯადოსნურობისა არაფერი იცოდა, მაგრამ მოეწონა და გადაწყვიტა, მოდი, ამას დავიხურავ, შლაპას კი კალათში ჩავიდებო.

მერე, რაკი უკვე მზად იყვნენ, ზურმუხტქალაქისკენ აიღეს გეზი. პაჭუნებმა სამგზის ვაშა და ათასი კეთილი სურვილი დაადევნეს.

თავი მეთოთხმეტე. ფრთოსანი მაიმუნები

გეხსომებათ, რომ ავი კუდიანის ციხედარბაზიდან ზურმუხტქალაქამდე გზა კი არა, ბილიკიც არ მიდიოდა. როცა ოთხი მგზავრი კუდიანის საძებრად წავიდა, იმან თვალი მოჰკრა, ფრთოსანი მაიმუნები გამოგზავნა და მოაყვანინა. ახლა ფეხით გაუჭირდათ ბაიებითა და გულყვითელა გვირილებით მოფენილ ველებში გზის გაკვლევა. რასაკვირველია, იცოდნენ, რომ სულ აღმოსავლეთით უნდა ევლოთ, ამომავალი მზის მიმართულებით და ასეც მოიქცნენ, მაგრამ შუადღისას, როცა მზე თავზე დაადგათ, ვეღარ მიხვდნენ, საით აღმოსავლეთი იყო და საით – დასავლეთი, ამიტომ დიდ ველებში დაიკარგნენ. თუმცა, სიარულით მაინც მიდიოდნენ. ღამით კი მთვარე ამოვიდა და იქაურობა გაანათა. მიწვნენ სურნელოვან ყვითელ ყვავილებში და დილამდე ტკბილად ეძინათ – საფრთხობელასა და რკინის ტყეკაფიას გამოკლებით.

მეორე დღეს მზე ღრუბლებში იყო შემალული, მაგრამ მაინც დაიძრნენ, თითქოს იციან, საით უნდა აიღონ გეზიო.

– თუ ვივლით და ვივლით, ბოლოს სადმე მივალთ, – თქვა დოროთიმ.

მაგრამ ის დღეც გავიდა და ყვითელი ველების გარდა წინ არაფერი ჩანდა. საფრთხობელა ცოტცოტა აბუზღუნდა:

– ნამდვილად გზა დავკარგეთ, – თქვა, – და თუ ზურმუხტქალაქში დროზე არ ჩავალთ, უჭკუო დავრჩები და ეგ იქნება.

– მე კი – უგულო, – განაცხადა რკინის ტყეკაფიამ, – ძლივს ვითმენ, ისე მინდა ოზთან მისვლა, არადა თქვენც ხომ მეთანხმებით, რომ ამ გზას ბოლო არ უჩანს.

– მე, ჩემდათავად, – დაიწუწუნა მხდალმა ლომმა, – იმდენი გამბედაობა ვინ მომცა, ვიხეტიალო და ვერსად ვერ მივაღწიო.

მერე დოროთისაც დაეკარგა იმედი. ბალახზე დაეშვა და თანამგზავრებს შეხედა, ისინიც დასხდნენ და მიაცქერდნენ. პირველად მოხდა, რომ ტოტო ისეთი დაღლილი იყო, გვერდით ჩაფრენილ პეპელასაც ვერ დაედევნა; ენა გადმოაგდო, აქოშინდა და დოროთის ისე შეხედა, გეგონება ეკითხება, ამის მერე რა ვქნაო.

– იქნებ მინდვრის თაგვებს დავუძახოთ, – თქვა დოროთიმ, – და გვითხრან, საით არის ზურმუხტქალაქი.

– ალბათ, ეცოდინებათ, – წამოიძახა საფრთხობელამ, – რატომ აქამდე არ გაგვახსენდა?

დოროთიმ პატარა სასტვენში ჩაჰბერა, რომელსაც კისრიდან არ იშორებდა მას მერე, რაც თაგვების დედოფალმა უსახსოვრა. რამდენიმე წუთში პაწია ფეხების წკაპაწკუპი გაისმა და უამრავი პატარა ნაცრისფერი თაგვი გამოჩნდა თავისი დედოფლიანად. დედოფალმა წრიპინა ხმით იკითხა:

– რით ვემსახურო ჩემს მეგობრებს?

– გზა დავკარგეთ, – უთხრა დოროთიმ, – ვერ გვეტყვით, ზურმუხტქალაქი საით არის?

– როგორ ვერა, – მიუგო დედოფალმა, – ოღონდ ძალიან დაშორებიხართ, საპირისპირო მხარეს გივლიათ, – მერე დოროთის ოქროს ქუდი შენიშნა და უთხრა, – რატომ ქუდის ჯადოს არ გამოიყენებ და ფრთოსან მაიმუნებს არ მოუხმობ? ერთი საათიც არ გავა, რომ ოზის ქალაქში მიგიყვანენ.

– არ ვიცოდი, ჯადოსნური თუ იყო, – გაკვირვებით მიუგო დოროთიმ, – როგორ მოვუხმო?

– ოქროს ქუდს შიგნიდან აწერია, – უთხრა თაგვების დედოფალმა, – მაგრამ თუ ფრთოსანი მაიმუნების მოხმობას აპირებ, ჩვენ გავიქცევით, თორემ ძალიან მავნეები არიან და ჩვენი წვალება გაუხარდებათ.

– მე არაფერს დამიშავებენ? – შეშფოთდა დოროთი.

– შენ – არა. ქუდის პატრონს უნდა დაემორჩილონ. ნახვამდის! – და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა. დანარჩენი თაგვებიც მიჰყვნენ.

დოროთიმ ოქროს ქუდს ჩახედა და სარჩულზე რაღაც სიტყვები დაინახა. იფიქრა, ეს იქნება ჯადოსნური სიტყვებიო, მერე ინსტრუქცია გულდასმით წაიკითხა და ქუდი დაიხურა.

– ეპპე, პეპპე, კაკკე! – თქვა მარცხენა ფეხზე მდგარმა.

– რა თქვი? – ჰკითხა საფრთხობელამ, რომელიც ვერ მიხვდა, დოროთი რას შვრებოდა.

– მალლამ, ბალლამ, სალლამ! – განაგრძო მარჯვენა ფეხზე მდგარმა დოროთიმ.

– სალამი! – მშვიდად მიუგო რკინის ტყეკაფიამ.

– ზიზზი, ზუზზი, ზიკ! – ორივე ფეხზე დადგა დოროთი. შელოცვა ითქვა. ატყდა დიდი ჟივილხივილი, ფრთების ფართხუნი და ფრთოსანი მაიმუნების ხროვაც მოფრინდა.

მეფემ მდაბლად დაუკრა თავი დოროთის და ჰკითხა:

– რას გვიბრძანებ?

fb.com/groups/ellib

– ზურმუხტქალაქში გვინდა ჩასვლა, – უთხრა ბავშვმა, – გზა დაგვებნა.

– წაგიყვანთ, – მიუგო მეფემ. ორმა მაიმუნმა იმწამსვე აიტაცა დოროთი და გააქროლეს. სხვებმა საფრთხობელა, ტყეკაფია და ლომი წაიყვანეს, ხოლო ერთმა პატარა მაიმუნმა ტოტო აიტაცა და უკან გაჰყვა, თუმცა ლეკვი ძალიან ცდილობდა, ეკბინა.

საფრთხობელასა და და რკინის ტყეკაფიას ჯერ კი შეეშინდათ, რადგან ახსოვდათ, რა ცუდად მოექცნენ ფრთოსანი მაიმუნები, მაგრამ რაკი დაინახეს, არაფერს გვიშავებენო, გახალისდნენ და ქვემოთ მქროლავი კოხტა ბაღებისა და ტყეების ყურებით ტკბებოდნენ.

დოროთის ძალიანაც სიამოვნებდა ფრენა ორ უდიდეს მაიმუნს შორის, რომელთაგან ერთი თავად მეფე იყო. გოგო „ოქროს ტახტით“ მიჰყავდათ და ცდილობდნენ, არაფერი დაშავებოდა.

– რად ემორჩილებით ოქროს ქუდის ჯადოსნობას? – ჰკითხა მაიმუნებს.

– გრძელი ამბავია, – ფრთების ფართხუნში ჩაეცინა მეფეს, – მაგრამ რაკი გზაც გრძელი გვიძევს, თუ გინდა, გიამბობ და დროც გავა.

– დიდი სიამოვნებით, – მიუგო დოროთიმ.

– იყო დრო, – დაიწყო ბელადმა, – როცა თავისუფალი ხალხი ვიყავით და ბედნიერად ვცხოვრობდით ერთ დიდ ტყეში: დავფრინავდით ხიდან ხეზე, მივირთმევდით ხილსა და კაკალს და ვიყავით ჩვენს ნებაზე; ბატონი არ გვყავდა. ზოგიერთი ჩვენგანი ხანდახან მავნე საქმეებს სჩადიოდა: დაექანებოდა და უფრთო ცხოველებს კუდს მოქაჩავდა, ჩიტებს დასდევდა და ტყეში შემოსულ ადამიანებს კაკლებს უშენდა. თუმცა კი, უზრუნველად და ბედნიერად ვცხოვრობდით, მხიარულებაში ვიყავით და სიცოცხლე გვიხაროდა. ეს მრავალი წლის წინ იყო, დიდი ხნით ადრე, სანამ ღრუბლებიდან დიდი ოზი დაეშვებოდა და აქაურობის მმართველი გახდებოდა.

იმხანად აქ, ოღონდ ჩრდილოეთის მხარეში ცხოვრობდა მშვენიერი მეფის ასული, რომელიც დიდი ჯადოქარიც იყო. მთელ თავის ჯადოქრობას ადამიანთა საკეთილდღეოდ იყენებდა და კეთილი კაცისთვის არასოდეს არაფერი დაუშავებია. სახელად გეიელეტი ერქვა და ლალის ქვებისაგან ნაგებ მშვენიერ სასახლეში ცხოვრობდა. ყველას უყვარდა, მაგრამ ერთი დარდი ჰქონდა: თავისი ტოლი და სწორი არავინ ეგულებოდა, რომ შეეყვარებინა, რადგან ყველა კაცი ისეთი ბრიყვი და ართვალი იყო, რომ მისებრ ლამაზსა და ჭკვიანს არ შეეფერებოდა. თუმცა, ბოლოს მაინც მიაგნო ერთ ბიჭს, რომელიც თვალადიც იყო, კაცურიცა და, თავისი ასაკის პირობაზე, ჭკვიანიც. გეიელეტმა გადაწყვიტა, როცა გაიზრდება, ცოლად გავყვებიო, წაიყვანა ლალის სასახლეში და მთელ თავის ჯადოქრობას მოუხმო, რათა ის ბიჭი ისეთი ძლიერი, კეთილი და მოხდენილი გამხდარიყო, როგორსაც ყოველი ქალი

ინატრებდა ქმრად. გავიდა დრო; ქელალი, ასე ერქვა იმ ბიჭს, გაიზარდა, დაკაცდა და მთელ მხარეში საუკეთესო და უბრძნესი ვაჟკაცი დადგა, თან კი ისეთი მიმზიდველი თვალტანადობის პატრონი, რომ გეიელეტს თავდავიწყებით შეუყვარდა და საქორწილო სამზადისი დააჩქარა.

იმ დროს ფრთოსანი მაიმუნების მეფე პაპაჩემი იყო, გეიელეტის სასახლის მახლობელ ტყეში ცხოვრობდა და კარგ სადილს კარგი ხუმრობა ერჩივნა. ერთ დღეს, სწორედ ქორწილის წინ, პაპაჩემი თავის ხროვასთან ერთად გამოფრინდა და მდინარის პირას მოსეირნე ქელალი დაინახა; ვარდისფერი აბრეშუმისა და მეწამული ხავერდის სამოსი ეცვა. პაპაჩემმა იფიქრა, სეირს ვაჩვენებო. ხროვას უბრძანა და ისინიც დაეშვნენ, აიტაცეს ქელალი, გაიყვანეს შუა მდინარეში და წყალში ჩააგდეს.

– გამოცურე, ბატონო, – ჩასძახა პაპაჩემმა, – ვნახოთ, გაგიფუჭებს წყალი ტანსაცმელს თუ არა.

ქელალს ჭკუა არ აკლდა და თან არც განებივრებულგაზულუქებული იყო, რატომ ვერ გამოცურავდა! ჰოდა, ამოყვინთა, გაეცინა და ნაპირზე გაცურა. მაგრამ როცა გეიელეტმა მოირბინა, ნახა, რომ წყალს აბრეშუმი და ხავერდი გაეფუჭებინა.

მეფის ასული გაბრაზდა და ცხადია, მიხვდა, ვინც ჩაიდინა ეს საქმე. მაშინვე იხმო ფრთოსანი მაიმუნები და უთხრა, ფრთებს შეგიკრავთ და ისე მოგექცევით, როგორც თქვენ მოექეცით ქელალს: მდინარეში გადაგიძახებთო. მაგრამ აქეთ პაპაჩემი ემუდარა, რადგან იცოდა, რომ ფრთებშეკრული მაიმუნები მდინარეში ჩაიხრჩობოდნენ, იქით ქელალმა შეაწია სიტყვა და გეიელეტმაც დაინდო მაიმუნები იმ პირობით, რომ იმ დღიდან მოყოლებული სამ ბრძანებას შეუსრულებდნენ ოქროს ქუდის მფლობელს. ეს ქუდი ქელალს საქორწილოდ აჩუქა მეფის ასულმა და ნახევარი სამეფოს ფასი დაუჯდა. რასაკვირველია, პაპაჩემი და დანარჩენი მაიმუნები მაშინვე დათანხმდნენ ამ პირობას. აი, როგორ მოხდა, რომ სამგზის ვემონებით ოქროს ქუდის პატრონს, ვისაც გინდა ეხუროს.

– მერე, რაღა მოხდა? – ჰკითხა დოროთიმ, რომელიც ძლიერ დააინტერესა ამ ამბავმა.

– ქელალი ოქროს ქუდის პირველი პატრონი იყო, – მიუგო მაიმუნმა, – პირველს მას უნდა ეთქვა, რა სურდა. ჰოდა, რაკი პატარძალი თვალის დასანახად ვერ გვიტანდა, ქელალი ქორწილის შემდეგ ტყეში გამოვიდა, გვიხმო და გვიბრძანა, ისეთ ადგილას დაბინავდით, რომ მეფის ასულს აღარ დაენახოთო. ჩვენც გაგვიხარდა, რადგან გეიელეტისა გვეშინოდა.

ეს იყო და ეს, ვიდრე ოქროს ქუდი დასავლეთის ავი კუდიანს არ ჩაუვარდა ხელში, რომელმაც ჯერ პაჭუნები დაიმონა, მერე კი თავად ოზი გააძევა დასავლეთის მხარიდან. ახლა ოქროს ქუდი შენია და შეგიძლია, სამი სურვილის შესრულება მოგვთხოვო.

როცა მაიმუნების მეფემ თავისი ამბავი დაამთავრა, დოროთიმ დაიხედა და ზურმუხტქალაქის მწვანე, ბრჭყვიალა კედლები დაინახა. გაუკვირდა, რა მალე მოგვიყვანეს მაიმუნებმაო, თან კი გაუხარდა, რომ მგზავრობა დამთავრდა. უცნაურმა სულიერებმა მგზავრები ციმციმ ჩამოსვეს ქალაქის ჭიშკართან, მერე კი მეფემ დოროთის მდაბლად დაუკრა თავი და სწრაფად გაქანდა, თავისი ხროვაც თან მიჰყვა.

– კარგად ვიმგზავრეთ, – თქვა პატარა გოგომ.

– ჰო, და გასაჭირსაც იოლად დავაღწიეთ თავი, – მიუგო ლომმა, – კიდევ კარგი, ის მშვენიერი ქუდი წამოიღე!

თავი მეთხუთმეტე. დიდი და მრისხანე

ოთხი მგზავრი ზურმუხტქალაქის დიდ ჭიშკარს მიადგა და ზარი დარეკეს. კარგა ხანი რეკავდნენ, ვიდრე ნაცნობმა ჭიშკრის მცველმა არ გაუღო.

– რაო! დაბრუნდით? – ჰკითხა გაკვირვებით.

– ვერ გვხედავთ? – მიუგო საფრთხობელამ.

– ჰო, მაგრამ თქვენ ხომ დასავლეთის ავ კუდიანთან წახვედით!

– ვიყავით კიდეც, – მიუგო საფრთხობელამ.

– და, გამოგიშვათ? – განცვიფრებით ჰკითხა კაცმა.

– გადნა და სხვა რა გზა ჰქონდა, – აუხსნა საფრთხობელამ.

– გადნაო! ეგ რა კარგი ამბავი მოიტანეთ, – თქვა კაცმა, – მერედა, ვინ გაადნო?

– ვინ და დოროთიმ, – დინჯად მიუგო ლომმა.

– ღმერთო დიდებულო! – წამოიძახა კაცმა და გოგოს თავი მდაბლად დაუკრა.

მერე თავის პატარა ოთახში შეუძღვა და დიდი ყუთიდან ამოღებული სათვალეები წინანდებურად ჩაუკეტა კეფაზე. ამის მერე ჭიშკარი გაიარეს და ზურმუხტქალაქში შევიდნენ. როცა იქაურებმა ჭიშკრის მცველისგან გაიგეს, რომ დასავლეთის ავი კუდიანი დოროთიმ გაადნო, ყველანი მგზავრებს შემოეხვივნენ და ერთად მიაცილეს ოზის სასახლემდე.

კართან კვლავ მწვანეულვაშა ჯარისკაცი იდგა გუშაგად, მაგრამ ახლა იმწამსვე შეუშვა. იქ ისევ ის ლამაზი მწვანე მოახლე დაუხვდათ და მაშინვე მიაცილა თავთავის

წინანდელ ოთახებში, რათა დაესვენათ, ვიდრე დიდი ოზი მზად არ იქნებოდა მათ მისაღებად.

ჯარისკაცმა მაშინვე აცნობა ოზს, დოროთიმ და მისმა თანამგზავრებმა ავ კუდიანს სული გააფრთხობინეს და დაბრუნდნენო, მაგრამ ოზს პასუხი არ გაუცია. ეგონათ, დიდი ჯადოქარი მაშინვე იხმობდა, მაგრამ არა. არც მეორე დღეს შემოუთვლია რამე, არც მესამე და არ მეოთხე დღეს. ლოდინმა ყველას ქანცი გამოაცალა, ბოლოს კი აღშფოთდნენ, ოზი ასე არ უნდა გვექცეოდეს მას მერე, რაც ისეთ ადგილას გაგვიშვა, სადაც ათასი გასაჭირი და მონობა გამოვიარეთო, ამიტომ საფრთხობელამ მწვანე მოახლეს სთხოვა, ოზს გადაეცი, თუ ახლავე არ მიგვიღებს, საშველად ფრთოსან მაიმუნებს ვიხმობთ და გავარკვევთ, სიტყვის კაცია თუ არაო. როცა ჯადოქარს ეს სიტყვები გადასცეს, ისე დაფრთხა, რომ შემოუთვალა, ხვალ ათის ოთხ წუთზე სატახტო დარბაზში იყავითო. ფრთოსან მაიმუნებს ერთხელ შეხვდა დასავლეთის მხარეში და მეორედ შეხვედრა არ უნდოდა.

ოთხმა მგზავრმა უძილო ღამე გაატარა, ყოველი მათგანი ოზის დაპირებულ ჯილდოზე ფიქრობდა. დოროთის ცოტა ხნით ჩათვლიმა და დაესიზმრა, რომ კანზასში იყო და დეიდა ემი ეუბნებოდა, როგორ მიხარია, რომ ჩემი პატარა გოგო ისევ შინ მყავსო.

მეორე დილით, ზუსტად ცხრაზე, მწვანეულვაშა ჯარისკაცი მივიდა და ოთხ წუთში დიდი ოზის სატახტო დარბაზში შევიდნენ.

რასაკვირველია, ყოველ მათგანს ეგონა, რომ წინანდელი სახით ნახავდა ჯადოქარს და განცვიფრებული დარჩნენ, როცა მიიხედმოიხედეს და ვერავინ დაინახეს. შეჯგუფულები იდგნენ და კარს არ შორდებოდნენ, რადგან ცარიელი დარბაზის სიჩუმე იმაზე საშინელი იყო, ვიდრე ოზის წინანდელი გამოცხადებანი.

ცოტა ხანში მოზეიმე ხმა გაიგონეს, რომელიც თითქოს დიდი გუმბათის წვერიდან მოდიოდა:

– მე ოზი ვარ, დიდი და მრისხანე. თქვენ ვინ ხართ და რამ მოგიყვანათ?

ისევ მოათვალიერეს ოთახი და რაკი ვერავინ დაინახეს, დოროთიმ ჰკითხა:

– სადა ხარ?

– ყველგან, – მიუგო ხმამ, – ოღონდ უბრალო მოკვდავის თვალისთვის უხილავი. ახლა ჩემს ტახტზე დავჯდები და შეგიძლიათ, გამესაუბროთ.

მართლაც, ხმა უკვე თითქოს ტახტიდან მოდიოდა. ესენიც ტახტისკენ წავიდნენ, ჩამწკრივდნენ და დოროთიმ თქვა:

– პირობა შეგვისრულე, ო, ოზ.

– რა პირობა? – ჰკითხა ოზმა.

– ხომ დამპირდი, კანზასში გაგგზავნი, როცა ავ კუდიანს ბოლოს მოუღებო, – უთხრა გოგომ.

– მე ჭკუას დამპირდი, – უთხრა საფრთხობელამ.

– მე – გულს, – თქვა რკინის ტყეკაფიამ.

– მე კი სიმამაცეს, – თქვა მხდალმა ლომმა.

– მართლა მოეღო ბოლო ავ კუდიანს? – იკითხა ხმამ და დოროთიმ გაიფიქრა, ცოტა არ იყოს, ათრთოლდაო.

– დიახ, – მიუგო, – ვედროთი წყალი მივასხი და გადნა.

– ღმერთო დიდებულო, – თქვა ხმამ, – რა მოულოდნელია! კარგი, ხვალ მოდი, უნდა მოვიფიქრო.

– დრო ბევრი გქონდა, – გაბრაზდა რკინის ტყეკაფია.

– მეტს ვეღარ მოვიცდით, – თქვა საფრთხობელამ.

– სიტყვა უნდა შეასრულო! – წამოიძახა დოროთიმ.

ლომმა იფიქრა, ურიგო არ იქნება, ჯადოქარი შევაშინოო და ერთი კარგად დაიღრიალა, ისე მძვინვარედ და საზარლად, რომ ტოტომ ისკუპა და კუთხეში მდგარი ტიხარი გადააყირავა. ტიხარის ბრახუნზე ყველამ მიიხედა და პირები დააღეს, რადგან იმ ადგილას, რომელსაც ტიხარი ეფარებოდა, ჩია ბერიკაცი დაინახეს, თავმოტვლეპილი და სახედანაოჭებული, რომელიც მათსავით გაოცებული ჩანდა. რკინის ტყეკაფიამ ცული მოიმარჯვა, ბერიკაცისკენ გაექანა და დაუყვირა:

– ვინა ხარ?

– მე ოზი ვარ, დიდი და მრისხანე, – ხმა აუკანკალდა ბერიკაცს, – მაგრამ არ დამარტყა... გემუდარები... და რაც გინდათ, იმას გავაკეთებ.

მეგობრებმა გაკვირვებით და გაოგნებით შეხედეს.

– მე ოზი დიდი თავი მეგონა, – თქვა დოროთიმ.

– მე – მზეთუნახავი, – თქვა საფრთხობელამ.

– მე – საზარელი მხეცი, – თქვა რკინის ტყეკაფიამ.

– მე კი – ცეცხლის ბურთი, – წამოიძახა ლომმა.

– ყველანი ცდებოდით, – მორჩილად თქვა ბერიკაცმა, – ვთვალთმაქცობდი.

– თვალთმაქცობდითო! – შესძახა დოროთიმ, – მაშ, დიდი ჯადოქარი არა ხართ?

– ჩუმად, ჩემო კარგო, – უთხრა იმან, – ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ, თორემ გაიგონებენ და დავიღუპები. მე ხომ ყველას დიდი ჯადოქარი ვგონივარ.

– და სინამდვილეში არა ხართ? – ჰკითხა დოროთიმ.

– არანაირად, ჩემო კარგო, ჩვეულებრივი კაცი ვარ.

– ჩვეულებრივი კაცი კი არა, ცრუპენტელა ყოფილხართ, – თქვა გულმოკლულმა საფრთხობელამ.

– სწორედ! – წამოიძახა ბერიკაცმა და ხელები მოისრისა, თითქოს ესიამოვნაო, – ცრუპენტელა ვარ.

– რა საშინელებაა, – თქვა რკინის ტყეკაფიამ, – გული სადღა ვიშოვო?

– ან მე – გამბედაობა? – ჰკითხა ლომმა.

– მე კი – ჭკუა? – დაიჩივლა საფრთხობელამ და ქურთუკის სახელოთი შეიმშრალა ცრემლი.

– ჩემო მეგობრებო, – თქვა ოზმა, – გთხოვთ, ნუღარაფერს იტყვით ამ წვრილმანებზე. ჩემზე იფიქრეთ: რა ხათაბალაში გავებმები, ჩემი ამბავი თუ შეიტყვეს.

– მაშ, არ იციან, რომ ცრუპენტელა ხართ? – ჰკითხა დოროთიმ.

– არავინ, მხოლოდ თქვენ ოთხმა და... მე, – მიუგო ოზმა, – იმდენ ხანს ვაბრიყვებდი აქაურებს, რომ მეგონა, ვეღარც მიმიხვდებიანმეთქი. ეს რა მომივიდა, როგორ შემოგიშვით სატახტო დარბაზში! საერთოდ, აქ ჩემს ქვეშევრდომებსაც არ ვუშვებ და ჰგონიათ, ჩემზე საზარელი არაფერია.

– ჰო, მაგრამ არ მესმის, – თქვა გაოგნებულმა დოროთიმ, – იმ დიდ თავად როგორღა გამომეცხადეთ?

– ეგ ჩემი ფოკუსია, – მიუგო ოზმა, – აქეთ მობრძანდით და ყველაფერს მოგახსენებთ.

სატახტო დარბაზის უკან, პატარა ოთახში შეუძღვა და ერთ კუთხეზე მიუთითა, სადაც ქაღალდის უთვალავი ფენისგან ნაკეთი დიდი თავი იდო, ზედ საგულდაგულოდ დაეხატათ სახე.

– ჭერიდან დაშვებულ მავთულზე ეკიდა, – თქვა ოზმა, – მე კი ტიხრის უკან ვიდექი და ძაფებს ვქაჩავდი, რომ თვალებს ეტრიალა და პირი გაღებულიყო.

– კი, მაგრამ ხმა? – ჩაეძია დოროთი.

– მე ხომ მუცლით მეზღაპრე ვარ, – თქვა ბერიკაცმა, – და შემიძლია, ჩემი ხმა იქიდან მოისმოდეს, საიდანაც მინდა. ჰოდა, მაგიტომ გეგონა, თავი ლაპარაკობსო. აი, კიდევ რაებით მოგატყუეთ, – და საფრთხობელას ის კაბა და ნიღაბი აჩვენა, რომლებითაც მზეთუნახავად გამოეცხადა. რკინის ტყეკაფიამ კი დაინახა, რომ მისი მძვინვარე მხეცი მხოლოდ ერთმანეთს მიკერებული ტყავები იყო, ლარტყებთ მიმაგრებული, რათა არ ჩაჩუტულიყო. რაც შეეხება ცეცხლის ბურთს, ცრუ ჯადოქარს ისიც ჭერიდან ჩამოეშვა და სინამდვილეში ბამბის გორგალი იყო, ოღონდ ზეთით გაეჟღინთა და იმიტომ ბრიალებდა ისე საშინლად.

– ღმერთმანი, უნდა გრცხვენოდეთ, რომ ასეთი ცრუპენტელა ხართ, – უთხრა საფრთხობელამ.

– მე... მართლა მრცხვენია, – დაღონდა ჩია კაცი, – მაგრამ რა მექნა. დაბრძანდით, სავარძლები არ გვაკლია, და გიამბობთ, რაც შემემთხვა.

ისინიც დასხდნენ და და აი, რა მოისმინეს:

– მე ომაჰელი გახლავართ...

– უი, ომაჰა ხომ კანზასთან ახლოა! – შესძახა დოროთიმ.

– ჰო, ოღონდ აქედან შორია, – მიუგო ბერიკაცმა და სევდიანად დაუქნია თავი, – როცა წამოვიზარდე, მუცლით მეზღაპრეობა დავიწყე და, უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი ოსტატის გაწვრთნილიც გახლავართ. შემიძლია, რომელ ფრინველს ან ცხოველსაც გინდათ, იმას მივბაძო, – და ისე მიამსგავსა კნუტის კნავილს, რომ ტოტომ ყურები ცქვიტა და იქაურობა მოათვალიერა, სად არისო.

– გავიდა ხანი, – განაგრძო ოზმა, – მომბეზრდა ეს ხელობა და გავხდი ჰაერნაოსანი.

– ეგ რაღაა? – ჰკითხა დოროთიმ.

– კაცი, რომელიც ცირკის დღეს საჰაერო ბურთით აფრინდება ხოლმე, რათა ხალხი მოიზიდოს და ცირკის ბილეთები იყიდონ, – აუხსნა იმან.

– უი! – თქვა დოროთიმ, – ვიცი.

– ჰოდა, ერთ დღესაც ავფრინდი და თოკები ისე დამეხლართა, რომ დაბლა ვეღარ დავეშვი. ავედი და ავედი, ავცდი ღრუბლებს და იმსიმაღლეზე ამოვყავი თავი, რომ ქარმა წამიღო და სადღაც გამაქანა. მთელი ის დღე და ღამე ჰაერში ვიყავი, მეორე დილით კი გამეღვიძა და დავინახე, რომ ბურთი რომელიღაც უცხო და ლამაზი ქვეყნის თავზე მიფრინავდა.

თანდათან დავეშვი, ისე რომ არაფერი დამშავებია. გარს უცნაური ხალხი შემომეხვია, რომლებსაც, რაკი ღრუბლებიდან ჩამოვფრინდი, დიდი ჯადოქარი ვეგონე. მეც

უარზე არ წავსულვარ, რადგან გულგახეთქილებმა პირობა მომცეს, რასაც გვიბრძანებ, ყველაფერს შეგისრულებთო.

ვიფიქრე, გავერთობი და ამ კეთილ ხალხსაც საქმეს გავუჩენმეთქი და ქალაქისა და ჩემთვის – სასახლის აგება ვუბრძანე. ყველაფერი ხალისით და საგულდაგულოდ გააკეთეს. მერე ვიფიქრე, რაკი აქაურობა ასეთი მწვანე და ლამაზია, ზურმუხტქალაქს დავარქმევმეთქი, ხოლო იმისათვის, რომ ეს სახელი მართლა შესაფერისი ყოფილიყო, აქაურებს მწვანე სათვალეები გავაკეთებინე, რათა რასაც შეხედავდნენ, ყველაფერი მწვანედ მოსჩვენებოდათ.

– მაშ, ყველაფერი მწვანე არ არის? – ჰკითხა დოროთიმ.

– იმაზე მეტად არა, ვიდრე სხვა ქალაქებში, – მიუგო ოზმა, – მაგრამ თუ მწვანე სათვალე გიკეთია, მაშინ – კი, ბატონო: რასაც შეხედავ, ყველაფერი მწვანე გეგონება. ზურმუხტქალაქი მრავალი წლის წინ აიგო, რადგან როცა საჰაერო ბურთმა მომაფრინა, ახალგაზრდა ვიყავი, ახლა კი ბერიკაცი ვარ და ჩემს ხალხს უკვე იმდენი ხანია, მწვანე სათვალეები უკეთია, რომ ზურმუხტქალაქი მართლა ზურმუხტისა ჰგონიათ. ისე კი მართლა ლამაზია, ძვირფასი ქვებიც ბლომადაა, ძვირფასი ლითონებიც და სხვაც ყველაფერი, რაც ადამიანს სჭირდება. აქაურებს კარგად ვექცეოდი და ამათაც მოვწონვარ, ოღონდ სასახლე რომ აიგო, შიგ გამოვიკეტე და აღარავის დავნახვებივარ.

ყველაზე უფრო კუდიანებისა მეშინოდა, რადგან მე თუ ჯადოქრობისა არაფერი გამეგებოდა, იმათ, როგორც მალევე გავიგე, მართლა საკვირველი საქმეების ჩადენა შეეძლოთ. ამ ქვეყანაში ოთხი კუდიანი იყო და აღმოსავლეთში, დასავლეთში, ჩრდილოეთსა და სამხრეთში მცხოვრებ ხალხებს განაგებდნენ. ბედად, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კუდიანები კეთილები იყვნენ და ვიცოდი, არაფერს მავნებდნენ; სამაგიეროდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კუდიანები იყვნენ ავზე ავები და თუ არ ეგონებოდათ, რომ იმათზე ძლიერი ვარ, ნამდვილად ბოლოს მომიღებდნენ. ერთი სიტყვით, რამდენი წელია, იმათი შიშით სული მეპარებოდა. ჰოდა, წარმოიდგინე, როგორ გამიხარდებოდა, როცა გავიგე, რომ შენი სახლი აღმოსავლეთის ავ კუდიანს დაეცა. როცა ჩემთან მოხვედი, მზად ვიყავი, ყველაფერს დაგპირებოდი, ოღონდ მეორე კუდიანსაც გასწორებოდი, მაგრამ აი, მართლაც გაადნე, მე კი მრცხვენია გითხრა, რომ სიტყვას ვერ შევასრულებ.

– მე მგონი, ძალიან ცუდი ადამიანი ხართ, – თქვა დოროთიმ.

– არა, არა, ჩემო კარგო; ადამიანად არა მიშავს, აი, ჯადოქრად კი არ ვარგივარ.

– მაშ, ჭკუას ვერ მომცემთ? – ჰკითხა საფრთხობელამ.

– რაში გჭირდება. დღითი დღე ახალახალ რამეს სწავლობ. ჩვილ ბავშვს ჭკუა აქვს, მაგრამ არაფერი იცის. ცოდნა გამოცდილებას მოაქვს და რაც უფრო დიდხანს ცხოვრობ დედამიწაზე, მით მეტ გამოცდილებას იძენ.

– ეგ შეიძლება ეგრეა, – თქვა საფრთხობელამ, – მაგრამ მაინც უბედური ვიქნები, თუ ჭკუას არ მომცემთ.

ცრუ ჯადოქარმა ყურადღებით შეხედა.

– კარგი, – ამოიოხრა ბოლოს, – მართალია, დიდი ვერაფერი ჯადოქარი ვარ, მაგრამ თუ ხვალ დილით მოხვალ, მაინც გამოგიტენი თავს ჭკუით, ოღონდ იმას ვერ გეტყვი, როგორ მოიხმარო. მაგას შენ თვითონ უნდა მიხვდე.

– გმადლობთ, დიდი მადლობა! – შესძახა საფრთხობელამ, – დარდი ნუ გაქვთ, როგორმე მოვიხმარ.

– ჩემი სიმამაცე? – მღელვარედ ჰკითხა ლომმა.

– დარწმუნებული ვარ, სიმამაცე არ გაკლია, – მიუგო ოზმა, – შენ მხოლოდ შენი თავის რწმენა გჭირდება. საფრთხის წინაშე ყველა ცოცხალ არსებას ეშინია. ნამდვილი სიმამაცე ისაა, რომ თუნდ გეშინოდეს, საფრთხეს მაინც თვალი გაუსწორო, ეგ სიმამაცე კი ნამდვილად გაქვს.

– შეიძლება, მაგრამ შიშით მაინც მეშინია, – მიუგო ლომმა, – და ძალიან უბედური ვიქნები, თუ ისეთ სიმამაცეს არ მომცემთ, რომელიც შიშს დამავიწყებს.

– ძალიან კარგი, ხვალ მოგცემ მაგნაირ სიმამაცეს, – მიუგო ოზმა.

– ჩემს გულზე რაღას მეტყვით? – ჰკითხა რკინის ტყეკაფიამ.

– რასა და, მე მგონი, სულ ტყუილად გინდა გული, – მიუგო ოზმა, – გული ადამიანს დიდ სატანჯველს უჩენს. ნეტავ იცოდე, როგორ გაგიღიმა ბედმა, რომ გული არა გაქვს!

– ვისთვის როგორ, – უთხრა რკინის ტყეკაფიამ, – მე, ჩემდათავად, რა უბედურებასაც გინდათ, იმას ავიტან, ერთს არ დავიწუწუნებ, ოღონდ გული მომეცით.

– ბატონი ბრძანდები, – მორჩილად მიუგო ოზმა, – ხვალ მოდი და მოგცემ გულს. იმდენი წელია, ჯადოქრის როლს ვთამაშობ, რომ ცოტა ხანსაც ვითამაშებ და ეგ იქნება.

– და მე? – ჰკითხა დოროთიმ, – მე როგორღა დავბრუნდე კანზასში?

– ეგ კი მოსაფიქრებელი მაქვს, – მიუგო ჩია კაცმა, – ორისამი დღე მომეცი და ვეცდები მოვისაზრო, როგორ გადაგიყვანო უდაბნოში. მანამდე ყველანი ჩემი სტუმრები ბრძანდებით და სანამ სასახლეში ცხოვრობთ, მოგემსახურებიან და უმცირეს

სურვილსაც შეგისრულებენ. ჩემი დახმარების – როგორიც გინდა იყოს ეს დახმარება – სამაგიეროდ ერთ რამეს გთხოვთ: საიდუმლო შემინახეთ და არსად წამოგცდეთ, რომ ცრუპენტელა ვარ.

დათანხმდნენ, რაც გავიგეთ, არ გავამხელთო და გახარებულები წავიდნენ თავთავის ოთახებში. დოროთისაც კი ჰქონდა იმედი, რომ „დიდი და მრისხანე ცრუპენტელა“ (გულში ასე ეძახდა ოზს) რამეს მოიფიქრებდა და კანზასში გაგზავნიდა, ხოლო თუკი ასე მოხდებოდა, მზად იყო, ყველაფერი ეპატიებინა.

თავი მეთექვსმეტე. დიდი ცრუპენტელას ჯადოქრობა

მეორე დილით საფრთხობელამ მეგობრებს უთხრა:

– მომილოცეთ. ოზთან მივდივარ. როგორც იქნა, ჭკუა მეღირსება და როცა დავბრუნდები, სულ სხვა კაცი ვიქნები.

– მე ისეთიც მომწონხარ, როგორიც ხარ, – უბრალოდ უთხრა დოროთიმ.

– კეთილი ხარ და საფრთხობელაც გიყვარვარ, – მიუგო იმან, – მაგრამ ნახე, როგორ მოგეწონო, როცა ახალი ჭკუით სავსე მოვალ და ერთმანეთზე უკეთეს აზრებს გადმოვაფრქვევ, – მერე ყველას ხალისიანად დაემშვიდობა, სატახტო დარბაზთან მივიდა და კარზე დააკაკუნა.

– მობრძანდით, – თქვა ოზმა.

საფრთხობელა შევიდა და დაინახა, რომ ჩია კაცი ფანჯარასთან იჯდა ფიქრებში წასული.

– ჭკუისათვის გეახელით, – თქვა საფრთხობელამ ცოტა არ იყოს, უხერხულად.

– ჰო, მართლა. აი, იმ სავარძელში ჩაბრძანდი, – მიუგო ოზმა, – ოღონდ უნდა მაპატიო, თავს მოგხსნი; სხვა გზა არა მაქვს: ჭკუით ხომ უნდა გავტენო.

– ეგ არაფერი, – მიუგო საფრთხობელამ, – მომხსენით თავი; როცა ადგილზე დააბრუნებთ, წინანდელს ხომ აჯობებს.

ჯადოქარმაც მოხსნა თავი და ჩალა გადმოყარა. მერე გავიდა უკანა ოთახში, აიღო ცოტა ქატო, დააყარა ბლომად ნემსები და ქინძისთავები, კარგად შეანჯღრია და საფრთხობელას თავის ზედა ნაწილში ჩაყარა, დანარჩენი კი ისევ ჩალით ამოავსო, რათა ჭკუა იქ ყოფილიყო, სადაც წესია.

როცა საფრთხობელას თავი ისევ დაადგა, უთხრა:

– იმდენი ცინცხალი ჭკუა მოგეცი, რომ დღეიდან დიდი კაცი იქნები.

სანუკვარი სურვილის შესრულებით გახარებულგაამაყებულმა საფრთხობელამ ოზს დიდი მადლობა გადაუხადა და მეგობრებთან დაბრუნდა.

დოროთი ინტერესით მიაცქერდა. საფრთხობელას თავის ზედა ნაწილი ჭკუისაგან გამობერვოდა.

– აბა, როგორ ხარ? – ჰკითხა.

– როგორც ბრძენი, – ალალად მიუგო იმან, – და როცა ამ ჩემს ჭკუას შევეჩვევი, ყველაფერი მეცოდინება.

– ეგ ნემსები და ქინძისთავები რაღად გამოგჩრია? – ჰკითხა რკინის ტყეკაფიამ.

– მახვილი ჭკუა აქვს და იმიტომ, – შენიშნა ლომმა.

– მაშ, ახლა მე წავალ ოზთან და გულს გამოვართმევ, – თქვა ტყეკაფიამ, მივიდა სატახტო დარბაზთან და კარზე დააკაკუნა.

– მობრძანდით, – გამოსძახა ოზმა, ტყეკაფიაც შევიდა და უთხრა:

– გულისათვის გეახელით.

– ძალიან კარგი, – მიუგო ჩია კაცმა, – ოღონდ მკერდი უნდა ჩაგიხვრიტო, რათა გული ადგილზე ჩავსვა. იმედია, არ გეტკინება.

– რას ბრძანებთ, – მიუგო ტყეკაფიამ, – ვერაფერს ვერ ვიგრძნობ.

ოზმაც აიღო მეთუნუქის მაკრატელი და რკინის ტყეკაფიას მკერდში, მარცხენა მხარეს, ოთხკუთხედი ამოაჭრა. მერე კომოდთან მივიდა და ნახერხით გატენილი, აბრეშუმის ლამაზი გული ამოიღო.

– რა მშვენიერია, არა? – ჰკითხა.

– ნამდვილად! – სიხარულით ცას ეწია ტყეკაფია, – მაგრამ კეთილი გული თუა?

– რა საკითხავია! – მიუგო ოზმა. მერე ტყეკაფიას გული მკერდში ჩაუდო, ზედ ოთხკუთხა რკინა დააფარა და, ამონაჭერი ადგილები, რაც შეეძლო, ფაქიზად დაურჩილა.

– აი, – უთხრა, – ახლა ისეთი გული გაქვს, რომ ყველა იამაყებდა. უკაცრავად, რომ მკერდზე საკერებელი დაგადე, მაგრამ სხვა გზა არ იყო.

– ეგ არაფერი – წამოიძახა ბედნიერმა ტყეკაფიამ, – დიდი მადლობელი ვარ, მაგ სიკეთეს არ დავივიწყებ.

– რა სამადლობელია, – მიუგო ოზმა.

მერე რკინის ტყეკაფია მეგობრებთან დაბრუნდა და იმათაც მიულოცეს ასეთი კარგი ბედი და იღბალი.

ახლა ლომი მიადგა სატახტო დარბაზს და კარზე დააკაკუნა.

– მობრძანდით, – უთხრა ოზმა.

– სიმამაცისათვის გეახელით, – მოახსენა ლომმა და ოთახში შევიდა.

– ძალიან კარგი, – მიუგო ჩია კაცმა, – მოგართმევ.

მივიდა ბუფეტთან, ასწვდა ზედა თაროს, ჩამოიღო ოთხკუთხა მწვანე ბოთლი, ჩამოცალა მშვენივრად მოჭედილ, ოქროსფერმწვანე ლანგარზე, დაუდგა მხდალ ლომს და უთხრა:

– დალიე.

ლომმა უნდოდ დაყნოსა:

– რა არის?

– რა, და, თუ დალევ, სიმამაცედ იქცევა. ხომ იცი, სიმამაცე შინაგანი თვისებაა, ამიტომ სანამ არ გადაყლაპავ, სიმამაცეს ვერ დავარქმევთ. ერთი სიტყვით, ჯობია, ახლავე დალიო.

ლომს აღარ უყოყმანია და ლანგარი სულ დაცალა.

– აბა, როგორ ხარ? – ჰკითხა ოზმა.

– სიმამაცით აღსავსე, – მიუგო ლომმა, მხიარულად დაბრუნდა მეგობრებთან და უამბო, რა ბედს ეწია.

მარტო დარჩენილ ოზს გაეღიმა, რადგან მოახერხა და ზუსტად ის მისცა საფრთხობელას, რკინის ტყეკაფიასა და ლომს, რაც ეგონათ, რომ უნდოდათ.

– მოდი, და ნუ იქნები ცრუპენტელა, – თქვა თავისთვის, – როცა ეს ხალხი მაინცდამაინც იმას მაკეთებინებს, რაც ყველამ იცის, რომ შეუძლებელია. საფრთხობელას, ლომისა და ტყეკაფიას გაბედნიერება ადვილი იყო, რაკი ეგონათ, რომ ყველაფერი შემიძლია. აი, დოროთის კანზასში დაბრუნებას კი ცრუპენტელაობა არ ეყოფა. თან, რომ არც ვიცი, რა ვიღონო!

თავი მეჩვიდმეტე. როგორ აუშვეს საჰაერო ბურთი

დოროთის სამი დღე ოზისაგან ამბავი არ მოსვლია. ეს სამი დღე პატარა გოგო დაღონებული იყო, თუმცა მეგობრები გახარებული და კმაყოფილი ჰყავდა. საფრთხობელა ეუბნებოდა, თავში საოცარი აზრები მომდისო, ოღონდ ვერ გამოთქვამდა, რადგან იცოდა, მის გარდა ვერავინ გაიგებდა. რკინის ტყეკაფია დადიოდა, გრძნობდა, როგორ უცემდა გული მკერდში და დოროთის ეუბნებოდა, იმაზე კეთილი და ნაზია, ვიდრე უწინ მქონდა, როცა სისხლისა და ხორცისა ვიყავიო. ლომმა განაცხადა, ქვეყანაზე არაფრის არ მეშინია და სიხარულით შევებმები გინდ მთელ ჯარს და გინდ ათ მძვინვარე კალიდასო.

ერთი სიტყვით, პატარა რაზმში ყველა კმაყოფილი იყო, გარდა დოროთისა, რომელსაც წინანდელზე მეტად უნდოდა კანზასში დაბრუნება.

მეოთხე დღეს, მისდა სასიხარულოდ, ოზმა უხმო და როცა სატახტო დარბაზში შევიდა, ხალისიანად შეხვდა:

– დაჯექი, ჩემო კარგო; მე მგონი, მოვიფიქრე, როგორ გაგიშვა აქედან.

– და კანზასში დამაბრუნოთ? – იმედით ჰკითხა დოროთიმ.

– კანზასზე რა გითხრა, – თქვა ოზმა, – წარმოდგენა არა მაქვს, რომელ მხარესაა, მაგრამ ყველაზე მთავარი უდაბნოს გადალახვაა, მერე კი შინისკენ მიმავალ გზასაც იპოვი.

– უდაბნო როგორღა გადავლახო? – ჩაეკითხა დოროთი.

– აი, რას ვფიქრობ მაგის თაობაზე: – უთხრა ჩია ბერიკაცმა, – ამ ქვეყანაში ხომ საჰაერო ბუშტით ჩამოვფრინდი. შენც ციკლონმა მოგაფრინა. ამიტომ ასე მგონია, უდაბნოს გადალახვის ყველაზე კარგი გზა გადაფრენაა. ციკლონს აბა, როგორ ამოვაგდებ, მაგრამ კარგად დავფიქრდი და, მგონი, საჰაერო ბურთის გაკეთება უნდა მოვახერხო.

– როგორ? – ჰკითხა დოროთიმ.

– ბურთი, – უთხრა ოზმა, – აბრეშუმისაგან კეთდება, რომელსაც ზედ წებოს უსვამენ, რათა აირი არ გამოვიდეს. სასახლეში აბრეშუმის მეტი რა მაქვს, ჰოდა არც ბურთის გაკეთება გაგვიჭირდება, ოღონდ ამ ქვეყანაში არსად არ არის ისეთი აირი, რომ ბურთი ავავსოთ და აფრინდეს.

– თუ არ აფრინდა, რაში გვარგებს, – შენიშნა დოროთიმ.

– მართალია, – მიუგო ოზმა, – მაგრამ აფრენის ერთი ხერხიც მეგულება: ცხელი ჰაერით უნდა ავავსოთ. ცხელი ჰაერი აირივით კარგი არ არის, რადგან ჰაერი გაცივდება, ბურთი უდაბნოში დაეშვება და ორივენი დავიკარგებით.

– ორივენი? – წამოიძახა პატარა გოგომ, – თქვენც მოდიხართ?

– მაშ, როგორ, – მიუგო ოზმა, – დამღალა ამდენმა ცრუპენტელობამ. ამ სასახლიდან რომ გავიდე, ჩემი ხალხი მალევე მიხვდება, რა ჯადოქარიც ვარ და გამიბრაზდებიან,

რად გვატყუებდიო. ამიტომ მთელი დღეობით აქა ვარ გამოკეტილი და ძალიან მომწყინდა. მირჩევნია, მეც კანზასში დავბრუნდე და ისევ ცირკში ვიმუშაო.

– გამიხარდება თქვენი წამოსვლა, – უთხრა დოროთიმ.

– გმადლობ, – მიუგო იმან, – ახლა კი, თუ აბრეშუმის გადაკერებაში მომეხმარები, ბურთის კეთებასაც დავიწყებთ.

დოროთიმ ნემსი და ძაფი მოიმარჯვა და ოზი რომ ზოლზოლად ჭრიდა აბრეშუმის ქსოვილს, თვითონ საგულდაგულოდ აკერებდა ერთმანეთზე. პირველი ზოლი სალათისფერი აბრეშუმისა იყო, მერე – მუქმწვანე, მერე კი ზურმუხტისფერი, რადგან ოზს სურდა, ბუშტს მათ თავზე სულ სხვადასხვა ელფერის მწვანედ ელივლივა. ზოლების გადაკერებას სამი დღე დასჭირდა. სამაგიეროდ, როცა დამთავრდა, ექვსმეტრიანი მწვანე აბრუშუმის ვეება ტომარა გამოვიდა.

მერე ოზმა შიგნიდან თხლად წაუსვა წებო, რათა ჰაერი არ გამოსულიყო და განაცხადა, ბურთი მზად არისო.

– ოღონდ კალათა გვინდა, რომ ჩავსხდეთ, – თქვა მან, მწვანეულვაშა ჯარისკაცს თეთრეულის დიდი კალათა მოატანინა და ბურთის ძირს თოკებით მიაბა.

როცა ყველაფერი მზად იყო, ოზმა თავის ხალხს შეატყობინა, ღრუბლებში მცხოვრებ უფროს ძმას, დიდ ჯადოქარს უნდა ვესტუმროო. ეს ამბავი მთელ ქალაქს მოედო და ყველანი მოცვივდნენ, რათა ამ საოცარ სანახაობას დასწრებოდნენ.

ოზმა სასახლის წინ გაატანინა საჰაერო ბურთი, ხალხი დიდი ინტერესით მიაცქერდა. რკინის ტყეკაფიას ბლომად შეშა დაეჩეხა და კოცონი აანთო, ოზმა კი ბურთის ძირი ცეცხლის თავზე დაიჭირა, რათა კოცონიდან ამომავალი ჰაერი პირდაპირ აბრეშუმის ტომარაში შესულიყო. ბურთი თანდათან იბერებოდა და ჰაერში ადიოდა, ვიდრე ბოლოს კალათიღა არ დარჩა მიწაზე.

მერე ოზი კალათში ჩაჯდა და თავის ხალხს გასძახა:

– მე სტუმრად მივემგზავრები. ჩემს არყოფნაში აქაურობას საფრთხობელას ვაბარებ. გიბრძანებთ, ისე დაემორჩილოთ, როგორც მე დამემორჩილებოდით.

ამასობაში ბურთი უკვე მთელი ძალით ექაჩებოდა იმ თოკს, რომლითაც მიწაზე იყო მიბმული, რადგან ცხელი ჰაერით იყო სავსე და იმდენად მსუბუქი, რომ ცისკენ ისწრაფვოდა.

– მოდი, დოროთი! – დაუძახა ჯადოქარმა, – ჩქარა, თორემ ბურთი აფრინდება.

– ტოტოს ვერ ვპოულობ, – მიუგო დოროთიმ, რომელსაც არ უნდოდა, ლეკვი დაეტოვებინა. ტოტო ხალხში შევარდნილიყო და კნუტს უყეფდა, დოროთიმ ძლივს მიაგნო. ხელი სტაცა და ბურთისკენ გაიქცა.

რამდენიმე ნაბიჯიღა უკლდა, ოზმაც ხელები გამოუწოდა, რომ კალათში ჩაჯდომაში მიხმარებოდა, მაგრამ ამ დროს თოკი გაწყდა და ბურთი უიმისოდ აიჭრა ჰაერში.

– დაბრუნდით, – ასძახა, – მეც მინდა წამოსვლა!

– ვერა, ჩემო კარგო, – ჩამოსძახა ოზმა კალათიდან, – მშვიდობით!

– მშვიდობით! – იძახდა ყველა და უყურებდნენ, როგორ ადიოდა ოზი კალათით და წამიწამ უფრო და უფრო მაღლდებოდა ცაში.

ეს იყო და ეს, ამის მერე ზურმუხტქალაქის ჯადოქარი თვალით აღარავის უნახავს. ვინ იცის, იქნებ კიდეც ჩავიდა ომაჰაში და იქ დაბინავდა. ყველანი სიყვარულით იგონებდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

– ოზი მუდამ კარგად გვექცეოდა. სანამ აქ იყო, ეს მშვენიერი ზურმუხტქალაქი აგვიგო, ახლა კი წავიდა და მმართველად ბრძენი საფრთხობელა დაგვიტოვა.

თუმცა, მაინც დიდხანს დარდობდნენ საოცარი ჯადოქრის დაკარგვას და ნუგეშს ვერ პოულობდნენ.

თავი მეთვრამეტე. სამხრეთისაკენ

დოროთი მწარედ ატირდა, რადგან იმედი გაუცრუვდა და შინ, კანზასში დაბრუნება ვერ მოახერხა, მაგრამ მერე დაფიქრდა და კიდეც გაუხარდა, რომ საჰაერო ბურთით არ წავიდა. თუმცა, ოზის დაკარგვას მაინც წუხდა – ისიცა და მისი მეგობრებიც.

რკინის ტყეკაფია მივიდა და უთხრა:

– უმადური ვიქნებოდი, ის კაცი რომ არ გამომეგლოვა, ვინც ასეთი კეთილი გული მომცა. ცოტას ვიტირებ, თუ არ დაიზარებ და ცრემლებს მომწმენდ, რომ არ დავჟანგდე.

– სიამოვნებით, – უთხრა დოროთიმ და პირსახოცი მოარბენინა. რკინის ტყეკაფია რამდენიმე წუთი ტიროდა, დოროთი კი თვალს არ აშორებდა და პირსახოცით სწმენდდა ცრემლებს. როცა ტყეკაფია ტირილს მორჩა, დიდი მადლობა გადაუხადა და, ყოველი შემთხვევისათვის, თავისი მოოჭვილი საზეთურით დაიზეთა სახე.

ზურმუხტქალაქს ახლა საფრთხობელა განაგებდა და მართალია, ჯადოქარი არ იყო, მაგრამ ხალხს მაინც საამაყოდ ჰყავდა: აბა, სად ნახავთ სხვა ისეთ ქალაქს, ჩალაბულათი გატენილი კაცი რომ მართავდესო, და, ალბათ, არც ცდებოდნენ.

ოზის გაფრენის მეორე დილით ოთხი მგზავრი სატახტო დარბაზში შეიკრიბა სათათბიროდ. საფრთხობელა დიდ ტახტზე დაბრძანდა, დანარჩენები კი მოწიწებით დადგნენ მის წინ.

– მთლად ცუდადაც არ არის საქმე, – თქვა ახალმა მმართველმა, – რადგან ეს სასახლე და ზურმუხტქალაქი ჩვენ გვეკუთვნის და შეგვიძლია, ჩვენს ნებაზე ვიყოთ. ამ ცოტა ხნის წინ სიმინდის ყანაში, ჭოკზე ვეკიდე, ახლა კი ამ მშვენიერი ქალაქის მმართველი ვარ. მოდი და, ნუ ვიქნები ბედის კმაყოფილი.

– მეც, – თქვა რკინის ტყეკაფიამ, – მეც მიხარია ახალი გული; კაცმა რომ თქვას, ამის გარდა არც არაფერი მინდოდა.

– მე კი იმით ვარ კმაყოფილი, რომ არც ერთ ნადირს არ ჩამოვუვარდები სიმამაცეში. ის კი არა, ვჯობნი კიდეც, – მორიდებით თქვა ლომმა.

– დოროთის რომ ზურმუხტქალაქში დარჩენა მოენდომებინა, – განაგრძო საფრთხობელამ, – ყველანი ბედნიერად ვიცხოვრებდით.

– ჰო, მაგრამ აქ ცხოვრება რომ არ მინდა? – წამოიძახა დოროთიმ, – კანზასში მინდა წავიდე და დეიდა ემთან და ძია ჰენრისთან ვიცხოვრო.

– კარგი, ოღონდ რა ვქნათ? – ჩაეკითხა ტყეკაფია.

საფრთხობელა დაფიქრდა და ისე დაძაბულად ფიქრობდა, რომ თავიდან ნემსებმა და ქინძისთავებმა გამოყვეს წვერი. ბოლოს თქვა:

– იქნებ ფრთოსან მაიმუნებს ვუხმოთ და ვთხოვოთ, უდაბნო გადაგატარონ?

– ეგ არც გამხსენებია! – გაუხარდა დოროთის, – რა კარგად მოგაფიქრდა. ახლავე მოვიტან ოქროს ქუდს.

ქუდი სატახტო დარბაზში მოიტანა და ჯადოსნური სიტყვები წარმოთქვა. ცოტა ხანში ფრთოსანი მაიმუნების ხროვა ღია ფანჯარაში შემოფრინდა და გვერდით დაუდგა.

– მეორედ მოგვიხმე, – უთხრა მაიმუნების მეფემ პატარა გოგოს და თავი დაუკრა, – რას ისურვებ?

– მინდა, კანზასში გადამაფრინოთ, – უთხრა დოროთიმ.

მაგრამ მაიმუნების მეფემ თავი გაიქნია:

– ვერ მოხერხდება, – უთხრა, – ჩვენ ამ ქვეყანას ვეკუთვნით და აქაურობას ვერ მივატოვებთ. კანზასში ფრთოსანი მაიმუნი არც ყოფილა და, ალბათ, არც იქნება, რადგან იმათი ადგილი იქ არ არის. რაც ჩვენს ხელთაა, ყველაფრით დაგეხმარებით, ოღონდ უდაბნოს ვერ გადავლახავთ. ნახვამდის.

მაიმუნების მეფემ ერთხელაც დაუკრა თავი, გაშალა ფრთები და ფანჯრიდან გადაფრინდა, თავისი ხროვაც უკან მიჰყვა.

დოროთიმ ლამის იტირა იმედგაცრუებით:

– რა ტყუილუბრალოდ დავხარჯე სურვილი! ფრთოსანი მაიმუნები ვერ მიშველიან.

– ოჰ, რა ცუდი ამბავია! – თქვა გულკეთილმა ტყეკაფიამ.

საფრთხობელა ისევ დაფიქრდა და ისე გაუსივდა თავი, რომ დოროთი შეშინდა, არ გაუსკდესო.

– მოდი, მწვანეულვაშა ჯარისკაცს დავუძახოთ, – თქვა, – და რჩევა ვკითხოთ.

დაუძახეს ჯარისკაცს და ისიც შიშით შემოვიდა სატახტო დარბაზში, რადგან ოზის აქ ყოფნაში ზღურბლს არ გადმოსცდენოდა.

– ამ პატარა გოგონას უდაბნოს გადალახვა სურს, – უთხრა საფრთხობელამ ჯარისკაცს, – როგორ მოიქცეს?

– რა მოგახსენოთ, – მიუგო ჯარისკაცმა, – უდაბნო ჯერ არავის გადაულახავს, გარდა დიდი ოზისა.

– არავინ არის ისეთი, რომ მიშველოს? – არ მოეშვა დოროთი.

– ალბათ, გლინდა, – თქვა ჯარისკაცმა.

– გლინდა ვინღაა? – ჩაეკითხა საფრთხობელა.

– სამხრეთის კუდიანი. კუდიანთაგან ყველაზე ძლიერია და ქოთქოთათა მხარეს მართავს. თანაც, ციხედარბაზი ზედ უდაბნოს პირას უდგას და შეიძლება მისი გადალახვის ხერხიც იცოდეს.

– გლინდა კეთილი კუდიანია, არა? – ჰკითხა ბავშვმა.

– ქოთქოთები ამბობენ, კიო, – უთხრა ჯარისკაცმა, – ყველას კარგად ექცევა. გამიგონია, რომ გლინდა ლამაზი ქალია და იცის, როგორ შეინარჩუნოს ახალგაზრდობა, თუმცა მრავალი წელია, რაც ცოცხლობს.

– მის ციხედარბაზში როგორ მოვხვდე? – ჰკითხა დოროთიმ.

– სულ სამხრეთით უნდა იარო, – მიუგო ჯარისკაცმა, – მაგრამ ამბობენ, მგზავრებს ათასი ხიფათი ელისო. ტყეებში ნადირია და ვიღაც უცნაური ხალხიც, რომლებიც უცხოებს თავის მიწაზე არ ატარებენ. ამიტომაა, რომ არც ერთი ქოთქოთა არ ჩამოდის ზურმუხტქალაქში.

ჯარისკაცი წავიდა, საფრთხობელამ კი თქვა:

– როგორც ეტყობა, ხიფათის მიუხედავად მაინც აჯობებს, დოროთი სამხრეთის მხარეში ჩავიდეს და გლინდას სთხოვოს შველა, რადგან თუ აქ დარჩა, თავის დღეში ვერ დაბრუნდება კანზასში.

– ეტყობა, კარგად დაფიქრდი მაგის მოსაფიქრებლად, – შენიშნა რკინის ტყეკაფიამ.

– ეგრე იყო, – მიუგო საფრთხობელამ.

– მეც წავყვები დოროთის, – განაცხადა ლომმა, – დამღალა თქვენმა ქალაქმა და ტყეღრე მომენატრა. რაც უნდა იყოს, ნადირი ვარ. თანაც, დოროთის დამცველიც დასჭირდება.

– ეგ მართალია, – დაეთანხმა ტყეკაფიამ, – შეიძლება ჩემი ცულიც გამოადგეს, ამიტომ მეც წავყვები სამხრეთის მხარეში.

– როდის დავიძრათ? – იკითხა საფრთხობელამ.

– შენც მოდიხარ? – ჰკითხეს გაკვირვებით.

– უეჭველად. დოროთი რომ არა, ჭკუა არ მექნებოდა. დოროთიმ ჩამომხსნა ყანაში ჭოკიდან და ზურმუხტქალაქში ჩამომიყვანა. ჩემი კარგი იღბალი სულ დოროთის დამსახურებაა და სანამ კანზასის გზას არ დაადგება, არ მივატოვებ.

– გმადლობთ, – გაუხარდა დოროთის, – რა კარგები ხართ. მოდი, რაც შეიძლება მალე გავუდგეთ გზას.

– ხვალვე, – მიუგო საფრთხობელამ, – ამიტომ ახლა სამზადისს შევუდგეთ. წინ დიდი გზა გველის.

თავი მეცხრამეტე. მებრძოლი ხეების თავდასხმა

მეორე დილით დოროთი კოხტა, მწვანე მოახლეს კოცნით დაემშვიდობა, მწვანეულვაშა ჯარისკაცს კი, რომელმაც ჭიშკრამდე მიაცილა, ყველამ სათითაოდ ჩამოართვა ხელი. როცა ჭიშკრის მცველს გამოეცხადნენ, ძალიან გაუკვირდა, ამ მშვენიერ ქალაქს რად ტოვებთ და ისევ ხათაბალაში რად ჰყოფთ თავსო. თუმცა, სათვალეები მაშინვე გაუხსნა, მწვანე ყუთში ჩაილაგა და გზა დაულოცა.

– შენ ხომ ჩვენი მმართველი ხარ, – უთხრა საფრთხობელას, – და მალე უნდა დაგვიბრუნდე.

– უეჭველად, თუ მოვახერხე, – მიუგო საფრთხობელამ, – ოღონდ ჯერ დოროთი შინ უნდა გავამგზავროთ.

გამომშვიდობებისას დოროთიმ კეთილ მცველს უთხრა:

– ამ ლამაზ ქალაქში კარგად მიმიღეს და ყველანი კეთილად მექცოდნენ. სიტყვები არ მყოფნის, ისეთი მადლობელი ვარ.

– რა სამადლობელია, ჩემო კარგო, – მიუგო იმან, – ძალიან გაგვიხარდებოდა, ჩვენთან რომ დარჩენილიყავი, მაგრამ თუ კანზასში გირჩევნია, გისურვებ, მალე იპოვო იქით მიმავალი გზა, – მერე კედლის გარე ჭიშკარი გაუღო, ესენიც გავიდნენ და გზას დაადგნენ.

მზე კაშკაშებდა, მეგობრებმა სამხრეთისაკენ ქნეს პირი. ყველანი ჩინებულ გუნებაზე იყვნენ, სიცილკისკისით მიდიოდნენ და მიმასლაათობდნენ. დოროთის ერთხელაც მიეცა შინ დაბრუნების იმედი, საფრთხობელასა და რკინის ტყეკაფიასაც უხაროდათ, რომ რამეში გამოადგებოდნენ. რაც შეეხება ლომს, იგი ნეტარებით ისუნთქავდა სუფთა ჰაერს და კუდს იქნევდა იმით გახარებული, რომ ისევ ქალაქგარეთ მოხვდა. ტოტო ყველას გარს ურბენდა, ფარვანებსა და პეპლებს დასდევდა და მხიარულად ყეფდა.

– რა ჩემი საქმეა ქალაქში ცხოვრება, – შენიშნა დანარჩენების მხარდამხარ მკვირცხლად მიმავალმა ლომმა, – იქ ყოფნაში ბლომად ხორცი დავყარე, თანაც ერთი სული მაქვს, სხვა ნადირებს ვაჩვენო, როგორ გავმამაცდი.

მიტრიალდნენ და ბოლოჯერ გახედეს ზურმუხტქალაქს. მწვანე კედლების მიღმა კოშკებისა და სახურავების თავები მოჩანდა, ყველაზე მაღლა კი ოზის სასახლის წვეტები და გუმბათი აღმართულიყო.

– კაცმა რომ თქვას, ოზი ურიგო ჯადოქარი არ იყო, – თქვა რკინის ტყეკაფიამ და სიამოვნებით მიუგდო ყური მკერდში გულის ბაგაბუგს.

– ყოველ შემთხვევაში, ჭკუა კი მომცა, თანაც ისეთი, რომ არ დაიწუნება, – თქვა საფრთხობელამ.

– თვითონაც რომ დაელია ის სიმამაცე, რაც მე მომცა, ლომგული იქნებოდა, – დაუმატა ლომმა.

დოროთის ხმა არ ამოუღია. ოზმა სიტყვა ვერ შეუსრულა, მაგრამ ცდა არ დაუკლია, ამიტომ აპატია. ალბათ, მართლა კარგი კაცი იყო, თუმცა ჯადოქრობისა არაფერი გაეგებოდა.

პირველ დღეს ზურმუხტქალაქის გარშემო გადაშლილ მწვანე ველებსა და ფერადფერად ყვავილებში იარეს. იმ ღამით ღია ცის ქვეშ ეძინათ, ზემოდან ვარსკვლავები დანათოდათ და კარგადაც დაისვენეს.

დილით მანამ იარეს, სანამ უღრან ტყეს არ მიადგნენ. გარს ვერ შემოუვლიდნენ, რადგან თვალსაწიერზე გადაშლილიყო და ვერც გეზს შეიცვლიდნენ: ეშინოდათ, გზა

არ დაგვებნესო, ამიტომ ისეთ ადგილს დაუწყეს ძებნა, საიდანაც ყველაზე იოლი იქნებოდა იქნებოდა ტყეში შესვლა.

წინ მიმავალმა საფრთხობელამ ერთი დიდი, ფართოდ ტოტებგაშლილი ხე იპოვა, რომლის ქვეშაც ყველანი გაეტეოდნენ და იმ ხისკენ აიღო გეზი, მაგრამ მიუახლოვდა თუ არა, ტოტები დაეშვა, შემოეხვია, ჰაერში აიტაცა და თანამგზავრებისაკენ ისროლა.

საფრთხობელას არაფერი სტკენია, მაგრამ გაუკვირდა და როცა დოროთიმ ააყენა, გაოგნებული ჩანდა.

– აი, იქითაც ჩანს ხეებში გასასვლელი, – დაიძახა ლომმა.

– ჯერ მე ვცდი, – თქვა საფრთხობელამ, – თუ გადმომაგდეს, არაფერი არ დამიშავდება, – და ლაპარაკლაპარაკით მეორე ხეს მიუახლოვდა, მაგრამ ტოტებმა ისევ აიტაცა და უკან გადაისროლა.

– რა უცნაურია, – წამოიძახა დოროთიმ, – რა ვქნათ?

– ეტყობა, ხეებმა გადაწყვიტეს, გვებრძოლონ და როგორმე შეგვაჩერონ, – შენიშნა ლომმა.

– მოდი, მე ვცდი, – თქვა ტყეკაფიამ, ცული მხარზე გაიდო და იმ პირველ ხეს მიადგა, რომელიც ასე უხეშად მოექცა საფრთხობელას. როცა დიდი ტოტი დაიხარა და ატაცება დაუპირა, ტყეკაფიამ ერთი ისეთი დაჰკრა, რომ ორად გააპო. ხე მაშინვე ტოტების ქნევას მოჰყვა, თითქოს ეტკინაო და რკინის ტყეკაფია თავისუფლად შევიდა ტყეში.

– მოდით! – გასძახა დანარჩენებს, – მალე!

გაიქცნენ და იმ ადგილს ყველანი უხიფათოდ გასცდნენ, გარდა ტოტოსი, რომელიც ერთმა პატარა ტოტმა დაიჭირა და ისე შეანჯღრია, რომ მწარედ ააწკნავლა, მაგრამ ტყეკაფიამ სწრაფად მოჭრა ტოტი და ლეკვი გაათავისუფლა.

ტყეში სხვა ხეებს ხელი არაფრით შეუშლიათ და მგზავრებმა იფიქრეს, ეტყობა, მხოლოდ ხეების პირველი რიგი ხრის დაბლა ტოტებს; ალბათ, ტყის პოლიციელები არიან და იმისათვის მიეცათ ეს ძალაუფლება, რომ ტყეში უცხო არავინ შეუშვანო.

ოთხმა მგზავრმა შეუფერხებლად იარა ხეებქვეშ და ტყის პირას გავიდა, იქ კი, მათდა გასაკვირად, მაღალი კედელი დაუხვდათ, გეგონება თეთრი ფაიფურისაო. თეფშივით გლუვი იყო და ამათზე მაღალი.

– რა ვქნათ? – იკითხა დოროთიმ.

– კიბეს გავაკეთებ, – თქვა რკინის ტყეკაფიამ, – მაგ კედელზე უსათუოდ უნდა გადავძვრეთ.

თავი მეოცე. ფაიფურის სათუთი ქვეყანა

სანამ ტყეკაფია ტყეში ნაპოვნი მასალისგან კიბეს აკეთებდა, დოროთი დაწვა და დაეძინა, რადგან გრძელმა გზამ დაღალა. ლომიც მოიკუნტა და ძილს მისცა თავი, ტოტოც გვერდით მიუწვა.

საფრთხობელამ უყურა მუშაობაში გართულ ტყეკაფიას და უთხრა:

– ვერ ვხვდები, რა უნდა აქ ამ კედელს ან რისგანაა ნაკეთი.

– ჭკუას ძალას ნუ ატან და მაგ კედელზე ნუ ფიქრობ, – მიუგო ტყეკაფიამ, – გადავალთ და გავიგებთ, რა არის მეორე მხარეს.

ცოტა ხანში კიბე მზად იყო. შესახედაობით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ ტყეკაფიას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ყველას გაუძლებდა. საფრთხობელამ გააღვიძა დოროთი, ლომი და ტოტო და უთხრა, კიბე მზად არისო, მერე კი პირველი შეუდგა ასვლას, მაგრამ ისე მოუქნელად, რომ დოროთი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და ხელს აშველებდა, არ გადმოვარდესო. როცა ტყეკაფიამ თავი კედელს ააცილა, გადაიხედა და წამოიძახა:

– აუჰ!

– მიდი! – ასძახა დოროთიმ.

ტყეკაფიამ გზა განაგრძო და კედელზე ჩამოჯდა, ახლა დოროთიმ გადაჰყო თავი კედლის იქით და თვითონაც ტყეკაფიასავით დაიძახა:

– აუჰ!

მერე ტოტო ავიდა და მაშინვე აყეფდა, მაგრამ დოროთიმ გააჩუმა.

ტოტოს ლომი მიჰყვა, ბოლოს რკინის ტყეკაფიაც ავიდა და როგორც კი კედლის იქით გადაიხედეს, ორივემ სათითაო „აუჰ!“ წამოიძახა. ბოლოს ყველანი კედელზე ჩამწკრივდნენ და უცნაურ სანახაობას დააშტერდნენ.

მათ თვალწინ ფართოდ გადაშლილი ქვეყანა ისეთ გლუვ, პრიალა და თეთრ ზედაპირზე იყო გაშენებული, დიდი სინი გეგონებოდა. გარშემო ფაიფურის ფერადფერადი სახლები მიმოფანტულიყო. სახლები პატარა იყო; ყველაზე დიდი წელამდე თუ ასწვდებოდა დოროთის. იყო კოხტა, პატარა ბოსლებიც, გარს ფაიფურის ღობეები ევლო. ჯგუფჯგუფად იდგნენ ფაიფურის ძროხები და ცხვრები, ცხენები, ღორები თუ ქათმები.

თუმცა, ამ უცნაურ ქვეყანაში ყველაზე საკვირველი მაინც ხალხი იყო. იყვნენ ფერადფერადი კორსაჟებითა და ოქროსფრად დაწინწკლული კაბებით მორთული

მწველავები და მწყემსი გოგონები; მდიდრული ოქროსფერი, ვერცხლისფერი და იისფერი კაბებით მოკაზმული პრინცესები და ლურჯყვითელ ზოლებდაყოლებულ, მუხლამდე ბრიჯებში გამოწყობილი, ფეხსაცმელებზე ბალთებდაბნეული მწყემსები. პრინცებს თავს თვალმარგალიტით მოჭედილი გვირგვინები უმშვენებდათ, ტანს კი – ყარყუმის მანტიები და ფარჩის კამზოლები. იყვნენ სასაცილო ფუშფუშასაყელოიანი, ლოყებზე წითელ ლაქებდახატული და მაღალი, წვეტიანი ქუდებით მორთული კლოუნებიც. და რაც ყველაზე უცნაური იყო, ეს ხალხი სულ ფაიფურისა იყო, ტანსაცმელიც ფაიფურისა ეცვათ და ისეთი პაწაწინები იყვნენ, რომ მათში ყველაზე მაღალი დოროთის მუხლამდე თუ ასწვდებოდა.

მგზავრებს ჯერ ყურადღება არავინ მიაქცია, გარდა ერთი ლურჯი ფაიფურის თავბომბორა ძაღლისა. კედელს მოადგა და წვრილი ხმით აყეფდა, მერე კი ისევ გაიქცა.

– როგორ ჩავიდეთ? – იკითხა დოროთიმ.

კიბე იმსიმძიმე იყო, ვერ ამოსწევდნენ, ამიტომ საფრთხობელა კედლიდან გადაეშვა, დანარჩენები კი რიგრიგობით დაახტნენ, რათა მაგარ ზედაპირზე ფეხი არ სტკენოდათ. რასაკვირველია, ცდილობდნენ, თავზე არ დახტომოდნენ და ქინძისთავები არ შერჭობოდათ. როცა ყველანი მშვიდობიანად ჩავიდნენ, ააყენეს კარგა მაგრად გაბრტყელებული საფრთხობელა, ააფუეს და წინანდელი თვალტანადობა დაუბრუნეს.

– ეს უცნაური ადგილი უნდა გადავიაროთ და იქითა მხარეს გავიდეთ, – თქვა დოროთიმ, – გეზის შეცვლა უჭკუობა იქნება.

და ფაიფურის ხალხის ქვეყანას გაუყვნენ. ჯერ ფაიფურის მწველავი შემოხვდათ, ფაიფურის ძროხას წველიდა. ამათ მიახლოებაზე ძროხამ ფეხი გაიქნია და სკამი ხომ სკამად ააყირავა, ვედროც და მწველავიც ზედ მიაყოლა; ჭახანით დაეხეთქნენ ფაიფურის ზედაპირზე.

ელდანაცემმა დოროთიმ დაინახა, რომ ძროხას ფეხი მოსტყდა, ვედრო დაიმსხვრა, საწყალ მწველავს კი მარცხენა იდაყვზე ბზარი გაუჩნდა.

– ეი, თქვენ! – გაბრაზებით დაუყვირა მწველავმა, – ნახეთ, რა ჰქენით! ჩემს ძროხას ფეხი მოსტყდა, ახლა სახელოსნოში უნდა წავიყვანო და დავაწებებინო. რა გინდათ, რას დადიხართ და ძროხებს აშინებთ?

– უკაცრავად, – უთხრა დოროთიმ, – თუ შეიძლება, გვაპატიეთ.

მაგრამ კოხტა მწველავი ისეთი გაბრაზებული იყო, რომ პასუხი არ გასცა. ფეხი პირქუშად აიღო და ძროხა წინ გაიგდო, საწყალი პირუტყვი სამ ფეხზე მიკეკელაობდა. მწველავი მიდიოდა, თან უკანუკან იყურებოდა და ამ მოუხეშავ უცხოელებს უბღვერდა, გაბზარული იდაყვი გვერდზე მიეკრა.

დოროთი ძალიან დააღონა ამ უბედურმა შემთხვევამ.

– აქ დიდი სიფრთხილე გვმართებს, – თქვა გულკეთილმა ტყეკაფიამ, – თორემ შეიძლება ისე დავაშავოთ ეს მშვენიერი პაწია ხალხი, რომ ვეღარაფერი ეშველოთ.

ცოტა ხანში დოროთის ერთი მშვენივრად გამოწყობილი პრინცესა შემოხვდა, რომელიც უცხოების დანახვაზე ჯერ ადგილზე გაშეშდა, მერე კი გაიქცა.

დოროთის უნდოდა, კარგად შეეთვალიერებინა და დაედევნა, მაგრამ ფაიფურის გოგონამ შეჰკივლა:

– ნუ მომდევთ! ნუ მომდევთ!

ისეთი შეშინებული ხმა ჰქონდა, რომ დოროთი შეჩერდა და ჰკითხა:

– რატომ?

– იმიტომ, – მიუგო პრინცესამ და თვითონაც შეჩერდა, ოღონდ უსაფრთხო მანძილზე, – რომ თუ გავიქცევი, შეიძლება დავვარდე და დავიმტვრე.

– ვერ დაგაწებებენ? – ჰკითხა გოგომ.

– როგორ ვერა, მაგრამ დაწებებული ასეთი ლამაზი აღარ ვიქნები.

– ალბათ, მართლაც, – თქვა დოროთიმ.

– აი, მისტერ ჯოკერი, ჩვენი კლოუნი, – განაგრძო ფაფიურის გოგონამ, – მუდამ თავზე დადგომას ცდილობს, ათასჯერ დაიმტვრა, ათას ადგილას დააწებებეს და ახლა ლამაზს ნამდვილად ვერ დაუძახებ. სწორედ აქეთ მოდის და შეხედეთ.

მხიარული პატარა კლოუნი მართლაც მათკენ მოდიოდა და დოროთიმ დაინახა, რომ პეწიანი წითელყვითელმწვანე ტანსაცმელი კი ეცვა, მაგრამ სულ ბზარებით იყო დაფარული და აშკარად ჩანდა, რომ ბევრგან დაეწებებინათ.

კლოუნმა ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, ლოყები გამობერა, თავი დაუკრა და ცელქად უთხრა:

რად გაშეშდი, მშვენიერო,

კლოუნი არ გინახავს?

ისე დგახარ, გეგონება

სარი გადაგიყლაპავს.

– გაჩუმდით, ბატონო! – უთხრა პრინცესამ, – ვერ ხედავთ, რომ უცხოელები არიან და პატივი უნდა ვცეთ?

– პატივისცემით თავზე ვეცემი! – განაცხადა კლოუნმა და მაშინვე თავზე დადგა.

– არ გეწყინოთ, – უთხრა პრინცესამ დოროთის, – თავი ისე აქვს დაბზარული, რომ მთლად გამოსულელდა.

– სულაც არ მწყინს, – მიუგო დოროთიმ, – მაგრამ თქვენ ისეთი ლამაზი ხართ, რომ ნამდვილად ძალიან შემიყვარდებით. არ გინდათ, კანზასში წაგიყვანოთ და დეიდა ემის ბუხრის თავზე დაგაყენოთ? კალათით წაგიყვანდით.

– და დიდ უბედურებასაც დამატეხავდით, – მიუგო პრინცესამ, – იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში მშვენივრად ვცხოვრობთ, ჩვენს ნებაზე დავდივართ და ვლაპარაკობთ, მაგრამ როგორც კი აქაურობას მოგვაშორებენ, სახსრები იმწამსვე გვიშეშდება და ისღა შეგვიძლია, ვიდგეთ და ლამაზები ვიყოთ. რასაკვირველია, როცა ბუხრის თავზე, ვიტრინაში ან სასტუმრო ოთახის მაგიდებზე გვდგამენ, ჩვენგან სხვას არც არაფერს მოელიან, მაგრამ მაინც ჩვენს ქვეყანაში ყოფნა გვირჩევნია.

– არაფრის გულისთვის არ დაგატეხავთ უბედურებას! – წამოიძახა დოროთიმ, – ამიტომ დაგემშვიდობებით და ის იქნება.

– მშვიდობით ბრძანდებოდეთ, – მიუგო პრინცესამ.

დიდი სიფრთხილით გაიარეს ფაიფურის ქვეყანა. პაწია ცხოველები და ადამიანები აქეთიქით იფანტებოდნენ დაფეთებულები, უცხოელებმა არ დაგვამტვრიონო. ასე, ერთ საათში მგზავრები ქვეყნის ბოლოში გავიდნენ და კვლავ ფაიფურის კედელს მიადგნენ.

ეს კედელი წინანდელივით მაღალი არ იყო, ამიტომ ლომს ზურგზე შეადგნენ და კედლის თავზე აცოცდნენ. მერე ლომი მოიკუნტა, ისკუპა და კედელს გადაევლო, ოღონდ ახტომისას კუდი ფაიფურის ეკლესიას წამოსდო და ნამსხვრევებად აქცია.

– აფსუს, – თქვა დოროთიმ, – მაგრამ კიდევ კარგი, ამ პაწია ხალხს ძროხისთვის ფეხის მოტეხვისა და ეკლესიის დანგრევის მეტი არაფერი ვავნეთ. მაინც, რა მყიფები არიან!

– მართლაც, – თქვა საფრთხობელამ, – კიდევ კარგი, ჩალისა ვარ და იოლად არ დავშავდები. თურმე, რაღაცრაღაცეებთან შედარებით, საფრთხობელობა არც ისე ურიგო ყოფილა!

თავი ოცდამეერთე. ლომი ნადირთა მეფე ხდება

მგზავრები კედლიდან ჩამოხტნენ და უსიამოვნო, დაჭაობებულდაჭანჭრობებულ ადგილას ამოყვეს თავი, რომელიც მაღალი, ხშირი ბალახით იყო დაფარული. ძნელი იყო სიარული ისე, რომ ტალახიან ორმოებში არ ჩავარდნილიყვნენ, რადგან ბალახი

ისეთი ხშირი იყო, რომ გზა თითქმის არ ჩანდა. მგზავრები დიდი სიფრთხილით მიდიოდნენ და მშვიდობიანად მიაღწიეს მყარ ნიადაგს, თუმცა, იქაურობა უფრო გაუვალი იყო. დიდხანს იარეს ბუჩქნარში და დაღლილები მეორე ტყეში შევიდნენ, სადაც ისეთი დიდი და ძველი ხეები იდგა, აქამდე რომ არ შეხვედროდათ.

– რა მშვენიერი ტყეა, – თქვა ლომმა და ხალისით მიიხედმოიხედა, – ასეთი სილამაზე ჯერ არ მინახავს.

– პირქუშია, – თქვა საფრთხობელამ.

– რას ამბობ, – მიუგო ლომმა, – აქ მთელ სიცოცხლეს გავატარებდი. ნახე, რა რბილი და მშრალია დაცვენილი ფოთლები და რა უხვი და მწვანე – ბებერ ხეებზე ამოსული ხავსი. ამაზე უკეთეს ტყეს არც ერთი ნადირი არ ისურვებდა.

– იქნებ ამ ტყეში მართლაც არიან ნადირები, – თქვა დოროთიმ.

– იქნებიან, – მიუგო ლომმა, – ოღონდ ვერც ერთს ვერ ვხედავ.

მანამ იარეს ტყეტყე, სანამ ისე არ ჩამობნელდა, რომ სიარული შეუძლებელი არ გახდა. დოროთი, ტოტო და ლომი დასაძინებლად დაწვნენ, საფრთხობელა და რკინის ტყეკაფია კი, ჩვეულებისამებრ, გუშაგად დადგნენ.

როცა გათენდა, გზა განაგრძეს. დიდხანს არ ევლოთ, რომ ხმადაბალი გუგუნი მოესმათ, თითქოს ბევრი ნადირი ერთად იღრინებაო. ტოტო აწკმუტუნდა, დანარჩენებს კი არ შეშინებიათ და ისევ გათელილ ბილიკს გაუყვნენ, სანამ მდელოზე არ გავიდნენ, სადაც ასობით სხვადასხვანაირი ნადირი შეყრილიყო. იყვნენ ვეფხვები და სპილოები, დათვები, მგლები, მელიები და ბუნებისმეტყველებაში ცნობილი ყველა ნადირი. დოროთის ერთი პირობა შეეშინდა, მაგრამ ლომმა აუხსნა, ცხოველებს თათბირი აქვთ გამართული და ღრენაყმუილით ვხვდები, დიდ გასაჭირში არიან ჩავარდნილიო.

ამ ლაპარაკში იყო, რომ ნადირებმა დაინახეს და დიდი შეკრებულობა თითქოს რაღაც ჯადოქრობით დადუმდა. ყველაზე დიდი ვეფხვი ლომს მოუახლოვდა, თავი დაუკრა და უთხრა:

– კეთილი იყოს შენი მობრძანება, ნადირთა მეფევ! სწორედ დროულად ინებე მოსვლა, რათა შეებრძოლო ჩვენს მტერს და კიდევ ერთხელ დაუმკვიდრო მშვიდობა ტყის ყველა ბინადარს.

– რა გაგჭირვებიათ? – წყნარად ჰკითხა ლომმა.

– ერთი მძვინვარე მტერი გვემუქრება, რომელიც ცოტა ხნის წინ მოეხეტა ჩვენს ტყეში, – მიუგო ვეფხვმა, – უშველებელი ურჩხულია, დიდ ობობას წააგავს. ტანი სპილოსოდენა აქვს, ფეხები – ხის ტანი გეგონება. რვაფეხაა, დადის ტყეში, დაავლებს რომელიმე ცხოველს ფეხს, გაიქანებს პირში და ისე გადასანსლავს, როგორც ობობა –

ბუზს. სანამ ეს მძვინვარე სულიერი ცოცხალია, ყველას საფრთხე გვემუქრება. ამიტომ თათბირი გავმართეთ, რათა გადაგვეწყვიტა, რა გვეღონა და ამ დროს შენც გამოჩნდი.

ლომი წამით დაფიქრდა.

– ამ ტყეში სხვა ლომები არ არიან? – ჰკითხა.

– იყვნენ, მაგრამ ურჩხულმა ყველანი დაჭამა. თანაც, არც ერთი არ იყო შენოდენა და შენსავით გულადი.

– თუ თქვენს მტერს ბოლოს მოვუღებ, მეფედ გამომაცხადებთ და დამემორჩილებით, როგორც ტყის მბრძანებელს? – ჰკითხა ლომმა.

– სიხარულით, – უპასუხა ვეფხვმა და სხვა ნადირებმაც იღრიალეს, – დაგემორჩილებით!

– აბა, სად არის ის თქვენი დიდი ობობა? – ჰკითხა ლომმა.

– აგერ, იქ, მუხებში, – უთხრა ვეფხვმა და წინა თათი გაიშვირა.

– თქვენ ჩემს მეგობრებს მიხედეთ, – უთხრა ლომმა, – მე კი ახლავე წავალ და შევებრძოლები იმ ურჩხულს.

გამოემშვიდობა თანამგზავრებს და ამაყად წავიდა მტერთან შესაბმელად.

დიდ ობობას ეძინა, როცა ლომმა მიაგნო. ისეთი ართვალი იყო, რომ მისმა მტერმა ზიზღით ცხვირი აიბზუა. ფეხები იმსიგრძე ჰქონდა, რამსიგრძეც ვეფხვმა თქვა, ტანი კი – შავი, უხეში ბეწვით დაფარული. პირიც უშველებელი ჰქონდა, 30სანტიმეტრიანი ბასრი კბილებით სავსე, მაგრამ თავსა და ჩასუქებულ ტანს კრაზანას წელივით წვრილი კისერი აერთებდა. ლომი მაშინვე მიხვდა, რომ სწორედ ამ ადგილას მართებდა შეტევა და რაკი იცოდა, რომ მძინარეს უფრ ადვილად შეებრძოლებოდა, ვიდრე მღვიძარს, ისკუპა და პირდაპირ ზურგზე დაახტა ურჩხულს. მერე ერთი დაჰკრა მძიმე, ბასრი ბრჭყალებით შეიარაღებული თათი და თავი წააწყვიტა. შემდეგ გადმოხტა და მიაცქერდა. ცოტა ხანში გრძელმა ფეხებმა ფართხალი შეწყვიტა და ლომი მიხვდა, რომ მტერი მკვდარი იყო.

მდელოზე დაბრუნდა, სადაც ტყის ნადირები ელოდნენ და ამაყად თქვა:

– დღეიდან მტრისა ნუღარ შეგეშინდებათ.

ნადირებმა მდაბლად დაუკრეს თავი და ისიც დაჰპირდა, დოროთის კანზასში გავამგზავრებ და მაშინვე დავბრუნდებიო.

თავი ოცდამეორე. ქოთქოთათა მხარე

ოთხმა მგზავრმა მშვიდობიანად გაიარა ტყე და როცა იქაური ბინდბუნდიდან გამოვიდნენ, ერთი ციცაბო, ლოდებით დაფარული გორაკი შემოხვდათ.

– ძნელი ასასვლელი იქნება, – თქვა საფრთხობელამ, – მაგრამ მაინც უნდა გადავიაროთ.

ამ სიტყვებზე დაიძრა და დანარჩენებიც მიჰყვნენ. ის იყო, პირველ ლოდამდე მივიდნენ, რომ უხეში ყვირილი მოესმათ:

– მოშორდით აქედან!

– ვინა ხარ? – ჰკითხა საფრთხობელამ.

ლოდის უკანიდან თავი გამოჩნდა და იგივე ხმა გაისმა:

– ეს გორაკი ჩვენია და არავისაც არ გადავატარებთ.

– ჰო, მაგრამ აუცილებლად უნდა გადავიაროთ, – უთხრა საფრთხობელამ, – ქოთქოთათა მხარეში მივდივართ.

– ვერსადაც ვერ წახვალთ! – მიუგო იმავე ხმამ და ლოდის უკანიდან ისეთმა უცნაურმა კაცმა გამოაბიჯა, როგორიც ჩვენს მგზავრებს ჯერ არ ენახათ.

მოკლე და სქელი იყო, დიდი თავი ედგა, ზემოთ დაბრტყელებული. კისერზე დიდრონი ნაოჭები ჩალაგებოდა. ხელები არ ჰქონდა, ამიტომ საფრთხობელამ იფიქრა, ასეთი უსუსური ვინმე გორაკზე ასვლას როგორ დაგვიშლისო და უთხრა:

– უკაცრავად, მაგრამ თქვენს სურვილის ვერ ვასრულებთ და გნებავთ თუ არა, მაინც უნდა გადავიაროთ ეგ თქვენი გორაკი, – და გულდაგულ წავიდა წინ.

კაცს კისერი უცაბედად დაუგრძელდა, თავი ელვასავით გამოსტყორცნა და ბრტყელი თხემი ისე ატაკა საფრთხობელას მუცელში, რომ სულ ყირაყირა გადმოუშვა გორაკიდან. თავი ლამის იმავე სისწრაფით დაუბრუნდა ადგილს, კაცმა კი მჭახედ გაიცინა და თქვა:

– მაშ, რა გეგონათ!

სხვა ლოდების უკანიდან თავშეუკავებელი ხარხარი მოისმა და დოროთიმ გორაკის კალთაზე ასობით უხელო თავჩაქუჩა დაინახა, ყოველი ლოდის უკან თითოთითო იდგა.

ლომი ისე გააბრაზა საფრთხობელას უიღბლობაზე ატეხილმა სიცილმა, რომ ერთი შემზარავად დაიქუხა და გორაკისკენ გაენთო.

ისევ გამოექანა თავი და ლომი ისე დაგორდა გორაკზე, თითქოს ზარბაზნის ყუმბარა მოხვდაო.

დოროთი გაიქცა და საფრთხობელას ფეხზე წამოდგომაში დაეხმარა, მერე დაბეგვილდაჟეჟილი ლომი მივიდა და უთხრა:

– მაგ თავსროლია ხალხთან ბრძოლას აზრი არა აქვს, მაგათ ვინ გაუძლებს.

– მაშ, რა ვქნათ? – ჰკითხა დოროთიმ.

– ფრთოსან მაიმუნებს უხმე, – შესთავაზა რკინის ტყეკაფიამ, – ერთი სურვილის უფლება ხომ დაგრჩა.

– მართალი ხარ, – უთხრა დოროთიმ, დაიხურა ოქროს ქუდი და ჯადოსნური სიტყვები წარმოთქვა. მაიმუნები წინანდელივით სწრაფად გაჩნდნენ და ორიოდე წამში მთელი ხროვა წინ დაუდგა.

– რას გვიბრძანებ? – ჰკითხა მაიმუნების მეფემ და თავი დაუკრა.

– ქოთქოთათა მხარეში მიგვიყვანეთ, – მიუგო გოგომ.

– ბატონი ბრძანდები, – უთხრა მეფემ. ფრთოსანმა მაიმუნებმა ერთხელაც აიტაცეს ოთხი მგზავრი და ტოტო და გააფრინეს. როცა გორაკის თავზე მიფრინავდნენ, თავჩაქუჩები ბრაზით აყვირდნენ და თავები მაღლა აისროლეს, მაგრამ ფრთოსან მაიმუნებს ვერ ასწვდნენ. მაიმუნებმა მშვიდობიანად გადაატარეს გორაკი დოროთისა და მის თანამგზავრები და ქოთქოთათა მშვენიერ მხარეში დაუშვეს.

– ეს ბოლოჯერ მოგვიხმე, – უთხრა მეთაურმა დოროთის, – მშვიდობით. კეთილად გევლოს.

– მშვიდობით, დიდი მადლობა, – მიუგო გოგომ. მაიმუნები ჰაერში აფრინდნენ და წამში გაქრნენ.

ქოთქოთათა ქვეყანაში სიუხვე და კეთილდღეობა სუფევდა. ერთმანეთს მიდევნებული პურის ყანები მწიფდა, გზები მოკირწყლული იყო, ჩუხჩუხა ნაკადულებზე მკვიდრი ხიდები გაედოთ. ღობეები, სახლები და ხიდები კაშკაშა წითლად იყო შეღებილი, ისე როგორც პაჭუნათა მხარეში – ყვითლად და ღეჭიათა მხარეში – ცისფრად. ქოთქოთები ჯირკუტანები იყვნენ და პირმრგვალები, გულკეთილები ჩანდნენ და თავით ფეხამდე წითლად იყვნენ შემოსილი. ეს წითელი ფერი მშვენივრად გამოიკვეთებოდა მწვანე ბალახისა და შეყვითლებული თავთავების ფონზე.

მაიმუნებმა ყველანი ვიღაც გლეხის სახლთან დაუშვეს. მგზავრები სახლთან მივიდნენ და კარზე დააკაკუნეს. გლეხის ცოლმა გაუღო და დოროთიმ სთხოვა, ხომ

ვერ დაგვაპურებთო. ქალმა კარგი სადილი გაუშალა და ჩაროზად სამნაირი ღვეზელი და ოთხნაირი ნამცხვარი მიართვა, ტოტოს კი – რძით სავსე ფიალა.

– შორია აქედან გლინდას ციხედარბაზი? – ჰკითხა ბავშვმა.

– არც ისე, – მიუგო გლეხის ცოლმა, – სამხრეთისკენ იარეთ და მალე მიხვალთ.

კეთილ ქალს მადლობა გადაუხადეს, ისევ დაადგნენ გზას და მინდორმინდორ იარეს, კოხტა ხიდები გადაიარეს და მათ წინ მშვენიერი ციხედარბაზი აღიმართა. ჭიშკართან ოქროსბუზმენტებიან, კოხტა წითელ ფორმებში გამოწყობილი სამი გოგო იდგა. დოროთის მიახლოებაზე ერთმა ჰკითხა:

– რამ მოგიყვანათ სამხრეთის ქვეყანაში?

– აქაური მმართველის, კეთილი კუდიანის ნახვა მინდა, – მიუგო დოროთიმ, – მიმიყვანთ?

– თქვენი ვინაობა მითხარით და ვკითხავ გლინდას, მიგიღებთ თუ არა.

ამათაც უთხრეს, ვინც იყვნენ და ჯარისკაცი გოგო ციხედარბაზში შევიდა. ცოტა ხანში გამოვიდა და თქვა, დოროთისაც და დანარჩენებსაც ახლავე მიიღებენო.

თავი ოცდამესამე. კეთილი კუდიანი გლინდა დოროთის სურვილს უსრულებს

თუმცა, სანამ გლინდასთან მიიყვანდნენ, ციხედარბაზის ერთ ოთახში შეიყვანეს, სადაც დოროთიმ პირი დაიბანა და თმა დაივარცხნა, ლომმა ფაფარი გაიბერტყა, საფრთხობელამ ტანი აიფუა, ტყეკაფიამ კი გაიპრიალა და სახსრები დაიზეთა.

როცა თავები მოიწესრიგეს, ჯარისკაც გოგოს გაჰყვნენ დიდ დარბაზში, სადაც ლალების ტახტზე კეთილი კუდიანი გლინდა დაბრძანებულიყო.

ლამაზიც ეჩვენათ და ახალგაზრდაც. მხრებზე ფუმფულა კულულებად ეყარა წითელი თმა. კაბა ქათქათა თეთრი ეცვა, თვალები ცისფერი ჰქონდა და კეთილად უყურებდა პატარა გოგოს.

– რით დაგეხმარო, ჩემო პატარავ? – ჰკითხა.

დოროთიმ უამბო, რაც შეემთხვა: როგორ გადმოისროლა ციკლონმა ოზის ქვეყანაში, როგორ იპოვა თანამგზავრები და რა საოცარი თავგადასავლები გადახდათ.

– ახლა კანზასში დაბრუნებაზე უფრო არაფერი არ მინდა, – დაუმატა, – იმიტომ რომ დეიდა ემს ნამდვილად ეგონება, უბედურება შეემთხვაო და ძაძების ჩაცმას

მოინდომებს, არადა, თუ წლევანდელმა მოსავალმა შარშანდელს არ აჯობა, ძია ჰენრი ამდენ ხარჯს ვერ გასწვდება.

გლინდა დაიხარა და ქვემოდან ამომზირალი, სანდომიანი სახე დაუკოცნა პატარა, მოსიყვარულე გოგოს.

– ღმერთმა დალოცოს ეგ შენი კეთილი გული, – უთხრა, – კანზასში დაბრუნების გზას როგორ არ გასწავლი, – და დაუმატა, – ოღონდ ეგ ოქროს ქუდი უნდა მაჩუქო.

– სიამოვნებით! – წამოიძახა დოროთიმ, – მე აღარაფრად მარგია. ახლა თქვენ შეგეძლებათ ფრთოსანი მაიმუნების მოხმობა.

– და, ალბათ, ზუსტად სამჯერ დამჭირდება იმათი სამსახური, – ღიმილით მიუგო გლინდამ.

დოროთიმ ოქროს ქუდი გაუწოდა, კუდიანმა კი საფრთხობელას უთხრა:

– რას იზამ, როცა დოროთი დაგვტოვებს?

– ზურმუხტქალაქში დავბრუნდები, – მიუგო იმან, – რადგან ოზმა მმართველად დამნიშნა და იქაურებსაც მოვწონვარ. ერთი ის მაწუხებს, თავჩაქუჩა ხალხის გორაკი როგორ გადავიარო.

– ოქროს ქუდს დავიხურავ და ფრთოსან მაიმუნებს ვუბრძანებ, ზურმუხტქალაქის ჭიშკართან მიგიყვანონ, – უთხრა გლინდამ, – თორემ რას ემგვანება, იქაურებს ასეთი საოცარი მმართველი რომ გამოვაცალოთ ხელიდან.

– მართლა საოცარი ვარ? – ჰკითხა საფრთხობელამ.

– არაჩვეულებრივი, – მიუგო გლინდამ.

მერე რკინის ტყეკაფიას მიუბრუნდა და ჰკითხა:

– შენ რაღას იზამ, როცა დოროთი ჩვენს ქვეყანას დატოვებს?

ტყეკაფია ცულს ჩამოეყრდნო, წამით დაფიქრდა და თქვა:

– პაჭუნები ძალიან კეთილად მომექცნენ და ავი კუდიანის სიკვდილის შემდეგ უნდოდათ, მმართველად დავესვი. მეც მომწონს პაჭუნები და დასავლეთის მხარეში რომ დამაბრუნა, იმაზე უფრო არაფერი მომინდებოდა, ვიდრე იმათი ქვეყნის სამუდამო გამგებლობა.

– ჩემი მეორე ბრძანებაც ეგ იქნება, – თქვა გლინდამ, – მაიმუნებს ვეტყვი, უხიფათოდ მიგიყვანონ პაჭუნათა მხარეში. იქნებ, საფრთხობელასავით დიდი ჭკუით ვერ დაიკვეხნი, მაგრამ კარგად თუ გაგაპრიალეს, ბრწყინვალებით ნამდვილად აჯობებ. დარწმუნებული ვარ, პაჭუნებს კარგი და გონიერი მმართველი ეყოლებათ.

მერე კუდიანი დიდ, გაბურძგნულ ლომს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– როცა დოროთი შინ დაბრუნდება, შენ რაღას იზამ?

– თავჩაქუჩათა გორაკის იქით ერთი დიდი, ძველი ტყეა, – მიუგო ლომმა, – იქაურმა ნადირებმა თავიან მეფედ გამომაცხადეს. იმ ტყეში რომ დამაბრუნა, ჩემს დღეებს ბედნიერად გავლევდი.

– ესეც ჩემი მესამე ბრძანება, – თქვა გლინდამ, – ფრთოსან მაიმუნებს ვეტყვი, იმ შენს ტყეში მიგიყვანონ. მერე კი, რაკი ოქროს ქუდზე აღარანაირი ძალაუფლება აღარ მექნება, ქუდს მაიმუნების მეფეს გადავცემ და ისა და მისი ხროვა სამუდამოდ გათავისუფლდებიან.

საფრთხობელამ, რკინის ტყეკაფიამ და ლომმა კეთილ კუდიანს სულითა და გულით გადაუხადეს მადლობა, დოროთიმ კი წამოიძახა:

– რა კეთილი ხართ და რა მშვენიერი! მაგრამ ჩემთვის რომ ჯერ არ გითქვამთ, კანზასში როგორ დავბრუნდე?

– უდაბნოს ეგ ვერცხლის ფეხსაცმელები გადაგატარებს, – უთხრა გლინდამ, – ფეხსაცმელების ძალა რომ გცოდნოდა, იმ დღესვე დაბრუნდებოდი დეიდა ემთან, რა დღესაც ჩვენს ქვეყანაში მოხვდი.

– ჰო, მაგრამ ამ ჩემს ჭკუაგონებას ხომ ვერ ვიშოვიდი, – შესძახა საფრთხობელამ, – და მთელ ცხოვრებას სიმინდის ყანაში გავლევდი.

– მე ჩემს სანაქებო გულს ვერ ვეღირსებოდი, – თქვა რკინის ტყეკაფიამ, – ვიდგებოდი იმ ტყეში და დავიჟანგებოდი.

– მე კი მუდამ მხდალი ვიქნებოდი, – განაცხადა ლომმა, – და მთელ ტყეში არც ერთი ნადირი არაფრად არ ჩამაგდებდა.

– ეგ ყველაფერი მართალია, – თქვა დოროთიმ, – და მიხარია, რომ ჩემს კეთილ მეგობრებს გამოვადექი. მაგრამ ახლა, როცა ყველას აუსრულდა საწადელი, ყველა ბედნიერია და ყველას თავთავისი სამეფო ერგო, დროა, კანზასში დაბრუნებაზეც ვიფიქრო.

– ვერცხლის ფეხსაცმელებს, – უთხრა კეთილმა კუდიანმა, – საოცარი ძალა აქვთ, ერთერთი ყველაზე საკვირველი უნარი კი ის არის, რომ შეუძლიათ სამი ნაბიჯით მიგიყვანონ, სადაც ისურვებ, თანაც ყოველი ნაბიჯი თვალის დახამხამებაში გადაიდგმება. შენ მხოლოდ სამჯერ შემოჰკარი ქუსლი ქუსლს და უბრძანე ფეხსაცმელებს, იქ წაგიყვანონ, სადაც გინდა.

– თუ ასეა, – სიხარულით თქვა ბავშვმა, – ვთხოვ, ახლავე წამიყვანონ კანზასში.

მერე ლომს კისერზე მოეხვია, აკოცა და დიდ თავზე ნაზად მოეფერა. მერე რკინის ტყეკაფიას აკოცა, რომელიც ქვითინებდა და სახსრების დაჟანგვას არაფრად აგდებდა. საფრთხობელასთვის დახატულ სახეზე არ უკოცნია: რბილ, ჩალით გამოტენილ ტანზე მოეხვია და იგრძნო, რომ თვითონაც ტიროდა, რადგან საყვარელ მეგობრებს ეთხოვებოდა.

კეთილი გლინდა ლალის ტახტიდან ჩამობრძანდა და პატარა გოგოს გამოსამშვიდობებელი ამბორი უძღვნა, დოროთიმაც მადლობა გადაუხადა იმ სიკეთისთვის, რაც გლინდამ მასა და მის მეგობრებს მიაგო.

მერე დოროთიმ საზეიმოდ აიყვანა ხელში ტოტო, ერთხელაც თქვა, მშვიდობითო, სამჯერ შემოჰკრა ქუსლი ქუსლს და შესძახა:

– შინ, დეიდა ემთან წამიყვანეთ!

იმწამსვე ჰაერში აიჭრა და ისეთი სისწრაფით გაექანა, რომ ყურებში მოზუზუნე ქარის ხმაღა ესმოდა.

ვერცხლის ფეხსაცმელებმა მხოლოდ სამი ნაბიჯი გადადგეს და ისე უეცრად შედგნენ, რომ დოროთი რამდენჯერმე გადაკოტრიალდა ბალახზე, ვიდრე მიხვდებოდა, სად იყო.

ბოლოს წამოჯდა და მიიხედმოიხედა.

– ღმერთო ჩემო! – შესძახა.

კანზასის ფართო პრერიაში იჯდა, ზუსტად მის წინ ახალი სახლი იდგა, რომელიც ძია ჰენრის მას მერე აეგო, რაც ძველი ციკლონმა მოსტაცა.

ძია ჰენრი ეზოში ძროხებს წველიდა. ტოტო გაუსხლტა დოროთის და ხმამაღალი ყეფით გაექანა ბოსლისკენ.

დოროთი წამოდგა და მიხვდა, რომ წინდებისამარა იყო. ვერცხლის ფეხსაცმელები ფრენაში წასძრობოდა და სამუდამოდ დაკარგულიყო უდაბნოში.

თავი ოცდამეოთხე. შინ დაბრუნება

დეიდა ემი სახლიდან კომბოსტოს მოსარწყავად გამოვიდა და უცებ მისკენ გამოქცეული დოროთი დაინახა.

– ჩემო კარგო გოგო! – შესძახა დეიდა ემმა, ჩაიხუტა ბავშვი და დაკოცნა, – აქ საიდან გაჩნდი?

– ოზის ქვეყნიდან, – დინჯად მიუგო დოროთიმ, – ტოტოც აქ არის. ოჰ, დეიდა ემ, რა კარგია შინ დაბრუნება!